

სახელი მოწოდევი

ლიკანი 2010 №66
ფასი 5 ლარი



ისტორია
ეთნიკური
მიზანი
დალაგი
ევანგელიკა
იოსები
ბრიტონი

სახელი
მოწოდევი

რეიტი
მაროკო
ნინო ლომაძე
ესე
კიკეთის მანიფესტი
გიორგი გვაჩარია

ლიტერატურა
ჯონ აპლაიკი
რამზა ნასრი
გივი ალსაზიშვილი
ლაშა გულაძე



ISSN 1512-2220

COOLCOO



1 ნუთი - 1 თეთხი

თქვენი კსელის 5 ჩრდელი ნომერთან!




*126# OK


ნაშთი: *126# OK
1 ნომერის აჩვევა/შევეღა - 20 თეთხი
ზარის ნამონების ღიაბეჭება - 5 თეთხი

შ 7036 ჰერცეგინის აბონენტებისთვის
(822) 770177
www.geocell.ge





გარეკანზე: ქეთი კაპანაძე
ფოტო: იურგენ ბოლაკი



სახლი მოწოდევი


N66, ლექებშერი 2010

- მიმოხილვები**
- 6 რედაქტორის წერილი
 - 8 ჩვენი ავტორები
 - 10 ბერლინის მსუქანი ქათამი და ხელოვნების კალეიდოსკოპი დავით ჩიხლაძე
 - 14 ფირსმანის დღეები საქართველოში დავით ჩიხლაძე
 - 16 თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამის მიმოხილვა
 - კრიტიკა**
 - 18 უკან, მომავალში... დავით ბუხრიკიძე
 - 20 გეორგ ბაზელიცი საქართველოში დავით ბუხრიკიძე
 - 22 ...რადგან ყველანი ლამაზები ვართ დავით ბუხრიკიძე
 - 24 „სეზონზე“ მოსახდელი შოთა გაგარინი
 - 28 ანსამბლი „რუსთავი“ მიშა მდინარაძე
 - კომენტარი**
 - 30 No Live – No News გიგი გულედანი
 - კულინარია**
 - 34 შექერბერავი და მასზე უფრო ტკბილი დიანა ანჯიმიადი
 - წერილი**
 - 36 გაჩერებული საათების და ინტენსიური სინათლის ზონა ნინო ლომაძე
 - სპეციალურები**
 - 42 ჩემი პრეზიდენტი
 - ისტორიები**
 - 58 ქეთი კაპანაძე მომავლის სიცრცე მიშა ხუნდაძე
 - 70 „პოეტ კულინის იმპერია და „მუქთახორა ბროდსკი“ რუსულიდან თარგმნა მიშა მდინარაძე.
 - თარგმანი**
 - 74 დალაი ლამა მომდევნო ინკარნაცია უვან ოსნოსი ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძე
 - ინტერვიუ**
 - 64 ქრისთიან სქოთი – ინტერვიუ კახა თოლორდავა
 - ფოტოპროექტი**
 - 80 თბილისის პორტრეტი სებასტიან კანო
 - ესე**
 - 88 კიკეთის მანიფესტი გიორგი გვახარია
 - 92 მესაფლავე ნომერი ერთი ლევან ბერძენიშვილი



ჩვენი გთავაზობა:

- ✓ აროფესიონალი ექიმის
კონსულტაციას
- ✓ ცენტრული სახის
ლაბორატორიული ანალიზებს
- ✓ ცენტრული სახის აცრას
ეკროგალი და აგარიკული
ვაჭრებით
- ✓ ინსტრუმენტულ გამოკვლევებს
(ექოსკოპია, ცენტრული გამოკვლევები)
- ✓ გაუთვალისწინებული
შემთხვევის დროს პირველადი
დახმარების ჩატარებას
- ✓ სხვადასხვა სახის
ენიჭულაციებებს



ექსპრეს კლინიკა აუ პი-ს ავთიაჭიშვილი

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,
ჭავჭავაძის გამზ. 50, ქოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

კვირაში 7 დღე
სამუშაო საათაზი: 9.00 - 21.00
გაბათ-კვირა: 10.00 - 18.00

რელაქტორის წერილი

მთავარი რედაქტორები:

ნინო ლომაძე, რატი ამალლობელი

პროდუქტ-რედაქტორი:

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი:

პაატა შავუგია

კორეატორი: თამარ ლონდაძე

ნომერზე მუშაობდნენ:

დავით ბუხრიეიძე, დავით ჩიხლაძე,
ლევან ბერძნიშვილი, გიგი გულედანი,
ირმა ტაველიძე, დანა ანფიმიაძე, მიშა
მდრინაძე, რატი ამალლობელი, ლელა
გაფრინდშვილი, შოთა გაგარინი, მიხეილ
ხუნდაძე, კახა თოლორდავა, გიორგი
გვახარია

ფოტო:

მარია ქოჩიაშვილი, სებასტიან კანო,
ირინა ხუცუშვილი, ლევან ხერხეულიძე

ღიასტრაცია:

მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

დიზაინი:

თორნიკე ლორთქიფანიძე

გენერალი:

რუსულან ფურცელაძე

საზოგადოებრივი ურთიერთობა:

ლელა შებითიძე

კლიენტთა მომახსერაცის გენერალი:

ნათა რუსაძე

სარეკლამო გაყიდვები:

თინა ოსეფაშვილი

ლისტრისტი:

ზურაბ შენგელია

გამომცემელი:

შორენა შავერდაშვილი



მე მგონი პირდაპირ უნდა ვთქვა სათქმელი. ყველანაირი სახე-ხატების, ალეგორიების, სიმბოლოებისა და იგავარაკების გარეშე. საქართველოში ბევრი ჟურნალი გამოდის და ეს კარგია, მაგრამ ჟურნალი, კარგად წასაკითხი, სულისა და ხორცისთვის მარგებელი – ერთეული.

ეს არ არის ამბიცია, ეს რეალობაა, რეალობა, რომელიც უნდა დავინახოთ. თუ რეალობა რაიმეს ითხოვს ჩვენგან – ეს მისი აღქმისა და დანახვის განუწყვეტილი სურვილია. იგი ჯიუტად ცდილობს ჩვენს აღქმებში აირევლოს, ფოკუსირდეს. ჩვენი რეალობა, განსაკუთრებით კი მედია რეალობა, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური კონიუქტურისა და კონფორმიზმის ბიურგერულ და მომხმარებლურ ტრანსებში ყვინთავს. ამ ცდუნებას ბევრმა ვერ გაუძლო. მკითხველისა და შემოქმედის აქტიურ პოზიციას, ბევრმა გადამშლელ-დამთვალიერებლის პასიური მდგომარეობა არჩია.

ჩვენ ვხედავთ ამ რეალობას და გთავაზობთ მას არა ფერად ფერებში, არამედ რეალურ, არსებულ გრაფიკაში.

თქვენს წინაშე მდებარე „ცხელი მოკოლადიც“ პირველყოვლისა წასაკითხია და არა „სანახავი“.

ვისაც სურს მოვლენების არამარტო დანახვა, არამედ მათი წაკითხვაც – ჟურნალი გადაფურცლეთ შემდეგ გვერდზე.

რატი ამალლობელი

მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

გამომცემლობა:

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105,

ფალაბერის ქ. 108, ტელ.: 912326

ელ-ფოსტა: mtpublishing@caucasus.net

სხვა გამოცემები:

ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები,
მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.

სტამბა:

„ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.
50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" სავატორო უფლებები

დაცულია. ჟურნალი გამოქვეყნებული

მასალების ნოილობრივი ან მოთლაპი

გამოყენება გამომცემლობის წებართვის გარეშე
აკრძალულია.

**სხვაცი
მოწოდევი**



ხუთ★ანი სესხები

- ★ წელიწადში 1 თვე საშეღავათო პერიოდი
- ★ სესხი 1 დღეში
- ★ **Smart** ქულები საჩუქრალი
- ★ საუკეთესო მომსახურება
- ★ თქვენზე მორგებული %

ლ 27 27 27 | ბ * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**შურნალი
„ცხელი შოკოლადი“
გილევი**

**შეხვედრა
რატი ამაღლობელთან**

**კონფორმიზმის
დაბადება
საქართველოში**

**რუსთაველის თეატრის
მცირე დარბაზი
3 დეკემბერი, 19 საათი**



გოგი გვახარია

საშინელებაა, როცა რაღაცას ვერ ხსნი. გინდა, მაგალითად, ახსნა, რატომ არ მოგწონს რუსული ფილმების ფესტივალს რომ ატარებენ თბილისში. მაგრამ ვერ ხსნი, ამიტომ ან ნაციონალისტს, ან რუსეთისგან „დემონის“ შემქმნელს, ანდა, უბრალოდ, რუსოფობს გინოდებენ. ამის მერე, რამდენიც არ უნდა ამტკიცო, რომ არ ხარ რუსოფობი, ამ სტიგმას თავიდან ვერ მოიცილებ. კეთილი უნდა ინებო და ახსნა შენი გრძნობები! მაგრამ არის რაღაცები, რასაც ვერ ვხსნი. სიტყვები არ მყოფნის. არ მაქვს ამდენი მარაგი. არ ვარ პიეტი. ეს საშინელებაა, როცა ვერ ხსნი!

როცა არ შეგიძლია დაასაბუთო შენი გრძნობები. ამ დროს განსაკუთრებით კარგად გრძნობ, რომ მარტო ხარ.

მით უფრო საშინელებაა, როცა რაღაცის ახსნა შენი პროფესიული მოვალეობაა... შენ კი, ამხელა პროფესორმა კაცმა, არ შეგიძლია ახსნა, მაგალითად, რატომ გიყვარს გოდარი. ჰო... გოდარზე საუბარი ყოველთვის მიჭირდა. არ უყვარს მის სტილს სიტყვები და ვერ იტანს ანალიტიკურ კინომცოდნებას. ამიტომაც ვერ უხსნი სტუდენტებს, რატომ არის ეს კაცი გენიოსი და რატომ გადაატრიალა კინოხელოვნება. ვერ უხსნი, მაგრამ მაინც გინდა, მაინც ეძებ სიტყვებს. იტანჯები ამ ძებნაში! ტანჯება ილაპარაკო და წერო გოდარზე, რომელსაც 3 დეკემბერს 80 წელი შეუსრულდება. „გოდარის ფილმებში ანტისემიტური მოტივები აღმოაჩინეს!“... გვარწმუნებდა ამერიკული პრესა მთელი ნოემბერი, სანამ მას საპატიო „ოსკარს“ გადასცემდნენ – უფრო სწორად, გაუგზავნილენ შევეცარიაში... ძალიან სასაცილოები არიან ეს უურნალისტები!

როგორი მარტოა ეს კაცი! ისევ ვერავინ უგებს და ისევ არავის შეუძლია წესიერად ახსნას, რატომაც გენიოსი.

მე არ დავწებდები. „შოკოლადის“ ამ ნომერში შევეცდები ალვწერო, როგორია გოდარის ფილმი. მერე კი, შეიძლება, იმის ახსნაც მოგახერხო, თუ რატომ არ მინდა რუსული ფილმების კინოფესტივალი 2010 წლის საქართველოში.



ირა ჩაველიძე

ნლების წინ პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებს იმ საგანს ვასწავლიდი, რომელიც მე თვითონ არასდროს მესწავლა – რელიგიის ისტორიას. პირველი სემესტრი საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში გავატარე: არ მახსოვეს, რამდენი წიგნი და სტატია წავიკითხე მსოფლიო რელიგიებზე: იუდაიზმზე, ისლამზე, ბუდიზმზე... ძირითადად, საბჭოთა პერიოდის გამოცემები მხვდებოდა, მაგრამ ნაშრომების იდეოლოგიური მხარე ხელს არაფერში მიშლიდა. ჩემთვის ეს მორიგი ავანტიურა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში სერიოზულ საქმიანობად გადაიქცა. იმ ბნელი წლებიდან რაღაც კარგი მაინც დამრჩა: ვისწავლე, რომ სურვილები, დაქმაყოფილების დაცვლად, უნდა გააქრო და თვითონაც თან მიჰყვე. საგნებს არ უნდა მიეჯაჭვო, მით უფრო, ადამიანებს – დაგტანჯავენ! არა, არ იფიქროთ, რომ დალაი ლამაზე მეტად ბუდისტი ვარ, ან ეს ყველაფერი ყოველ ჯერზე გამომდის. ტიპეტების რელიგიური და პოლიტიკური ლიდერისთვის სიკედილი „სამოსის გამოცვლაა“. მე მხოლოდ პროფესიებს, საცხოვრებელ ადგილებს და საყვარელ მწერლებს ვიცვლი.

ფასდაკლება მაღავანთებზე პიპისის აფთიაქვაზი


-20%, -30%, - 40%



დაზოგა და დააგროვე ვაჭლები
შენ ზღარძ პარატზე



აქცია მიმდინარეობს პიპისის თანამდებობის, უთაისის და ზუგდიდის აფთიაქვაზი



თერლინის მსუბანი ძათამი და ხელოვნების კალებოლოსკოპი

დავთ ჩიხლაძე

როგორც ევროპის ყველა დიდ ქალაქს, ბერლინსაც საკუთარი არტ-შოუ აქვს და მას არტ-ფორმუმ ბერლინი ჰქვია. წელს, ოქტომბერში, ის უკვე მეთხუთმეტედ გაიმართა. ამ ხნის განმავლობაში გერმანიის თანამედროვე ხელოვნების მთავარმა გამოფენამ უკვე ასალოუტურად დაიმეტებდა თავი, როგორც დინამიკურ-მა და მზარდმა არტ-ბაზარმა.

ილაპარაკო თანამედროვე ხელოვნების ბერლინზე, ნიმნავს, გქონდეს თითქმის უტოპიური სურვილი, აღნერო კალებოლოსკოპი, რომელიც, გარდა იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბისაა, ყოველთვის იცვლება და მოულოდნელი, საინტერესო და მომზიბვლელი ინოვაციების ახალ ქარგებსა და განლაგებებს გთავაზობს. ის იღებს საგანს ან საკითხს და მას, როგორც ფილოსოფოსი, ყველა შესაძლებელი კუთხიდან დაგანახებს.

არტ-ფორუმ
ბერლინი
2010

წვდომია. ამიტომაც, ბერლინი მთელი მსოფლიოს ხელოვანების მისწრაფებისა და თავმოყრის ადგილს წარმოადგენს. გარდა ამისა, აქ თავმოყრილია დიდი რაოდენობა გალერეებისა, ხელოვნების კოლექციონერების დაიდი არმია სწორედ აქ ექებს, თუ რა სიახლით შეიძლება, გაამდიდროს საკუთარი კოლექცია და ასეთი გარემო ხელსაყრელი და ნაყოფიერია ყველასთვის.

დიახ, ბერლინში საგანს ყველა კუთხიდან ხედავ. ბერლინის არტ-ფორუმის პარალელურად, კიდევ რამდენიმე მასშტაბური გამოფენა ეწყობა. იმავე ტერიტორიაზე, რომელსაც მესეს საგამოფენო კომპლექსი ქვია, იქვე მდგარ მეორე ნაგებობაში, რომელსაც მარშალ პაუსი ჰქვია, მეორე შოუ – „არტ ბერლინ კონტექსტორანი“ იმართება. ასე რომ, 2008 წლიდან „არტ ფორუმ ბერლინს“ საკუთარი ალტერნატივაც გააჩნია, რომელიც სპეციალურ საკითხებზე ფოკუსირდება ხელოვნების განვითარებაში და მის არსენალში ერთ-ერთი წამყვანია დისკუსიები ხელოვნებისა და მარკეტის შესახებ. ეს ორი გამოფენა გვერდიგვერდ ზუსტად ერთ დღეს და ერთ დროს იხსნება. ორი ასეთი დიდი შოუს ერთდროული მოწყობა ისედაც შთამბეჭდავი ბერლინური არტ სცენის გარემოში გაცილებით ზრდის შესაძ-

იოპან სტრანდალი
გალერეა ბელენიუსი
სტრანდლმი

ლებლობების მასშტაბს საერთაშორისო კოლექციონერებისთვის, გალერეებისთვის, მხატვრებისათვის, მუზეუმის დირექტორებისათვის, კურატორებისთვის და ხელოვნების მოყვარულთათვის.

„არტ ფორუმ ბერლინი“ ორ სექციად იყოფა, რომლებსაც გალერეების სექცია და ახალგაზრდული სექცია – „ფოკუსი“ ჰქვია. წარმოდგენილი მხატვრობის ნახევარი გერმანიდანაა, ხოლო მეორე ნახევარი საერთაშორისო სექციას ეთმობა. აქ ერთადაა თავმოყრილი უკვე დამკვიდრებული გალერეები და მხატვრები, და ისინი, რომლებიც ახლა ინყებენ პროფესიულ კარიერას. საერთო ჯამში კი 100-ზე მეტი გალერეა და 2000-ზე მეტი არტისტი გამოიფინება მსოფლიოს 18 ქვეყნიდან.

ბერლინში ყველაფერი განიმარტება, უკეთდება მახასიათებლების ნიშანი, აღიჭურვება გზამკვლევით. ეს ყველაფერი კი დისკუსიიდან იღებს სათავეს. როგორც „არტ ფორუმ ბერლინის“ თანმხელები ლონისძება, დღეში ორჯერ ეწყობოდა ბერლინის საუბრები – შესვედრები მხატვრებს, სპეციალისტებსა და აუდიტორიას შორის. სწორედ ასეთ ინიციატივებში თავსდება ისიც, რომ „არტ ფორუმ ბერლინის“ დროს გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს დაკვეთით გერმანიის



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

მიმოხილვა

გოეთეს ინსტიტუტის მთავარმა ოფისშა 60-ზე მეტი კრიტიკოსი, კურატორი და არტისტი დაპატიჟა მსოფლიოს სხვა-დასხვა ქვეყნიდან.

ქალაქში კი, სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციები პარალელურად, მდიდარ პროგრამას სთავაზობდნენ ქალაქის სტუმრებს, როგორიცაა „პრევიუ ბერლინი“ და „ბერლინერ ლისტე“.

უაღრესად სასიამოვნო და საინტერესო იყო ხელოვნების საბჭოს კოლექციის დათვალიერება დოჩერ ბუნ-

დესტაგში. პარლამენტის ხელოვნების საბჭო რჩევებს აძლევს პრეზიდენტს სახვითი ხელოვნების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ. მას თვით ბუნდესტაგის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. ბუნდესტაგის ხელოვნების საბჭო მთლიანად პარლამენტის წევრებისაგან შედგება, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და ცოდნა ხელოვნების საკითხებში და აქ არ არიან მოწვეული სპეციალისტები. დღევანდელ ექსპოზიციაში აქ იხილავთ ჯულიან შნაბელის,



არტ-ფორუმ
ბერლინი
2010

ჯენი ჰოლცერის, გერჰარდ რიხტერის, დანი კარავანის, გრიშა ბრუსკინის, ზიგმარ ჰოლკეს, გეორგ ბაზეილის, ჰანს ჰაკეს და სხვათა ნამუშევრებს.

ანდრეას კაერნბახმა და კრისტინა ფოლკემ, ბუნდესტაგის ხელოვნების კოლექციის კურატორებმა ისაუბრეს სწორედ ამ საკითხებზე. ანდრეას კაერნბახთან ერთად წლევანდელ კატალოგს „პოლიტიკა და ხელოვნება – ხელოვნება და პოლიტიკა“ ბუნდესტაგის თავმჯდომარე ვოლფგანგ თირზე და რუსი ფილოსოფოსი და მედიის თეორისტი ბორის გროისი აღჭურვავს ტექსტებით. ბორის გროისის სტატიას ასე ენოდება „ხელოვნება დემოკრატიაში“ და, მართლაც, გერმანია შესანიშნავად გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მოქმედი მექანიზმების შექმნა ისეთ პოლიტიკურ განსაზღვრებებში, როგორიც დემოკრატია. მართლია, გერმანიის სახელმწიფო სიმბოლოს, არნიგეს, დღეს, გერმანიის კეთილდღეობასთან თანხმობაში მსუქან ქათამს ეძახიან და მისი დიზაინიც პარლამენტში, მართლაც, შესაბამისად შეიცვალა, მაგრამ, იქნებ სწორედ იმიტომ გასუქდა ქათამი, რომ ის დიდ ყურადღებას უთმობდა არა მხოლოდ საკენეს, არამედ პარმონიულ პირობებს და განვითარებასაც?

ბოლო შეხვედრა ჩეკომინტ ჩარლიზე შედგა, სადაც „ტამენ გალერეა“ და „აულინ გალერეა“ მდებარეობს. ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც ერთ დროს დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს შორის დამაკავშირებელი გამშვები პუნქტი იყო განთავსებული. ბერლინის გალერების ასოციაციის თავმჯდომარემ ვერნერ ტამენმა ყველას მადლობა გადაუხადა სტუმრობისათვის და ჩვენც იმედი გვაქეს, რომ ბერლინი გახდება გამთლიანების სიმბოლო მსოფლიოს ქვეყნებისთვის, ხელოვნებისთვის და ადამიანთა შეხედულებებისთვის.

არტ-ფორუმ ბერლინი
საქართველოს გალერეა
2010



RESTAURANT



მისამართი: ჩქინის ხიდი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51



ჩესკოჩანი "ოვალი" გთავაზობთ:

- მაღალი ლონის მომსახუებას და კომფორტულ გასამოს
- გამხილ კუჩქებს, ღესასის და ლვინის ფასოთ აჩრევანს

**ჩესკოჩანი "ოვალი" იღეაღები აღგიღია
თქვენთვის და თქვენი სცემჩებისათვის**

მიმოხილვა



ფიროსეანის დღები საქართველოში

დავით ჩიხლაძე

19 ოქტომბერს საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობით უკვე მესამედ გაიხსნა ფიროსმანის დღეები „შეხვედრა ფიროსმანთან“, რომელიც მოიცავს გამოფენას და ლიტერატურულ სალამოებს.

პროექტს 2006 წელს ჩაიყარა საფუძველი და მისი ინიციატორი ბერლინელი მოქანდაკე პანს შაიბი იყო. სპეციფიკა თავიდანვე ისე განისაზღვრა, რომ ყოველი მონანილე შემდეგ წელს თვითონაც თანაორგანიზატორი ხდება და უკვე თვითონ ინვენტარის მონანილების მისაღებად სხვა დაინტერესებულ ხელოვანებს.



პეტერ ლიბლი
„სოფია“

პროექტი, რომლის ორგანიზატორიც არის საქართველო-გერმანიის საზოგადოება, იმდენად პოპულარულია, რომ მონანილეები საკუთარი ხარჯით ჩამოდიან საქართველოში. უშუალოდ კი მას მსატვარი გოჩა ღულელაური ხელმძღვანელობს. უცხოელი და ქართველი ხელოვანების ურთიერთობა ამ პროექტში მართლაც ფიროსმანის ოცნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. რომელიც მოიცავს გამოფენას ნახატები იყონოგრაფიული დოკუმენტები და ფოტოები.



ფიროსმანი „ირემი“,
ფიროსმანი „მზარული“
თავაზი ვარვარიძე „ლანდშატი“

ხატებია და რომ ეს არ არის ცხოვრების ჩვეულებრივი ხედვა. ამ ინსპირაციით მისი ვიდეო ეკრანი სამ სეგმენტად იყო გაყოფილი, როგორც სამების სიმბოლო, რაც ისევ ფიროსმანის ღრმა რელიგიური მოტივებიდა მოდის.

ბერიტთან ერთად თბილისში ოცზე მეტი გერმანელი არტისტი ჩამოვიდა. საქართველოდან მათ შეუერთდნენ ნიკო ცეცხლაძე, თამაზ ვარვარიძე, ლია შველიძე, ავთანდილ პოპასველი, თემო ჯავახიშვილი, ირა კურმაევა და სხვ. პირველ დღეს გოეთეს ინსტიტუტის კაფეში ლიტერატურული სალამი მოეწყო, სადაც ჰელგა კურცხალიამ საკუთარ წიგნზე და პროექტზე ისაუბრა, ხოლო გუდრუნ ლეემანმა აქ დანილ ჰარმისის თემაზე ლიტერატურული პერფორმანსი წარმოადგინა. მეორე დღეს თბილისის ისტორიის მუზეუმში, ქარგასლაში გერმანელ და ქართველ მხატვართა გამოფენა „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“ გაიხსნა, სადაც ფიროსმანის რამდენიმე ორიგინალიც იყო გამოფენილი.

გამოფენა ძალზე ხარისხიანი აღმოჩნდა, როგორც წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. გაბრიელა ჰელი და თანამედროვე ხელოვნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. გაბრიელა ჰელი და თანამედროვე ხელოვნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. გაბრიელა ჰელი და თანამედროვე ხელოვნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. გაბრიელა ჰელი და თანამედროვე ხელოვნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.



დტ-მატის, ანგელა ფენშის ფერწერული, სკულპტურული და ფოტო ნამუშევრები როგორც მაღალი ფორმალური ხარისხით, ისე საინტერესო შემოქმედებითი ძიებით და ხედვით იყო აღბეჭდილი.

პროგრამით ასევე წარმოდგენილი იყო კორნელია კლაუსის, შტეფან მალტე პიმბერგის, ფატმირ რასიმის და ბერიტ ციმეს ფილმები. სტუმრები ქართველ მხატვრებთან ერთად მირზანსაც ეს-ტუმრნენ, სადაც ფიროსმანი დაიბადა, დაათვალიერეს სიღნაღის მუზეუმი, საქართველოს სხვა კუთხებიც მოინახულეს და თბილისობის დღე-სასაულასც ჩამოუსწრეს.

პროექტი ნამდვილად წარმატებულია და ეს ყველა შასში მონანილების და დამსახულების დღეს გოეთეს ინსტიტუტის მუზეუმში, ქარგასლაში გერმანელ და ქართველ მხატვართა გამოფენების „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“ გაიხსნა, სადაც ფიროსმანის რამდენიმე ორიგინალიც იყო გამოფენილი.

გამოფენა ძალზე ხარისხიანი აღმოჩნდა, როგორც წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.

ბერიტ ცემერტ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარ ნამუშევარში სანები ელემენტად სწორებით მისი ელემენტია „შეხვედრა ფიროსმანთან“. გაბრიელა ჰელი და თანამედროვე ხელოვნებას – ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას – ჰგავს — საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ხალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.



04.12.2010 - 24.01.2011

ფოტოსიმულაციები

უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის (ifa) გამოფენას
წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში და
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დიტერ აპელტ, ანა და ბერნჰარდ ბლუმები, თომას ფლორშიუც,
იურგენ კლანკე, ასტრიდ კლაინ, ზიგმარ პოლკე, კლაუს რინკე,
კატარინა ზივერდინგ

გახსნა: 04.12.2010, 16:00

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი
სიონის ქ. 8

6 - 12.12.2009

MADE IN GERMANY ბერლინი ფილმის პრემია



თბილისის მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალზე:

თეორი ლენტი, რეჟისორი: მიხაელ ჰანეკე

SOUL KITCHEN, რეჟისორი: ფატი აკინ

უცხო, რეჟისორი: ფერ ალადაგ

ლილა ლილა, რეჟისორი: ალან გშპონერ

შეურმი, რეჟისორი: ჰანს-ერისტიან შმიდ

ასეთი გედიერი არასოდეს ვყოფილვარ, რეჟისორი: ალექსანდერ ადოლფ

კინოთეატრი „რუსთაველი“

ფილმების განრიგი და ბილეთების ღირებულება გამოქვეყნდება ფესტივალის
დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, www.goethe.de/tbilissi



GOETHE-INSTITUT
GEORGIEN

მიმოხილვა



1



2



3



4

თბილისის საერთაშორისო კინოფესივალის პროგრამის მიმოხილვა

საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება რეჟისორების პირველი ან მეორე ფილმები შემდეგი ქვეყნებიდან: პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, საქართველო, გერმანია, თურქეთი, რუსეთი, ესპანეთი, სერბეთი და აზერბაიჯანი.

საერთაშორისო უკურის წევრები იქნებიან: უელიმირ უილნიკი (ბერლინის ფესტივალის ორგზის გამარჯვებული რეჟისორი, სერბეთი), ჰანა მასმალბაფი (რეჟისორი, ირანი), მარიამ დ'აბო (მსახიობი, დიდი ბრიტანეთი), ნანა ჯორჯაძე (რეჟისორი, საქართველო).

ტრადიციულ გერმანულ სექციაში Made in Germany სხვა რეჟისორებთან ერთად წარდგებიან: მიხაელ ჰანეკე („თეთრი ლენტი“) და ფატი აკინი (Soul Kitchen).

ფრანგული ფილმების პროგრამა: ოთარ იოსელიანი („შანტრაპა“),

უაკ ოდიარი („წინასწარმეტყველი“), კლერ დენი („თეთრი მასალა“) და ბრუნო დიუმინი („პაჯევიჩი“)

ბრიტანული კინოს პროგრამა: კენ ლოუჩი („ერიკის ძიებაში“) და სტივენ ფრირზი („ტამარა დრუ“) და სხვ.

ამერიკული კინოს პროგრამა: კომპოზიტორი ბეთ კასტერი და მისი ბენდი, დამოუკიდებელი ამერიკული კინოს ამომავალი ვარსკვლავის, დებრა გრანიკის ფილმი „ზამთრის მარაგი“ (სანდენსის კინოფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი).

წელს უკვე მეორედ ჩატარდება ინდუსტრიული სახის ღონისძიება „Pitch.DOC: 2010“. პროექტი ითვალისწინებს განვითარების ფაზაში მყოფი დოკუმენტური კინოპროექტე-

ბის წარდგენას შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუსეთი, თურქეთი, რუმინეთი.

ევროპული კინოს პროგრამა: აგუსტი ვილას „მწერების ბადე“, დამიტრი მამულიას „სხვა ზეცა“, პოპოგრებსკის „როგორ დავამთავრე ეს ზაფული“ და სხვები.

ქართული პანორამა ახალი ქართული ფილმების რამდენიმე პრემიერას შემოგთავაზებთ.

ფესტივალს სპეციალური სტუმრის სტატუსით ეწვევა ფრანგი რეჟისორი უული ბერტუჩელი, რომლის ბოლო ნამუშევარი „ხე“ (შარლოტ გეზბურით მთავარი როლში) საზემო დასურვის ცერემონიას დაასრულებს.

THE TBLISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

11th
THE
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

6 - 12. 12. 2010



თბილისის
საერთაშორისო
კინოფასტიკალი



სილკნეტ
საერთაშორისო კინოფასტიკა



Georgian National
Film Center
საქართველოს კინეათოლოგიუმ
ეროვნული ცენტრი



georgian events
international entertainment

Marriott
TBILISI



Official Logistics Partner

TBLVINO



საქართველოს მეცნიერებების
აკადემიის მუზეუმი



Focus

mgroup
Media management group

უკან, მომავალში... და თინ ახალი, „სტილიზაციური“ რუსული კინოსაკან დავით ბახერიძიძი



ნოემბერში, ძალიან დიდი ხნის შემ-
დეგ, თბილის რეს კინემატოგრაფისტთა
ვრცელი და წარჩინებული ამაღლა სტუმ-
რობდა. რეჟისორები, მსახიობები, პრო-
დიუსერები, უურნალისტები... მართალია,
გარდასული „პატარა ომის“ შემდეგ ჭრი-
ლობები თითქოს მოშეუძლია, მაგრამ
რეჟისორის სამხედრო ბაზების მშენებლობა
თუ ოფიცრობის ყოველი ახალი როტაცია,
თუნდაც, აქვე, ახალგორში, მუდმივად
გვახსენებს უახლოეს წარსულს.

ალბათ, გახსოვთ, „ჯარისკაცის მა-
მას“ ომით დაღლილი და უბედური ექ-
იმი რომ ეუბნება: „Не время дед в гости
ехать, поехай домой!“! რაღაც ამდაგვარი
გაგახსენდებოდათ, როცა ერთ დროს
საბჭოთა საყოველთაო-საახალწლო
კლასიკოსი, ამჯერად კი ახლად დაარსე-
ბული ფესტივალის პრეზიდენტი, ელდარ
რიაზანოვი რუსული კინოს პირველი ფეს-
ტივალის გახსნაზე, გულწრფელი და გუ-
ლის ამაჩურებელი სიტყვით გამოდიოდა:
„მიუხედავად ყველა დიდი სირთულისა,
რომელიც 2008 წლის ტრაგიკული მოვ-
ლენის შემდეგ არსებობს, ურთიერთლ-

ტოლვა ქართველ და რუს ხალხებს შო-
რის უდავოა, და ვფიქრობ, უძლეველია“.

ფსიქონალიზის ენაზე ეს უფრო

ტრავმული პერიოდის დავინუებას თუ

მეხსიერებიდან განდევნას ჰგავდა.

ფესტივალის ორგანიზატორები და
დამფუძნებლები, მოსკოვში მცხოვრები
ქართველი პროდიუსერი და ბიზნეს-
მენი გია ბაზლაძე და მთარგმნელი კონ-
სტანტინე რიუინაშვილი, ამ რთული

გვახსენებიდან განდევნას ჰგავდა.

ფესტივალის მიზანი და მიზანი

**სინამდვილეში, ფესტივალი
საბჭოთა სტერეოტიპების
გაგანახლებას ჰგავდა. კოსტეკოლოური
ქვეყნისათვის დამახასიათებელი
მოდერნიზაციის და თავისი მომონაბით.**

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის დაცვი-
სა და ათასგვარი მეგობრული სალამ-ქა-
ლამის შემდეგ (ამ მხრივ, განსაკუთრებით
მოსკოვში მცხოვრები კინომცოდნე კორა
ნერეთელი გამოირჩეოდა), ყველა მისა-
სალმებელი ტექსტი მოდიშის მოხდის
ფარული მცდელობის და მეგობრული
დიპლომატის ნაზავს წარმოადგენდა.

სიტუაციიდან გამოსავალს გარკვეული
„არტ-თერაპიის“ წესების დაცვით ცდი-
ლობდნენ. თითქოს საყოველთაო-სამ-
კურნალო კურსი უკვე წარმატებით
ჩავიტარეთ და მტანჯველი სიტყვა „ოკუ-
პაცია“ მეხსიერებიდან რაღაც ჯადოს-
ნური მეთოდით ამოვშანთეთ. ჩვენს
ქვეყნებს შორისაც ყინული გალლვა და

ნელ-ნელა ყველაფერი მოწესრიგდა. უბრალოდ, შევთანხმდით, რომ ჩამოხრ-ჩიბილის სახლში თოკზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ, რადგან არაეთიკურია!

ნოემბრის თბილი დღეების განმა-ვლობში დაგეგმილი თუ დაუგეგმავი შეხვედრები, ბანეტები, დისკუსიები თუ ეჭსკურსიები, სინამდვილეში, ძველი საბჭოთა სტერეოტიპების გაგრძელებას ჰგავდა. პოსტკოლონიური ქვეყნისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებული მონ-დომებისა და თავის მონინების გარდა, მასპინძლებმა სტუმრებს გულუხვობისა და პურიბის ძველებური გაკვეთილები შეახსენეს (წინანდალი, ჩახობბილი, ცეკ-ვა-სიმღერა, მცხეთის სანახები) და ერთი ახალიც მიუმატეს. უფრო ზუსტად, ეს დროში დამთხვე: რეზო გაბრიაძის გა-ნახლებული თეატრის გახსნა და მისივე პროექტით აშენებული დახრილი, საა-თიანი კოქი თეატრის გვერდით, შავთე-ლის ქუჩაზე. პლუს გაბრიაძის ძველი და დაუკინებარი სპექტაკლი „სტალინგრადის ბრძოლა“, რომელსაც რუსეთის ლამის ყველა თეატრალური პრემია აქვს მინი-ჭებული.

მოკლედ, საბჭოთა დროიდან გამოყო-ლილი სტუმრის „საფუძვლიანად“ მიღების საპატიო უანრი უცვლელად იყო შენარჩუ-ნებული, ისევე როგორც უცვლელი იყვნენ

პერსონაჟები: საპატიო რეზო ჩხეიძიდან, მერაბ კორნაშვილიდან თუ ელდარ შენ-გელაიადან დაწყებული, გარდაცვლილი სოფიკო ჭაურელით დამთავრებული, რომლის სახელმძიმელის პრიზიც (კინოხ-ელოვნებში შეტანილი წვლილისათვის) თავად რიაზანოვმა დააწესა.

ახალი ურთიერთობის დაწყება თუ შეხების წერტილების ხელახლა აღმოჩენა ისევე რთულია „ძველების“ სურვილებში, როგორც სიახლის პოვნა რიაზანოვის ათი წლის წინ გადაღებულ „ბებერ ჯა-გლაგებში“, „ბედის ირონია 2-ში“, ან რაიმე განსაკუთრებულის აღმოჩენა 70-იან წლებში ესთეტიად შერაცხულ სერგეი სოლოვიოვის ახალ, სინამდვილები კი ძველზე გაცილებით უარეს ფილმებში... და ეს სტარდება ეს დაუსრულებელი საბჭოთა რიმეიკები, დავიწყებული მე-გობრობისა და ყალბი სიყვარულის ამამ, გაქავებული ჟესტები? გაცვეთილ გრძნობათა მუდმივი „არქეოლოგია“, რო-მელიც სინამდვილები აღარ არსებობს ან არავის ჭირდება?

თუ მაინცდამანც უნდა გაიმარ-თოს რუსული კინოს ფესტივალი, ხომ არ აჯობებდა „სუფთა ფურცლიდან“, ანუ ახალგაზრდა თაობიდან დაგვეწყო. ამით განცვეტილი კინემატოგრაფიული კავშირიც აღდგებოდა და გარკვეული

იდეოლოგით მონამლულ ახალ თაობას რუსეთში (მათ უმრავლესობას, მაგალი-თად, ჰერინია, რომ საქართველო მრა-ვალმილიონიანი მუსულმანური ქვეყანა) შესაძლებლობა ექნებოდა, ქართულ კი-ნოს და კულტურას ახლოს გაცნობოდა. მით უმეტეს, რომ უკვე გადაწყვეტილია, რომ ქართული კინოს დაწყები რუსეთ-შიც უნდა გაიმართოს. მანამდე კი უკან, მომავალში უფრო დავბრუნდით, ვიდრე სიახლე აღმოვაჩინეთ.

ხელოვნებისა და კულტურათშორის დიალოგის საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებული რუსული კინოს ფესტივალი ათობით ძველ და ახალ რუ-სულ ფილმს გულისხმობდა. მათი ნახვა მაყურებელს კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზებში შეეძლო. ფესტივალის გახს-ნის დღეს ნაჩვენები რიაზანოვის ექსცენ-ტრული კომედია „ბებერი ჯაგლაგები“ ათი წლის წინაა გადაღებული და ცნო-ბილი მსახიობების – ლია ახევაკოვას, ლუდმილა გურჩენკოს, ირინა კუპჩინკოს თამაშისა თუ რეჟისორის მონდომებული ტრიუკების გამო, ძველის რეინჯარნა-ციას უფრო ჰგავს. თუმცა, რაც უფრო მონდომებულად ასახავს რეჟისორი ახალ რეალობას, მით უფრო ახლო საბჭოთა ეპოქასთან. დრო დაუნდობელია კინ-ემატოგრაფის მიმართ.

ფილმების მიმოხილვა

რიაზანოვის „საკარნავალო ლამის“ რიმეიკი მხოლოდ ძველის ფერმკრთალი ასლია. „პერესტროკის“ გარკვეულ ნოსტალგიას აღძრავს სერგეი სოლოვიოვის „ასასა-2“, რო-მელიც 80-იან წლებში მის მიერ გადაღებული საკულტო ფილმის ერთგვარი გაგრძელება.

„ანა კარენინა“ კი რეჟისორის და-ხვნილ, მაგრამ ხელოვნურ, ჰერმე-ტულ სამყაროს ასახავს და ცოტა რამ აქვს საერთო ტოლსტოის რომანთან. ფესტივალზე უწვენეს გლებ პანფილოვის „შეინახეთ სამუ-დამოდ“, რომელიც სოლენიცინის რომანის („პირველ წრეში“) ეკრანი-ზაფიაა, პაველ ლუნგინის „მეფე“, ალექსანდრ ბალაბანოვის „მორფი“, ანდრე ზვიაგინცევის „დაპრუნება“

(„ოქროს ლომი“ ვენეციის კონფესტივალზე), ალექსანდრ რომელთა ფილმები მხოლოდ ნარსულის გზავნილს ნიშნავს პროშინის „სასანაული“ და ა.შ. მაგრამ ყველაზე საინტერე-

სო რუსული კინემატოგრაფის მთავარი ჯილდოთი – „ნიკა-თი“ წახალისებული „სტილიზაცია“, რომელიც ახალგაზრ-და ვალერი ტოდოროვსკის ნარმატებული კინომიუზიკლია.

50-იანი წლების მოსკოვის რეტრო-ატმოსფერო, კლიპბის ესთეტიკით გადაღებული სცენე-ბი, სიყვარულის და ჯაზის სურ-ნელი თუ ფერადოვანი კოსტუმები თვალისათვის საამოა, მაგრამ აშეარად ამერიკული გავლენით აღექვდილი. იქნებ რუსული ფილმების მომავალი ფესტივალი სწორედ ასეთმა თავისუფალ-მა „სტილიზაცია“ – რეჟისორებმა გადაარჩინონ, და არა საბჭოთა სურნელითა და რიმეიკებით „შეპურობილმა“ „რიაზანოვებმა“,



და არა – მომავალს.

გეორგ ბაზელიშვი საქართველოში ...სპონს გვიან და თუდოას, გრაფიკულად

ლავით ბახერიძე

ხელოვნების სახელ-
მწიფო მუზეუმში გვიან,
მაგრამ მაიც ჩამოაღწია
თანამედროვე გერმანელი
მხატვრის, უკვე კლასიკო-
სისა და არტ-კრიტიკოსე-
ბის მიერ „ახალი გელუ-
რების“ კლასიფიკაციაში
მოხვედრილი გეორგ ბა-
ზელიცის ნამუშევრებმა.
თუ საქართველოში თა-
ნამედროვე ხელოვნების
განვითარების ტემპებსა
და შესაძლებლობებს გა-
ვითვალისწინებთ, საქმაო
დაგვიანების მიუხედა-
ვად, ეს კარგი დასაწყი-
სია. ვინძლო, მალე სხვა
გერმანები „ველურების“
გამოფენებიც ვიხილოთ.
მაგალითად, ფერთა გამა-
ოგნებელი აგრესით შე-
პყრობილი ზიგმარ პოლკე,
ან არტ-კონცეფციებით
„დახუნძლული“, იმრგ
იმენდორფის უზარმაზარი
ტილოები.

გამოფენა, რომლის სა-
ხელწოდებაა „გეორგ ბაზელიცი: 1965-1992 წლების ბეჭდური
გრაფიკა“, ხელოვნების მუზეუმის სამ დარბაზშია განთავსე-
ბული. ბაზელიცის 80-ზე მეტი გრაფიკული ნამუშევარი ნა-
მდგოლად მოვლენაა თანამედროვე ხელოვნებით ნაკლებად
განებიცებული ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. გამოფენის ორ-
განიზებაში, პირველ რიგში, იყოჩაღა გორეთს ინსტიტუტმა
და ასევე, გერმანიაში ცნობილმა ორგანიზაცია IFA-მ (უცხო-
ეთთან ურთიერთობის ინსტიტუტმა).

თუ ბაზელიცის შემოქმედებას კარგად იცნობთ, შესა-
ძლოა, გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება გაგიჩნ-
დეთ ნამუშევრების შერჩევის მიმართ. თუნდაც იმის გამო,
რომ ნეო-ექსპრესიონისტი მხატვრის შთამბეჭდავი ფერწერის
ნაცვლად, მხოლოდ გრაფიკულ ნამუშევრებს იხილავთ. და
მაიც, მისი ამოყირავებული პორტრეტები თუ საგნობრივი
ობიექტები, უცნაურად მჭმუნვარე არწივები თუ სექსუალუ-
რი ვნებით „დატვირთული“ სხეულები, პერსპექტივისაგან გა-
თავისუფლებული ხედვა და ზოლებად დანაწევრებული, ე.წ.
ფრაქტულები, მძლავრ და შთამაგონებელ ზემოქმედებას ახ-
დენს.



**აქტიური სოციალურობა,
ფერწერული ახპონი
ისტორიას ჩაბარება. ახლა
მხატვრისთვის ტრანსფორმაციისა
და ელექტრონური გამოწვევის დროა...**

გერმანელი მხატვრის შემოქმედებას 80-იანელ-
თა თაობის ახალგაზრდა ქართველი ხელოვანები თუ კრიტიკოსები მირი-
თადად, ალბომებით იც-
ნობდნენ. თუმცა ინფორ-
მაციული თვალსაზრისით, საბჭოთა სივრცესათვის ეს მაიც რაღაც ნიშ-
ნავდა. გეორგ კერნი (ეს მხატვრის ნამდგოლი გვა-
რი) აღმოსავლეთ გერმა-
ნიაში, ქალაქ ბაზელიციში დაბადდა და მოგვიანებით ქალაქის სახელი მისი ფსევდონიმი გახდა. სლო-
განი – „რეალობა თვად
ნახატია და ის რეალუ-
რად არასოდეს აისახება“
– ბაზელიცის შემოქმედე-
ბის მთავარი თემა გახდა.
60-იანი წლების მკვეთრად
მეამბოხე იმიჯისა და „ვე-
ლური“ ექსპრესიონის-
ტული ხაზების შემდეგ,
80-იან წლებში ბაზელიცი
შეგნებულად უბრუნდება
ინტროვერტულ, შინაგან და უხმო განცდებს. მისი მხატვრობა
უფრო მკაცრი, კონცეპტუალური და ნაკლებად გასაგებია, მა-
გრამ მიზანს მაიც აღწევს.

ბაზელიცი მეოცე საუკუნის ხელოვანია და არ შეიძლება, დროს და სოციალურ გარემოს თავისი კვალი არ დამერჩია მის ხელოვნებაზე. თუმცა უკვე გვიანდელ, 21-ე საუკუნის ნამუშე-
ვრებში იგი გაურჩის კონცეფციებს და ულრმავდება პრიმიტიულ ხელოვნებას. განსაკუთრებით აფრიკული კულტურისთვის და-
მახასიათებელ ხეზე ნაკვეთ ხელოვნებას. ამის მაგალითია დრე-
ზდები, გამოფენაზე ნარმოდებილი, ხის სკულპტურები. მოუ-
ხეშავი, ექსპრესიული და გიგანტური ფორმის სახეები...

გეორგ ბაზელიცი ამჟამად 72 წლისაა და მიუნჟენის მახლო-
ბლად მდებარე ამერზეს ტბის ნაპირას ცხოვრობს. აქტიური
სოციალურობა, ფერწერული ამბოხი და მისი სამშობლო – გდრ
ისტორიას ჩაბარდა. ახლა მხატვრისთვის სიმშვიდის, ტრანსფორ-
მაციისა და ელექტრონერებით მუშაობის დროა... სხვათა შორის,
ხელოვნების მუზეუმში ნარმოდებილი ნამუშევრების გარდა,
დაინტერესებულთ შეეძლოთ რეჟისორ პაინც პეტერ შვერფელის
50 წელიანი დოკუმენტური ფილმის, „გეორგ ბაზელიცის“ ნახვაც.



ინფორმაციის სანდო წყარო

ფაქტები და ანალიზი ვაშინგტონიდან
ყოველ დღე 20:00 საათზე



საპარავებოს საზოგადოებრივი მუნიციპალიტეტი

- 100.3** ქუთაისი
100.6 გორი, თელავი
101.3 ზუგდიდი
102.4 ბათუმი, ახალციხე, ამბროლაური,
ჭიათურა, საჩხერე, მესტია,
ლენტები, თბილისი

...რაღაც ყველანი ლამაზები ვართ

ლავით ბუხრიძეშვილი

თბილისის საერთა-შორისო თეატრალური ფესტივალის შემდეგ პრემიერები აშკარად „შე-თხელდა“, მაგრამ საგან-გაში არაფერია: საშობაო დღესასწაულებს, კონ-ცერტებს და საერთო-დაც, გართობის მიზეზს ჩვენთან რა გამოლევს. თუმცა დასამხსოვრე-ბელი პრემიერები მაინც იყო. მაგალითად, თემურ ჩხეიძის „კამერული ოპერა „ბრძა მხედველი“ (ბრაიან ფრილის პიესა მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე) გოგი ქავთარაძის დადგ-მული „ხალხის მტერი“ თუმანიშვილის თეატრში და ანდრო ენუქიძის „ვთა-მაშობთ სტრინდერგას“ რუსთაველის თეატრში.

თუმცა ყველაზე და-საფასებლად, გაბედუ-ლად და, ცოტა არ იყოს, ირონიანაზავ აქციად გვეჩვენება გოეთეს ინსტიტუტის პატრიო-ტული პროექტი „თანა-მედროვე გერმანული პიესა ქართულ სცენაზე“. მიუხედა-ვად იმისა, რომ ეს უფრო მცირე მასშტაბის კულტურული აქციაა, მაინც დასაფასებელია – როდის იყო, ცოცხალი და, მით უმეტეს, ახალგაზრდა გერმანელი დრამატურ-გების პიესებს ინტენსიურად დგამდნენ საქართველოში.

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენასა და სამეფო უბნის თეატრში დადგმული პიესები – როლანდ შიმელპფენიგის „ქალი წარსულიდან“ რუსთაველში (რე-ჟისორი მაკა ნაცვლიშვილი) და მარიუს ფონ მაიენბურგის „მახინჯი“ (რეჟისორი დათა თავაძე, სამეფო უბნის თეა-ტრში), ერთგვარი გამოცდა. შეძლებს თუ არა პუბლი-კა, დააკავშიროს საკუთარი კულტურულ-თეატრალური წარსული თანამედროვე დასავლურ პიესებში წამოჭრილ პრობლემებთან.

მარიუს ფონ მაიენბურგიც და როლანდ შიმელპფენი-გიც, ალბათ, ყველაზე პოპულარული დრამატურგები არიან გერმანიაში. მაგალითად, მაიენბურგის წარმატება ცნობილი რეჟისორის, ტომას ოსტერმაიერის ავანგარ-დულ სპექტაკლებსა და ბერლინის სახელოვანი თეატრის,



რეჟისორი ლათა თავაძე ცლილობს მცირე

ლა ირონიული ეროვნული კულტურული

„სილამაზით“ ალმოფხვრას
მარიუს ფონ მაიენბურგის
პერსონაჟების ტოტალური

„სიმახინჯე“

სოსო ხვედელიძის კარგი ნამუშევარი), რომელიც ენით აუნერლად მახინჯა და პლასტიკური ოპერაციის შე-მდეგ არამინიერად ლამაზი ხდება, ცხადია პაროდიაა (ან თუ გნებავთ, პარაბოლა) საზოგადოებაზე, რომე-ლიც მხოლოდ სექსით, ფიტნესითა და გარეგნობითაა დაკავებული.

პერსონაჟთა ინდივიდუალობა და შინაგანი განცდები ქორეოგრაფიული და ეროტიკული ირონიითა ჩანაცვლე-ბული. მახვილგონივრულად მოფიქრებული რეჟისორული სცენები და გამართული დრამატული ტექსტი (თარგმა-ნი დავით გაბუნია) იოლად მოსანელებელი. ამის მიღმა მარდი სხეულების პლასტიკას, მარჯვე ფეხებასმას და უნისექსით ნაკარნახევი აბსტრაქტული კოსტიუმების შავ ელვარებას იგრძნობთ. დიალოგების სირთულე კი რე-ჟისორმა სცენურ სივრცეში „დაშლილი“ მონოლოგებით გადაწყვიტა. მოკლედ, რეჟისორმა დათა თავაძემ მაიენ-ბურგის სოციალურ-გროტესკულ პიესას უფრო ირონიით გაზავებული ქორეოგრაფიული ფორმა მოუძებნა, ვიდრე დრამატული.

„შაუბუნეს“ სცენას უკავშირდება.

ამგვარი შესავალი დაგვჭირდა იმის ასა-ხსნელად, თუ რატომაა მნიშვნელოვანი დათა თავაძისა და მაკა ნა-ცვლიშვილის თუნდაც არასრულყოფილი, მა-გრამ მაინც საინტერე-სო რეჟისორული ნა-მუშევრების შეფასება. თუმცა მაკა ნაცვლიშ-ვილს ნამდვილად არ გაუმართლდა და ჯერ კიდევ ოქტომბერში დანიშნული პრემიე-რა ორჯერ გადაიდო. მერე მთავარი როლის შემსრულებელმა ნა-ხუკა ხუსკივაძემ ხელი მოიტეხა და ა.შ. რაც შეეხება დათა თავაძის სპექტაკლს სამეფო უბ-ნის თეატრში, მისი ნა-ხვა ნამდვილად ღირს თეატრალისათვის.

გამომგონებელ ლე-ტეს ისტორია (ახალ-გაზრდა მსახიობის,

შესაძლებელი მოქმედები

ეცნობა

კალ

2010

განახლება
თრგუმანისტიკა
ეკოსისტიკა



კონკურსი „ლებიუმი“ გრძელდება!

დებიუტანტ ავტორებს კვლავ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა კონკურს „დებიუტში“, რომელიც წელს უკვე მესამედ იმართება.

პუბლიცისტიკა, ფოტოგრაფია, ილუსტრაცია –
ამ ნომინაციებში გამარჯვებულებისთვის, სხვა მრავალ პრიზთან ერთად, „დებიუტის“ მთავარი საჩუქარი
ურნალ „ცხელ შოკოლადთან“ თანამშრომლობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, ატვირთოთ ნამუშევრები, არაუგვიანეს 2010 წლის 10 დეკემბრისა,
ვებგვერდზე: www.shokoladi.ge

გამარჯვებული ნამუშევრები დაიბეჭდება ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ იანვრის ნომერში.

გამარჯვებულებს, დაჯილდოების ცერემონიალზე, პრიზებს „დებიუტის“ პარტნიორი შემდეგი კომპანიები გადასცემენ



შოკოლადი

„SEAZONE“ მოსახლეობი

შოთა გაგარინი

კინოში ვიყავი. პო, კარგი – კინოთვატრ-ში, – მაგრამ დარბაზში ისეთი ატმოსფერო იყო, რომ „კინოში ვიყავი“ უფრო ლოგიკური იქნება. დარბაზი სავსე იყო საგანგებოდ „ჩაკასტუ-მებული“ ბიჭებით და გამოწყებილი გოგონებით, უფულო, მაგრამ ამაყი ვარსკვლავებით და ჩალიჩა, საამაყო შეყვარებულებით, რო-მელთაც მოახერხეს სა-განგებოდ დავარცხნილი სატრიფოსთვის „სეზო-ნის“ პრემიერაზე მოსა-წვევების შოვნა. ნაღდი დღესასწაული იყო.

ფილმის დაწყებამ-დე სცენაზე გადამდები ჯგუფი შეიკრიბა – და-წყებული რეჟისორებით, დამთავრებული ეპიზო-დური როლის შემსრუ-ლებლებით. სცენაზე იდგა ყველა – სცენარის-ტის გარდა. ამ სანახაობას სცენარისტიც ჩემსავით დარ-ბაზიდან ადევნებდა ოვალყურს. კიდევ კარგი, იჯდა მაინც და პარაზიტი უზრნალისტივით ფეხზე არ დააყენეს. ასე-თებიც იყვნენ. იძულებული ვიყავი მეფიქრა, რომ ფილმის შემქმნელთა სუვერენულ ერთობაში სცენარისტი ვიღაც დე-ფაქტო ფიგურა გახლდათ, როგორც სერგეი ბალაფში. და რომ ფილმის დემიურგთა აზრით, ეპიზოდური როლის შემსრულებელიც კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სცენა-რისტი. ეს ჰიპოთეზა იმანაც განმიმტკიცა, რომ ტიტრებში სცენარისტის სახელის ნაცვლად, სხვა ეწერა – დავით, ნა-ცვლად გურამისა. ქართული სატელევიზიო პროდუქციის წარმოებისას ამგვარი მიდგომა სიმპტომურია. სიუჟეტურ გადაწყვეტილებებს იღებს ყველა – პროდუსერები, რე-ჟისორები, ლამის ეპიზოდური როლის შემსრულებლებიც, მაგრამ არა პროფესიონალი სცენარისტი. სცენარისტები უბრალო „ტკაჩები“ არიან, რომელთაც მხოლოდ დიალოგე-ბის აწყობას ანდობენ. ეს სულელური ტრადიცია, როგორც ჩანს, არც „ექსპერიმენტულად ჩაფიქრებულმა“ ახალგაზრ-დულმა, მაგრამ ტრადიციისთვის პატივმიმგებმა „სეზონის“ დაარღვია, რაც, შესაბამისად, აისახა ფილმის სიუჟეტზე და მისი განვითარების დინამიკაზე.



არ აქვს მნიშვნელობა ჩათუმას ჩაღატავაში, ტყიზე თუ ბებოს სარდაფს. ეს მხოლოდ დეკორაციაა.
ამ ტიპის დრამების შემთხვევაში, მაყურებლისთვის, გზა კათარზისამდე პერსონაჟებზე გადის.

დაისაჯა. სწორედ პროზაულ ნაწილში ჩაიჭრა. საქმე ისაა, რომ ზემოხსენებული მოტივის განვითარებისთვის აუცი-ლებელი ქრონოგრამის არა მინაზე, არამედ პერსონაჟის თავშია: ფილმის მთავარი დამსახურება – ბათუმის დაცა-რიელება, და შედეგად, უწევეულო კადრები კი არა, – სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო. არ აქვს მნიშვნელობა ბათუ-მს გადაეტავ, ტყიზულს თუ ბებოს სარდაფს. ეს მხოლოდ დეკორაციაა. ამ ტიპის დრამების შემთხვევაში, მაყურე-ბლისთვის, გზა კათარზისამდე პერსონაჟებზე გადის.

წარმატებისთვის, ამ შაბლონურ მოტივს პუბლიკისთვის მკაფიოდ უნდა ეჩვენებინა, რომ როცა ჩვენ ჩაგვყრიან ცხოველების, ანუ მხოლოდ ბატონ-ყმის, პატრონ-ტყვეს, გუშაგ-პატიმრის როლებით გაჯერებულ სისტემაში, ჩვენ არაფრით უკეთესი არ ვიქნებით ცხოველებზე. შიგ სახეში უნდა გაერტყა ჩემთვის და ეთქვა – ილუზიებში ცხოვრობ! სინამდვილეში, როცა გადარჩენა ერთადერთი პასუხია – ადამიანობა, მეგობრობა, სიკეთე, მორალი, – შენთვის, უბრალოდ, ალარ არსებობს! ამისთვის კი პერსონაჟების ხა-სიათების იმგვარი პალიტრა უნდა შემოეთავაზებინა, რომ ნებისმიერ მაყურებელს მარტივად შეძლებოდა საკუთარი თავის ამოცნობა, რომელიმე „გიორგიში“.



გამოიცერთ „ცხელი შოკოლადი“
თაღისაღი მხრივო 49 ლარად

ჟურნალს, გამოსვლის დღესვე, თქვენს სამუშაო ადგილას მოგაწვდით

საკონტაქტო ინფორმაცია:
822 23 37 31, 899 48 62 41
gamocera@shokoladi.ge

ვისაც მხატვრული ლიტერატურის შექმნასთან ან აქტიურ კითხვასთან რამებ საერთო ჰქონია, იცის რა ფილიგრანული აწყობა სჭირდება პერსონაჟს, მით უმეტეს, თუ მთელ ფსონს მის ფსიქოლოგიაზე ჩამოდიხარ. აქ ზედაპირული წარმოდგენებით და მსგავსი ფილმების ნახვით ფონს ვერ გახვალ. აქ პროფესიონალის ხელი გჭირდება. იმ პროფესიონალის, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი იქნება შენთვის, რომ ტიტრებში სწორად მოიხსენიებ.

„სეზონში“ კი პერსონაჟის ხასიათის ორი ნაირსახეობა არსებობს, ორი ქართული ნაირსახეობა: დედიკოს/მამიკოს ბიჭი ან ძველი ბიჭი. რისთვის დახარჯეს ოთხი პერსონაჟი? გაუგებარია. ფსიქოერარქიული პარადიგმის საილუსტრაციოდ მხოლოდ ჭამა-სმის განაწესი იქმარეს, შიშის გამოსახატავად კი „დაგვენძრა ბოზიშვილივიყო“. შეშლილობის საჩვენებლად, რეჟისორის აზრით, არაა საჭირო საეჭვო, მონოგრაფიული სიმშეიდით სცენის უკიდურესად დამუხტვა და მერე პატარა ჩქამი, რომელიც ყველაფერს ამბობს; შეუმჩნევლად ამბივალენტურობის შოკური ელემენტის შემოცურება – აი, ვთქვათ, ისე, როცა გმირი უბრალოდ აკაკუნებს „all work no play makes jack a dull boy“. არა. საკმარისია ჭუჭყიანი ბიჭი ანახო, რომელიც ბათუმის ცარიელ ქუჩებში დარბის თვალისცეცებით. მორჩა. შეშლილია. როგორ? რატომ? ეს ის კითხვებია, რომლის დასმის პრივილეგიაც მაყურებელს, ამ შემთხვევაში, არ ჰქონია.

ქალ პერსონაჟებზე საერთოდ არ ღირს საუბარი. როგორც ჩანს „თანამედროვე“ და „ექს-პერიმენტულ“ ქართულ კინოში, ჯერჯერობით ქალს მხოლოდ ორი ფუნქცია აქვს. მას აქმევენ და უიმავენ. რაის ხასიათი!..

რაც შეეხება ფილმის განვითარებას: მეთხუთმეტე წუთზე დაძაბულობა თითქმის პიეს მიუახლოვდა. იგივე ნიშნულზე გაჩერება, და, მით უმეტეს, გრაფიკის აღმასვლა კი ძალიან ძნელ ამოცანად გამოიდგა. ბედის ირონით, რეჟისორს იგივე დაემართა, რაც მისი ფილმის გმირებს: გაზის პედალს დროზე ვერ აუშვა ფეხი. ნაცვლად იმისა, რომ ახალი კონფრონტაციები გეგმაზომიერად, ნელ-ნელა შემოეტანა, მაშინვე დაყარა ხელიდან ყველა კოზირი, ხოლო ჯოკერი, რომელიც პერსონაჟების ფსიქოლოგიურ ლანდშაფტზე განვითარებული ბრძოლა უნდა ყოფილიყო, საერთოდ დაკარგა. გარკვეული მომენტიდან უწყვეტი ემოციური კავშირი პერსონაჟებს შორის, რომელთაც ჩვენი ემოციებიც უნდა ჩაბმოდა – გაწყდა. და პერსონაჟების ხასიათებმა გადაწყვეტა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაიწყეს. კავშირის და კონფრონტაციის გარეშე კი ფსიქოლოგიური დრამა წარმოუდგენელია.

ჰიობბიგელის „ექსპერიმენტი“ კიდევ ერთხელ მაშინ გა-

მახსენდა, როცა, ზუსტად ისევე, როგორც ექსპერიმენტში, მთავარი გმირის შეყვარებული – თითქმის შეუმჩნეველი პერსონაჟი, – პარალელური ისტორიის ცენტრად მოგვევლინა. სწორედ ეს გოგონა არის შეკრული წრიდან გასვლის ერთადერთი გასაღები. „სეზონი“ ლაიტმოტივად გასდევს სულ ერთი კადრი: გოგონა სატრაფოს უცდის. საბოლოო ჯამში, სიყვარული თავისებურად კი ზემობს, მაგრამ, არ ვიცი რას დავაბრალო, იმ ავტედით გაზის პედალს, გადამლაშებას თუ სენტიმენტალიზმს – „ბლერის ალქაჯის“ და „ექსპერიმენტის“ მიმართულებით აფრენილმა რეჟისორმა ბოლოს „ქარნალებულებში“ გაადინა ბრაგვანი.

თუმცა, მთვლემარე მაგრამ მაინც ახალგაზრდულმა სულმა (ფილმზე მომუშავეთაგან ყველაზე უფროსი 26 წლის რეჟისორი გახლდათ) თავისი ქნა და მაყურებელს ბევრი სასიამოვნო სიახლე შესთავაზა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მსახიობები არაპროფესიონალები და სასიამოვნოდ ბუნებრივები იყვნენ. ისინი არ „თამაშობდნენ“. მართლა მოვიხიბლე ეპიზოდური როლის შემსრულებლით, რომელიც თავად ფილმის პრიდიუსერი გახლდათ. იდგა ბენზინგასამართ სადგურზე და სტოიცისტი ზენონის გამომეტყველებით გაჰყურებდა ჰორიზონტს, თან ჭუჭუს აწვალებდა. რამდენიმე წამში იმაზე მეტი თქვა საკუთარ გმირზე თავისი სახასიათო, ცხოვრებისეული ჟესტიკულაციით, ვიდრე მთავარმა პერსონაჟებმა მთელი ფილმის განმავლობაში. მოკლედ, ძალიან მომენტა, რომ, ბოლოს დაბოლოს, ეს გულისამრევი თეატრალური გროტესკი, რომელიც რატომლაც ხარისხის ნიშნად მიაჩინათ

თანამედროვე რეჟისორებს, გაუფასურდა. დარბაზში ვიგრძენი, რომ მაყურებელს უკვე ყელში აქვს ამგვარი კოტაპრუნობა. რამდენი სიტყვა „გაგვედო“, „ანძრევ“ ან სხვა თბილისის ლინგვისტური „შირპატრები“ გაისმა – ბუნებრივად, ხელოვნური პროფანიზმის გარეშე – იმდენჯერ გახალისდა პუბლიკა. უხარიდათ, გრძნობდნენ, რომ ეკრანიდან მათ არ ატყუებდნენ. და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გადაღებას დასჭირდა ბევრი ფული, დრო, დიპლომატია (პარ, მოსახლეობით საქართველოს მესამე ქალაქში საგანგებოდ გადაღებისთვის გამოცხადებულ ევაკუაციას სხვა რა დავარქვათ).

კარგია, რომ ფილმის მესვეურები არ შეიპყრო საბჭოთა ფესვების მქონე, ასე გავრცელებულმა სენმა: უაზრო აროგანტულობამ და რაღაც ეპოქასურის შექმნის ჟინმა, გინდა საუკუნის წიგნის დაწერის კომპლექსმა. უბრალოდ, პატიოსნად ადგნენ და გადაიღეს საპოპკონე ფილმი. თანაც, ჩვენი სივრცისთვის უჩვეულო და ახალი ჟანრის ათვისებას შეეცდნენ.

„სეზონში“ კი პერსონაჟის ხასიათის მრავალი განვითარება

არსებობს, რომ კართული ენისახეობა: ლეიქოს/მამიკოს ბიჭი

არ არის ბიჭი. რისთვის დახარჯეს რომელი პერსონაჟი? ჩაუგებარისა.



ჯ.მარტ
G.mart

www.gmart.ge

როცა ყიდვა გსიამოვნებს

სუპერმარკეტი ჯ.მარტი ქახვასია

ციფრული გადახინის ქ.7 ტელ. 242 314

სუპერმარკეტი ჯ.მარტი ცენტრი

ვაბენის მოედანი 2 ტელ. 200 314

ანსამბლი „რუსთავი“

მიშა მღიმარებელი

სცენაზე კულისებიდან გავედი, ანსამბლი უკვე რეპეტიციონდა. ანზორ ერქომაიშვილი პარტერში, სადღაც მე-8 რიგში იჯდა და ისე უსმენდა მომძერ-ლებს, თოთქოს ეს პირვე-ლად ხდება. მივესაღმე, გამიღმა და მითხრა ეს „ყანურია“, ლეჩეუმურ-იმერულით. ახალი ვა-რიანტი, უფრო სწორად ძევლი, რომელიც ახლა შევიტანეთ რეპერტუარ-ში. ეს პირველი სასიამო-ვნო ცნობა იყო, რადგან ანსამბლ „რუსთავის“, მეტნილად, სიმღერების სტანდარტზაფირისა და ვარიანტების მრავალფეროვნების არარსებობის გამო აკრიტიკებდნენ. ხვალინდელ კონცერტზე რამდენიმე სიმღერის ახალი ვარიანტი შეს-რულდება, უფრო ზუსტად კი, მხოლოდ ორი სიმღერა შესრულდება ძველი რეპერტუარიდან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ბარამია-სული „პარიზია“ იქნება, რომელიც აქამდე არ გამეგო და სრულიად გამოიყნა სისადაგითა და ფაქტურული მრავალფეროვნებით. რეპეტი-ციაზე მომღერალი ნაკლებად ტვირთავს თავს და ბუნებრივა, ანსამ-ბლიც ზედმეტი დანახარჯის გარეშე, ლილინით ასრულებდა სიმღერებს.

ანსამბლ „რუსთავის“ საკონცერტო შესრულების ფორმა ასეთია: ცეკვას, ხალხური საკრავების თანხლების გარდა, სიმღერაც ერთივის, რაც უფრო დინამიურს და სანახაობრივად საინტერესოს ხდის ნარ-მოდეგნას. რაც მთავარია, ინსტრუმენტული თანხლება არ ცილიდება ხალხური ინსტრუმენტების ფარგლებს, რაზეც ანზორ ერქომაშვილმა განსაკუთრებოთ გამაბეჭილა ყურადღება.

თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ქართველე-ბისათვის ჩვეულ ტემპში იქსება, კონცერტის დაწყებამდე სულ რაღაც ათი წუთი რჩება, მაგრამ არავინ ჩქარობს, ასეთი მოვლენები ჩვენში ხომ ერთმანეთის მონახულების ადგილი უფროა, ვიდრე ხელოვნებას-თან ზარქოს აქტი. მეც, რა თქმა უნდა, ანზორი ნაწილი და მეტო-ბარი ვნახე და კარგადაც ვიმუშაიფე. ერთი კარგი რამ კი დამკვიდრე-ბულა, მხოლოდ 5 წუთი გადასცდა კონცერტის დაწყებას და პარტერში შექმა კლება იწყო, ყველა იძულებული გავხდით, საკუთარი ადგილები სწრაფად გვეპოვნა და ქალაქის (ცხელ-ცხელი ჭორების მოსმენა ყველა-ზე საინტერესო ადგილას გაგვენვიტა. დაბაზს გადაეხედე, ცარიე-ლი ადგლი, პრაქტიკულად, არ იყო! ფარდა გაიხსნა და მომღერლები ავანსცენაზე განლაგდნენ, ახლა უკვე ტექნიკური მხარე მაინტერესუ-ბდა, რადგან რეპეტიციაზე გახმოვანება ჯერ კიდევ არ იყო. ჩემდა სამწეაროდ, ეჭვები კვლავ გამიმორთლდა და განახლებული ფილარ-მონიის სცენიდან სუსტი, ხალხური სიმღერისთვის შეუფერხებელი ბგე-რა წამოვიდა. კონცერტის გახმოვანების შემდეგ არა ერთი ერთი არა ერთი გამეგება ქართული (ცეკვისა) და მოუხედავად სამსახურის წარმოდგენისა, ისინი სულაც არ იყენებონ წინააღმდეგნი კიდევ არა ერთი საათი დარჩენილიყვნენ ამ გასაოცარი სამყაროს ტყვეობაში.



მოწის განახლებაზე და-სარჯული მრავალი ათასი დოლარი ამ პრობლემას მოსწოდა. როგორც ჩანს, მაღალი საიჯარო გადა-სახადი არ აძლევს და-მქირავებელს რამდენიმე დღიანი მოსამზადებელი პერიოდის გავლის საშუ-ალებას, რაც კანცერ-ტის ხარისხზე უდავოდ აისახება. ეს განათების მუშაობასაც ეტყობოდა რომელიც ხშირად დიდი ცდომილებით მუშაობ-და საკვანძო მოქმედე-

ბების განათებისას. რაც თავად შესრულებას შეეხება, „რუსთავი“ არ ღალატობს შესრულების ჩვეულ, ეპიურ მანერას. მათი შესრულება აკადემიურია და მავანმა მართლაც შეიძლება თქვას – არა, ბატონო, ასე სუფთად სოფთად არ მღეროდნენ. გეთანხმებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ ნამღერში სიყალეც ნაკლებია, რადგან არცერთი მათგანი გლეხი არაა და ვერც გლეხით შესრულებს სიმღერას. ამი-ტომაც მათთა ნამღერი კომიკურ, დამცინვა იმიტაციას არ ემსგავსება. დას, ისინი მღერან ტემპრიორებულად, მათ ნამღერში შეუალებური ტონური ფაქტურები ნაკლებად შეინიშნება (ასეთ ნამღერს აუთენტურს შეცდიმით უწოდებენ) და ხარისხისპიც შესრულება საკამოდ მაღა-ლი დონისაა. არ არსებობს უხარისხო ან უხეშად დეტონირებული ბე-რა. რამდენიმე სიმღერაში აშკარა იყო წამყვანი ხმის გადამტებული საშემსრულებლო ტრაგიზმი, რაც, ჩემი აზრით, აკადემიზმის დროსაც კი სრულიად ზედმეტია, რადგან სიმღერის ინტონაციურ ქარგას მის-თვის არაბუნებრივ შექმნდებას მატებს.

ჩემდა სამწეაროდ, კონცერტზე ვერ მოვისმინე ჩემთვის ასე საყვა-რელი გურული ფოლებორი, ვფიქრობ, ეს ანსამბლის ხელმძღვნელო-ბის სტრატეგიასთანაა დაკავშირებული – შეურჩიოს ყველა დარბაზსა და აუდიტორიას შესაბამისი რეპერტუარი. კონცერტს აპლოდისმენტე-ბი არ მოჰკლება, პუბლიკისა აშკარად ეტყობიდა, რომ სულაც გადა-ავინყდათ კონცერტის დაწყებამდე მოსმენილი უამრავი აზრიანი თუ უაზრო ჭორი, მათი ცნობიერება მთლიანად მოიცვა ქართულმა სიმღე-რამ და მოძრაობამ (რომელზეც შეგნებულად არაფერს ვწერ, რადგან არაფერი გამეგება ქართული (ცეკვისა) და მოუხედავად სამსახურის წარმოდგენისა, ისინი სულაც არ იყენებონ წინააღმდეგნი კიდევ არა ერთი საათი დარჩენილიყვნენ ამ გასაოცარი სამყაროს ტყვეობაში).

წინ დიდი ტურნეა იტალიაში, სადაც როგორც ბატონმა ანზორმა მიამბო, ძალიან პრესტიულ დარბაზებში საკრავი მაღალი რანგის სტუმრებს ელიან! იმედი მაქსის, ქართული ხალხური სიმღერა სცენი-დან კვლავ ერში დაბრუნდება და იქ გააგრძელებს განვითარებას, რათა მხოლოდ იმით კი არ ვამაყოთ, რაც აქამდე გვეკონია, არამედ სწორედ იმით, რაც ამიტოდიან გვექნება.



caravan

ლიტერატურული ხიდი

გამატარები ზამთრის
ციცვი - საღამოები
ჩვენს თბილ და
მყაფი გარემონტი

მრავალფეროვანი
მასიურალური პროგრამი

სიახლე
13-დან 16 საათამდე
4 განსხვავებული
პიზის დანერგია
ფასი: 15,99 ლარი

საუკათასო აღგილი: განეცილებისთვის,
ლიტ-საღამოებისთვის, კონკრეტული
შეარიგებისთვის.
სამზარეულო: აზიურ-ევროპული
აღგილების რაოდენობა: 90
მისამართი: ა. ჭურიავაშვილი №10
ტელ: 996691/874880378

No Live – No News

ბოლო ხანებში, ჩემს ტელევიზორს არც კაშელი აქვს მიერთებული, არც სატელიტი და არც სახურავის ანტენა. ამ წლების მანძილზე სახლში ტელევიზორის ფუნქცია იქამდე დავიდა, რომ მას მხოლოდ დივიდიზე ან „ფლეისტერშენზე“ ჩასართველად ვიყენებთ, ანუ იმის მაგივრად, რომ მივიღოთ ტელესადგურის წარმოებული სიგნალი, ტელევიზორის ეკრანზე გადავცემთ მხოლოდ ჩვენით არჩეულ გამოსახულებას – კერძოდ, თამაშებს.



ავტორი: გიგი გულელაძე

ԿՐՏՏԻՀԱՅՑՈՂՄԱՆ
ՌՊՀՆՍ ԵԱԽՈՍ ՇԱՅԼՈՅ,
„ԸՆՈՎՈՒՑՈՒՅ“ Հար
ԽՈՑԵՄՈՑԽՈՅ ԿԸՆՔ,
ԵՐԸՆ ՇԱՅԼՈՅ
ԱՀՏԵՑՈՅ ՇԱՅԼՈՅ
ԲԱԽՈՎԱԾԱ ՃԱ ԵՐԴ
ՋՈՂ, ԳՈՅՆՈՎԱԽԱԾ
ՔԱՅԱԽՈՅԱԼ,
ՄԱՑԽԱՅ ԹՐՎԱՑԿՈՅ
ՍԱՀՈՎԸՆԱՅԱՅ ԾԸՆԿԱԼ
ՈՒՏԱ. ԸՆՈՎԱՆԵՈՎՈՅ
ԲԱԺՄՆՍԱԽՈՂՈԼԱՅ,
ԲՅԵՆ ԳԱՀԱՅՅՈՒՐՆՈՒ
ԿՈՂՈՅ ՋՈՂՏԱՆԵ
ԹՐՎԱՅՅՈՅ
„ԳԸՆՈՎՏԵՈՒՑՈՒՅՆԵ“
ԵՎՏԱԾԱԿՈՒԽՈ
ԴԻԽԱՆԵԾԱՅՈՒ, ՀԱԾՈՒԱՆ
ԱՐ ՋՈՒՆ ԵԽՎԵՑՈՒ
ՄԱՀՈՒՑԱՅՈՒ ԾԻՐՈՈՒ
ԵԱԽՅՅԱ ԹԱԵԱՅ,
ՍԱԵԱ ՎԵԽԱԽԵՈ
ԱՐ ԲԱՅՄԻՑԵՈՒՔԱ
ԹՐՎԱԼՈԾՈՎՈՅ,
ՄԵԽԱԽԵՄԵՅ, ԹԱՑԽԱՅ
ԵՎԽՈՎԱԿՈՒՅ
ԹՈԽԵԿՈՒՅՈՎՈՅ
ԲԱՅՄՆՍԱԿՈՒՅԵՔԱ
ԵԱԽԵԿՈՒՅ – „LIVE“.

ეს კი ყოველთვის ასე არ ყოფილა. ქართული ტელეგაზია, კონკრეტულად კი, „ნოუსები“ მხოლოდ მისი მერე გახდა მოსაწყენი, რაც მან დაკარგა სოურპრიზის ეფექტი. მა შერიც, „ედიგას დროს“ (მომიტევეთ ფამილიარობა) ახალ ამბებში ბევრად უფრო საინტერესო სიტუაცია იყო. ვინ იცის, რამდენი საღამო გვაქსა გატარებული ეკრანებთან სწორედ იმ ავადსახსენებელ კორეტპირებულ პერიოდში, რეკლამიდან რეკლამამდე, მარტოებს ან მეგობრებთან ერთად, ლოკებში, მისალებებსა და სამზარეულოებში იმისთვის, რომ „მოვლენების განვითარებისთვის“ პირდაპირ ეთერში გვეცირა. ამ მდგომარეობის პიკადშეიძლება 2003 წლის 23 ნოემბერი ჩაითვლოს, როდესაც ქვეყანა „ლივში“ ტრანსლირებადი რევოლუციის მონმეტ გახდა.

„ედიკას დროს“ სწორედ „ლაივი“ განსაზღვრავდა ახალი ამბების სინამდვილეს. ყოველ საღამოს, გამონაკლისების გარეშე, ტელეაუდიენცია ექცეოდა სისტემატური პირდაპირი ჩართვების ველში, რომელიც მაყურებელში „განვითარებულ მოვლენებში“ თანამონაზილეობის ეფექტს ქმნიდა. ამის გამო, არქივებში ქვეყნის გარეშეც კი თავისუფლად შეგვიძლია გაკვისენოთ რვა, ათი წლის წინანდელი ნოუსტები (შეუქის პიყვეტებზე მისული უკინია, შევარდნაა გომბორის სამხედრო ამბობის დროს, უშიშროება რუსთავი 2-ში), მაგრამ იგივე სიცხადით ვერ აღვიდგენთ შარსანდელ ახალ ამბებს, რადგან ჩვენ არ ვართ მათი მონაზილე ემოციურ დონეზე მაინც. ამ მაჩვენებლებით, ათი წლის წინანდელი ტელევიზია დღევანდელთან შედარებით უფრო ინტერაქტული და, შესაბამისად – საინტერესო საყრდენო გამოიცის.

ამასისბაში, ინტერნეტშა კი შემოიტანა „ინფორმაციის მიღების და გავრცელების ალტერნატივული საშაულებები“, მაგრამ ფრაგმენტირებული სტრუქტურის გამო, ის ვერ ასრულდებს სატელევიზიო ახალი ამბებისმაგვარი გამარტინაციანების რიტუალის ფუნქციას, თუმცაც მხოლოდ იმიტომ, რომ ინტერნეტ-ნოუსტას ყველა სხვადასხვა დროს უყურებს. შესაბამისად, ინდივიდუალური მორგებული ინტერნეტ-ინფორმაციის

„რევოლუციის შემდეგ“, „ლაიგვბი“ საინიციატივო მაციო გამოშვებებს რაღაც პერიოდის მანძილზე ინერციით გადმოყვა. პოსტრევოლუციურ ოქროს ხასიათი, კერძოდ კი 2005 წელს, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ახალი ამბების ცეკვაში სასიამოვნო საგადამოების გატარება – მაგალითად, როგორც მოჭიდვებება რუსთაველის გაზირი გადაკეტეს. თუ არ ვიდები, ეს იყო რუსთაველის პირველი გადაკეტვა „რევოლუციის შემდეგ“, და იმის გამო, რომ ყველა ტელევიზია ადგილზე „ლაიგვბი“ მუშაობდა, სამ ცენტრალურ არჩზე, სატელიტების ძვირადღირებული სპორტული პაკეტების მსგავსად, სხვადასხვა რაკურსების შერჩევაც კი შეიძლებოდა.

მოკლედ, იმ დღის „მოჭიდავების ლაიფი“ იყო ქართული სატელევიზიო ჟურნალისტიკის ერთგვარი ზენიტი, რაც ჰარმონიაში მოდიოდა პისტრევოლუციური ოქროს ხანის სხვადასხვა ნიუანსთან: კორუმპირებული რეჟიმისგან თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი ტელევიზიები ეთერში ერთვებოდნენ „მოკლენების ეპიცენტრიდან“, სადაც ახლად შექმნილი საპატრიულო სამსახური რესათაველს სასამართლოს დამარბეველი მოჭიდავებისგან წმენდდა. იდგა ზაფხულის სავარდოვანი საღამო. საფუძვლიანად გადათხრილი ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე მინაშე თოვლითა ახორციელდა.

პოსტრევოლუციური ოქროს ხანის შემდეგ, „ლიკვიპტა“ ჯერ რიცხობრივი კლება, ხოლო შემდეგ არსებოთი მუტაცია განიცადა და ერთ დღიდ, ტექნიკურად გამართულ, მაგრამ მოსაწყენ სარეკლამო ბლოკად იქცა. დღევანდველი გადმოსახედიდან, ჩვენს ტელევიზორს კიდევ დიდასანს მოუწევს „ფლეისთერშენის“ ექსკლუზიური ტრანსლაცია, რადგან არ ღირს ნიუსების ყურებაში დროის ხარჯვა მანამ, სანამ ეკანანზე არ გამოჩინდება მოულოდნელი, უხარისხო, მაგრამ მანიც ყველაზე მიმზიდველი გამოსახულება წარნერით – „LIVE“.



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

SOLO
ART OF BANKING

PRESENTS:

JAZZ SERIES



Poogie Bell - Drums, Leader
Bobby Sparks - Key, Synth
Michael Patches Stewart - Trumpet
Keith Anderson - Saxophone



2 December 2010, 20:00

TBILISI EVENT HALL™
Presented by wizardofevents

POOGIE BELL BAND

As Seen and Heard with Marcus Miller, Chaka Khan, Erykah Badu, Stanley Clark / www.holographicrecords.com / www.poogiebell.net



AMERICAN EXPRESS ამერიკული კომპანია მდგრადი და დანართული კომპანია და დანართული კომპანია Tel.: 990 099 / www.easternpromotion.com



შექმნებენაკი და მასზე უფრო ტკბილი

ავტორი: დიანა აციქიძეაშვილი

ვის რატომ უყვარს შემოდგომა? ზოგს ფერთა საოცარი პალიტრის გამო, ზოგისთვის ეს საკუთარ თავთან მიბრუნების და მყუდრო საღამოების დროა, ზოგისთვის რომანტიკული გა-სეირნებების, ზოგისთვის ახალი ღვი-ნის დაბადების, როველის, ბადაგისა და ჩურჩხელების, მე კი შემოდგომის საჩუქრებიდან ყველაზე მეტად ბრო-ნეული მიყვარს და მგონია, რომ ეს ყველა ხილზე უფრო ხილია და ხილზე ცოტა მეტიც.

სკოლაში რომ თემებს გვაწერინებდნენ, ისეთი შესავალი გამომივიდა, და, ალბათ, არც სულ მთლად შე-მთხვევით. კულინარიულმა ამბავმა, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ჩემი

ბავშვობა გამახსენა, იტალიური ეზო, სადაც ბებიაჩემი სახლობდა, იქაური მეზობლები, განსაკუთრებით აზერ-ბაიჯანელი გულო დეიდა, ვის სახლ-შიც პირველად დავლიე დარიჩინა-ნი ჩაი, მისი შვილი, თითქმის ჩემი კბილა სედა, რომელთან ერთადაც ინდურ ფილმებს ვყუურებდი ხოლმე, ლამაზი გოგო იყო, ინდური ფილმების მსახიობებს ჰეგვდა ძალიან.

მგონი მამაც ცოცხალი იყო მაშინ, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ამ მოგონე-ბას ძალიან უხდება, რომ მამაც ცოცხა-ლი ყოფილიყო, ხოდა ჩავთვალოთ, რომ იყო, მანც ყველაფერი ლიტერატურაა.

ზუსტად ასეთი, ბავშვობისეული მშვიდი, უღრუბლო და ბედნიერი

განწყობა მქონდა მთელი იმ ვახშმის განმავლობაში. დამავიწყდა მეოთქვა რომელ ვახშამს ვგულისხმობ? ხოდა დროა, მთავარზე გადავიდე – მოკ-ლედ, ირაკლიმ და ნაილიმ მე და ზაზა ვახშმად დაგვიტიუეს.

ხსენებული ტრაპეზის მთავარი ინი-ციატორი სწორედ ბრონეული იყო, შე-მოდგომის დედოფალი, ვახშმის მთავა-რი კერძი კი – ირანულ-აზერბაიჯანული ფლოვი ხორცით, ბრონეულითა და წა-ბლით – შეთავაზება იმდენად მაცდური აღმოჩნდა, რომ ერთი წუთით არ და-ვფიქრებულვარ და თითქმის ცხრა თვის ორსული, ქმრისა და შოკოლადების თანხლებით ავუყევი შატბერაშვილის ქუჩის უზარმაზარ აღმართს.

ირაკლი თბილისელი პოეტია, ნაილი – ბაქოელი ფოტოგრაფი, ულამაზესი ქართულ-აზერბაიჯანული ოჯახი აქვთ და პატარა ალექსანდრესაც ზრდიან.

პრინციპში, შერეული ოჯახების ლხინი გამოგვიყიდა, მენიუც შესაბა-მისია, აზერბაიჯანული და ირანული კერძები და ტყბილეული, ქართული საფერავი, ქართული ხილი, ბერძნუ-ლი არაფერი გვაქვს, შემოდგომა კი, შემოდგომა ყველასია.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სა-მზარეულოში შევდივარ, გემრიელი, მოტებო, ნოყიერი სუნი ტრიალებს, ცეცხლზე ქვაბი თუხთუხებს, ფლო-ვის გარდა, კიდევ ერთი აღმოსა-ვლური კერძი მხვდება – ნიგვზითა და ტყემლით ფარშირებული ქათა-მი, ფრინველი ვერცხლისფერ სინ-ზეა წამოკოტრიალებული, ხორცის საჭრელი დანა ირაკლის აქვს მო-მარჯვებული, არადა, ისე ლამაზად შეპინებული ქათამია, დაგენანე-ბა მისი ჰარმონიული მთლიანობის დარღვევა.

სასალილო ოთახში სუფრაა გაშ-ლილი, კედლებზე ირაკლის ნახატები და ნაილის ფოტოები კიდია, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა კედლებზე წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებს სუფრის მხატვრობა მირჩევნია – ნაირფერია შემოდგომის ნობათი და ეს ყველაფერი სულ არ არის ნატურ-მორტი, პირიქით, მეტისმეტად ცო-ცხალია.

ვიწყებთ ფლოვით, ჩვენი ლამაზთვა-ლება დიასახლისი ამ კერძის შესახებ მიყვება, ჯერ გავსინჯავ, რეცეპტს კი მერე ჩაინიერ.

ამ კერძს ირანული საწყისები აქვს და აზერბაიჯანშიც ძალიან პოპულა-რულია, (მახსენდება უნივერსიტეტ-ში „აზერბაიჯანული ლიტერატურის“ ლექციები, სადაც რამდენიმე ისეთ ავტორზე გვესაუბრებოდნენ, რომელიც უკვე ნასავლი გვქონდა სხვა საგნის, „სპარსული ლიტერატურის“ ფარგლე-ბში, მაშინ ვიფიქრე, რომ პოეზიას არ სჭირდება კონკრეტული მიკუთვნები, ახლაც იმავეს ვფიქრობ, ღლონდ კული-ნარიასთან დაკავშირებით.)

კერძი ძალიან ნოყიერი და გემრიე-ლია, ხორცის სიმძიმეს ბრონეული

ანეიტრალებს, წაბლი დამატებით ეგზოტიკურ გემოს სძენს, ხოლო გარნირად გამოყენებული შებოლილი ბრინჯი – ამ გემრიელ და სასარგე-ბლო თაიგულს შესანიშნავდ აგვირ-გვინებს. ნამდვილად ღირს გასინ-ჯვად.

მაშ, ასე, ჩვენი პირველი კერძი :

ირანული ფლოვი

ბრონეულითა და ნაბლით:

მასალად საჭიროა:

საქონლის ან ცხვრის ხორცი – 1 კგ; წაბლი – ნახევარი კგ; 3 ცალი დიდი ბრონეული 5 თავი ხახვი შებოლილი ან ველური ბრინჯი – ნახევარი კგ.

კარაქი – 100 გრამი

ლავაში – ერთი ცალი

მარილი

ხმელი ზაფრანა



პრინციპი, შესაბამისი

ოჯახის ლეიი

გამოგვიცილება,

მარილი შესაბამისია,

აზერბაიჯანული და

ირანული კერძის და

ტებილული, ერთული

საფრანავი, ერთული ხილი,

ბერძნული არაფერი გვაქვს,

შემოდგომა კი, შემოდგომა ყველასია.

მომზადება :

ხორცი დავჭრათ პატარ-პატარა კუ-ბიკებად და მოვთუშოთ ალყა-ალყად დაჭრილ ხახვთან ერთად, უნდა ვეცა-დოთ, რომ ხახვი არ ჩაიშალოს და არ დაიკარგოს.

როცა ხორცი გამზადდება, ვაყრით გარჩეულ ბრონეულს და წინასწარ მო-ხარშულ და გაფცევნილ წაბლს. ვთუშა-ვთ ცოტა ხანს, ისე, რომ ბრონეულმა ფერი არ დაკარგოს.

ვადუღებთ წყალს, (2 ჩაის ჭიქა წყა-ლი ერთ ჩაის ჭიქა ბრინჯზე), იმისა-თვის, რომ ბრინჯი მშრალი და ფანტია გამოვიდეს, ადუღებულ და მარილიან წყალში ცოტა – ცოტას ვყრით და ხში-რად ვსინჯვავთ, რომ არ ჩაიშალოს. შე-მდევ ბრინჯს გადავწურავთ.

ქვაბს დავდგამთ ძალიან დაბალ ცე-ცხლზე, ვამატებთ ცოტა კარაქს, ვდე-ბთ ლავაშს, შემდევ ისევ კარაქს და შემდევ ვაყრით ბრინჯს, შეგვიძლია დაგამატოთ ზაფრანა, ქვაბი შევფუ-თოთ ჩაის ტილოში და ცოტა ხანს ისევ დაგროვოთ დაბალ ცეცხლზე.

სუფრასთან მოგვაქს ცხლად.

კერძი მართლა ძალიან გემრიელია და შემოდგომისაც და ჩექს დაბალ ჰემო-გლობინსაც ძალიან უხდება. ამასობაში ნაილი თავისი დედის შესახებ მიყვება. თურმე ის კულინარიული შედევრების მზადების გარდა, იმასაც ახერხებს, რომ თავის სახლში, იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მუშაობას ძალიან ადრე იწყებენ და სკოლის გარეშე რჩებიან, (ასეთი ბავშვები კი ბაქოში ძალიან ბე-ვრია), პატარა სკოლა აქვს მოწყობილი, სადაც უბნის ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლის. კიდევ ერთი ჭეშმარიტება – გულბოროტ ადმინისტრებს არასოდეს გა-მისდით გემრიელი საჭმელები.

რაზე აღარ ვსაუბრობთ, კავკასიის ისტორიის საკითხებით დაწყებული თა-ნამედროვე პოეზიით თუ ბავშვის კვების სირთულეებით დამთავრებული, და აი, ფარშირებული ფრინველის გასინჯვის დროც მოვიდა. ეს აზერბაიჯანისა და ირანის საზღვართან მოსახლე ტომის, თალიშების კერძია, მათ განსხვავებუ-ლი დასახურები და ტრადიციები და რაც მთავრია, ყველაზე გემრიელი სამზა-რეულ აქვთ. მათთან ჩემი პირველი გაცნობა ამ კერძით მოხდება.

კულტურის

ტყეობითა და ნიგვზით ფარგლებული ქათამი თალიშურად

მასალად საჭიროა:

ქათამი – ერთი ცალი, მოზრდილი
ნიგოზი – ნახევარი კილო
ტყემალი ან ალური – 10 ცალი
(შესაძლებელია გამოვიყენოთ კონ-
სერვები)
წითელი წინაკა
მარილი
ხახვი – 3 თავი
არაჟანი – 100 გრამი
მოხარული ან დაკონსერვებული
კურკაგამოცლილი ალური ან ტყე-
მალი გავატაროთ, დავუმატოთ გა-
ტარებული ნიგოზი, წითელი წინაკა,
მარილი, ნვრილად დაჭრილი მოთუ-
შული ხახვი, ყველაფერი ეს ცოტა-
ოდენ კარაქთან ერთად მოხალოთ
ტაფაზე, ამით გამოვავსოთ ქათამი,
ამოვეროთ, ისე, რომ შიგთავსი არ
დაიფანტოს, წავუსვათ არაჟანი და
შევწვათ ღუმელში ან შამფურზე.

რაღაცით ქართულ კერძებს მა-
გონებს, რასაც ირაკლი იმით ხსნის,
რომ თალიშებიც, ისევე, როგორც
ქართველები, უხვად იყენებენ კერძე-
ბში ნიგოზს და იმ მხარეში განსაკუ-
თრებით ბევრი კავლის ხე ხარობს.

მორიგი სასმისით შერეული ოჯა-
ხების სადლეგრძელოს ვსვამთ, აღ-
მოჩნდა, რომ ნაილის დედა დმანიში
გაიზარდა, ჩემი სოფლის გვერდითა
სოფელში, ხოლო მამა – წარმოშობით
ირანელია, ამ დროს მე ვევები ის-
ტორიას ჩემი დიდი ბების შესახებ,
რომელიც იორდანელი იყო და ასე,
თანდათან, ღვინის თუ სხვა ფაქტო-
რების ზეგავლენის შედეგად საზღ-
ვრები სულ უფრო და უფრო იშლება.
ირაკლის ერთი ლექსი მახსენდება:

ლანგარზე მიდევს
მსოფლიო რეკებიდან და ატლასებიდან
ამოკრეფილი საზღვრების ხროვა,
ვინც საზღვარს ითხოვს, მინდა, რომ
მივართვა
(ყველაფერი ასე ვინ დასაზღვრა).
ღმერთი არ გაგვიწყებს და
ლურმა არ გადაგვცდეს.

(ირაკლი კაკაბაძე, მავთულხლართები)

ჩვენთან ფინალი სულ სხვაგვარია,
ისეთი, როგორც დესერტი – გემრიე-
ლი ვახშის ბოლოს.

დესერტად აზერბაიჯანული ნა-
მცხვარი – შექერბერაკი გვაქვს, ძა-
ლიან გემრიელი, ერთი შეხედვით
მარტივი, მაგრამ მოსამზადებლად –
როული, ისევე როგორც ნებისმიერი
ურთიერთობისა თუ გულითადი საუ-
ბრის აწყობა.

შექმნასასა და ნამსხვარი

მასალად საჭიროა:

ცომისათვის: ერთი კგ. ფერვილი, 5
კვერცხი, 250 გრამი არაჟანი, ვა-
ნილი გემოვნებით, 1-2 ჩაის კოვზი
მშრალი საფუარი, 1 სადილის კოვზი
შაქარი, 2 ჭიქა აუდულარი რძე.

შიგთავისისათვის: 700 გრამი თხილი
ან ნიგოზი, 700 გრამი შაქრის ფხვნი-
ლი, ვანილი.

კარაქს და ფერვილს ერთმანეთში
ავსრესთ, მეორე ჭურჭელში კვერ-
ცხის გულს, არაჟანს, მარილს და
ვანილს ავურევთ. მესამე ჭურჭელ-



ნოემბრის ამ სუსტიან
სალამოს ვსეალვართ
მყუდრელ და თბილად,
ერთობით ან მისაკ-
დარიჩით შეზღუდულ
შესანიშნავ აზერბაიჯანულ
ჩაის მივირთმევთ. ჩაის ნამცხვარს
ვაყოლებთ, გულს – მეგობრულ საუ-
ბრებს, ირაკლი ლექსებს კითხულო-
ბს, ბაქოში ერთად გამგზავრებასაც
ვევემავთ ფახლავისა და ფითის და-
საგემოვნებლად.

ში მოვათავსებთ ერთ სადილის
კოვზ საფუარს, ერთ სადილის კოვზ
ფერვილს, ერთ სადილის კოვზ შაქარს
და რძეს, ვაცლით 2 წუთს, შემდეგ
ამ ყველაფერს აფურევთ ერთმანეთ-
ში, ხელებს ვისველებთ რძით და ისე
ვზელთ ცომს. ცომი ძალიან მშრალი
არ უნდა იყოს, რძე მას ანაზებს. შე-
ფუთულ მდგომარეობაში მყოფ ცომს
40 წუთით ვასვენებთ. მოხალულ
თხილს კანს გავაცლით და გავატა-
რებთ, დაცუმატებთ შაქარს, ვანილს
და ცოტაოდენ მიხავს.

ცომს ვყოფთ 36 ნაწილად, შევფუ-
თავთ, რომ არ გაშრეს, თითოეულ
ნაწილს აგრეთვე დავანაწევრებთ 10
სანტიმეტრიან ნაწილებად და ვაბრ-
ტყელებთ.

გაბრტყელებულ ცომში ვდებთ შიგ-
თავსს, ვაძლევთ ნახევარმთვარის ან
სხვა ფორმას, ვკრავთ მაგრად, ვდე-
ბთ კალკის ქაღალდზე, ზემოდანაც
ვაფარებთ კალკის ქაღალდს და ვა-
ცხობთ მაღალ ცეცხლზე 20 წუთის
განმავლობაში.

სუფრასთან მოაქვთ ქიშმიშსა და
თხილთან ერთად.

ამ ნამცხვარს აზერბაიჯანულები
განსაკუთრებული დღესასწაულების
დროს აკეთებენ, თუმცა მეგობრების
შეზღუდრაც ხომ დიდი დღესასწაუ-
ლია.

ნოემბრის ამ სუსტიან სალამოს
ვსხედვართ მყუდროდ და თბილად,
ქონდრით ან მიხაკ-დარიჩინით შე-
ზავებულ შესანიშნავ აზერბაიჯანულ
ჩაის მივირთმევთ. ჩაის ნამცხვარს
ვაყოლებთ, გულს – მეგობრულ საუ-
ბრებს, ირაკლი ლექსებს კითხულო-
ბს, ბაქოში ერთად გამგზავრებასაც
ვევემავთ ფახლავისა და ფითის და-
საგემოვნებლად.

თუმცა, თბილისი – ბაქოს გზაზე
ერთ გაჩერებას აუცილებლად გა-
ვაკეთებ, საინგილოში, ჩემი მეგო-
ბრების ხოფელ „ალიბეგლოში“, მო-
ვინაზულებ იქაურებს, მივირთმევ
ინგილოურ ფლავსა და ხინკალს, „
სურულს“ და „მახარას“, ამ ყველა-
ფერზე ახლა მინდოდა თქვენთვის
მომეულა, მაგრამ სხვა დროს იყოს,
მეტისმეტად მსუყე კერძი რომ არ გა-
მოგვივიდეს.

TBILVINO



საქალონლო საჩუპარი

შეიძინოთ 3 ბოთლი თბილლვინი და მიმღეთ

1 ბოთლი საჩუპარალ!



აკცია ქალაშია 2010 წლის 20 დეკემბრიდან 2011 წლის 20 იანვრამდე შემდეგ სუპერმარკეტებში

BIfess
The most delicious supermarket
ყველაზე მიმღები საპრიცვალო

 გევიზი
GOODWILL

 ბენჯამინი
BENJAMIN

 ე. მახტი

 Wine S

MIX



გაჩერებული საათების და ინტენსიური სინათლის ზონა

ავტორი: ნინო ლომაძე

— ერთი წუთი, მოითმინეთ, თუ შეიძლება! — ბრაზიანად მეუბნება პირველი მარკოელი, რომელსაც ვხვდები და ჩემს პასპორტს საზღვრის საკონტროლო პუნქტზე, ჯახურის რაფაზე აგდებს. მერე იქვე, კართან აყუდებულ მეორე მესაზღვრეს უტრიალდება და საუბარს არაბულად განაგრძობს. ჩემს უკან, რიგში, ოცდაათამდე ადამიანი დგას. ზოგი მათგანი დემონსტრატიულად იზელს ფრენისგან დასიებულ ფეხებს და არანაკლებ ბრაზიანი გამომეტყველებით ადევნებს თვალს ორი აფრიკელის აუდელვებელ ბაასს. ხმას არავინ იღებს. ჩემი მესაზღვრე სამუშაო მაგიდის ერთ-ერთი უჯრიდან რაღაცას იღებს და კოლეგას აწვდის. ის ინტერესით ათვალიერებს ცელოფნის პარკში გახვეულ პლასტმასის კონტეინერს, მერე შიგთავსს ყნოსავს, ტუჩებს

ილოკავს, მეგობარს „საჩუქრისთვის“ სავარაუდოდ მადლობას უხდის და ჯიხურიდან გადის. აღმოსავლური კერძის სურნელი ჩემს ცხვირსაც სწოდება.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მარკოში! — უცბად მიბრუნდება მესაზღვრე და შტამპიან პასპორტს ღიმილით მანვდის, — ბედნიერ მოგზაურობას გისურვებთ! კმაყოფილია. ჩემი დაბნეული გამომეტყველებით ხვდება, რომ პირველი გაკვეთილი ნასწავლი მაქეს: აქ დროს ის საზღვრავს, ვინც იმ კონკრეტულ მომენტში ძალაუფლებას ფლობს — შენ მას ემორჩილები და არაფერს აპროტესტებ.

მესაზღვრე რიგში შემდეგს ხელით ანიშნებს — მობრძანდითო, მერე იხრება და მაგიდის უჯრას აღებს. ცელოფნის შრაშუნის ფონზე ვეცლები ნეიტრალურ ზონას და ჩემს ჯგუფს ვუერთ-

დები. მაროკოში ევროკავშირის ერთი პროექტის წყალობით მოვხდი, კავკასიელ უურნალისტებთან ერთად. ჩვენ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას, მარკოს გეოპოლიტიკურ დილემებსა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას გავეცნობით. ამ ყველაფრისოფის ექვსი დღე გვაქეს.

კასაბლანკას საერთაშორისო აეროპორტის გასასვლელში დიდხანს ვეძებთ ერთმანეთს. ერთმანეთი კი, ბევრი გვყავს, ჯგუფში ოცდაშვიდნი ვართ. ერთი საათის შემდეგ ვხვდებით, რომ ყველა ათი მეტრის რადიუსში ვტრიალებთ. სინათლის ინტენსივობამ თუ დაგვაბრმავა, მზე ზენიტშია. აქ დღის სინათლეს სულ სხვა ფერი აქვს — მჭახე თეთრი, მზეს თვალს ყველაზე მუქი შზის სათვალითაც ვერ გაუსწორებ. ვდგავარ სითეთრეში, დანარჩენ ოცდაექვსს ვე-



ლოდები და რამდენიმე წუთში დაგროვებულ შთაბეჭდილებებს ვაღაგებ: 1. აქ შემიძლია, მხოლოდ დავინახო. ეს ნახახი არაფერს არ უნდა შევადარო და აღარ დაესვა კითხვა „რატომ?“ 2. სულ უნდა მახსოვდეს, რომ მე ქალი ვარ და თან „უცხო“(!!). 3. დარიჩინის, ზაფრანის, ვარდის ზეთის, პიტინის ერთმანეთში არეული სურნელი აქ, ალბათ, ჩემი მუდმივი თანამგზავრი იქნება. აეროპორტის დერეფნებში, სუვენირების მაღაზიაში, ტუალეტში და მანქანაშიც ეს არომატი ფიქრივით დამყვება თან.

კასაბლანკას საერთაშორისო აეროპორტიდან დედაქალაქ რაბატამდე საათნახევრიანი გზა გვაქვს გასავლელი. გზა მაროკოს პროვინციებზე გადის. სწორ ლანდშაფტზე, ან მცირე გორაკებზე პატარ-პატარა დასახლებები მოჩანს. შორიდან ქვიშისფერ კვადრატულ სახლებს ვარჩევთ, ფერადი ფანჯრებით და სის დარბაზებით. ეს ვინრ პროვინციული უბნები თითქოს უძველესი ქალაქური დასახლების, მედინას მოდელს იმეორებს, გალავნიანი ქალაქის, სადაც სახლებს ერთმანეთისგან ვინრ შუკები

გამოჰყოფს, ფასადები ლამის ერთმანეთზეა მიბჯენილი, სარქმლები უჩვეულოდ პატარაა, შესასვლელი კი ვინრო და დაბალი. მთელი „დიდ კასაბლანკას“ გარეუბანი, ან პარტედას გზავვარედინამდე თითქოს სტიქური უბედურება-გამოვლილ ძველ ნაქალაქარს ჰეგას – ჩამორღვეული კედლებით, ნახევრად დანგრეული გალავნით, იქვე მიმოყრილი სამშენებლო ნაგვით, ვირშებმული ურმებით, ეზოში გაფენილი ჭრელი სარეცხით, მთლიანად მტკრის ბურუსში გახვეული. გზა კი ისეთია, ევროკავშირის მეზობელ, „პრივატურული სტატუსის“ მქონე ქვეყნას რომ ეკადრება.

მაროკოს ევროპისგან თოთხმეტკილომეტრიანი გიბრალტარის სრუტე გამოჰყოფს. ის ყველაზე ახლოს მდებარე ისლამისტური ქვეყნაა, 32 მილიონიანი მოსახლეობით. მაროკოს დასავლეთით ატლანტიკის ოკეანე და ალჟირთან კონფლიქტის მთავარი მიზეზი – დასავლეთის უდაბნო ესაზღვრება, აღმოსავლეთით ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთით მავრიტანია. მოსახლეობის

60% უძველესი წარმოშობის აღმოსავლელი ხალხი – ბერბერები არიან. ქვეყნის ოფიციალური ენა არაბულია, თუმცა ბერბერები ძირითადად ატლასისა და რიფის მთების ირგვლივ დასახლებულ პროვინციებში დღემდე ბერბერულ ენაზე საუბრობენ.

1912 წელს ქვეყნისათვის ახალი ეპოქა იწყება. საფრანგეთის, ესპანეთის, ინგლისისა და გერმანიის გავლენისათვის ბრძოლა აფრიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაროკოსათვის ასე დასრულდა: ქვეყნა ორ კოლონიად დაიყო, უდიდესი ნაწილის „მფარველად“ საფრანგეთი გამოცხადდა, ესპანეთს კი ჩრდილოეთ მხარეს, მაროკოს მხოლოდ მეათედი ხედა წილად. ფრანგების ბატონობას აბდელ ყრიმი რამდენიმე წელი ებრძოდა. აჯანყების ჩახშობა მხოლოდ ესპან-ფრანგულმა 250-ათასიანმა ჯარმა შეძლო. მაროკოში ქვეყნის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მეორე მსოფლიო ომის დროს კვლავ მოიკრიბა ძალა. 1944 წელს „ინსტიქლალის თავისუფალი პარტია“ ჩამოყალიბდა, რომელსაც მაროკოს



სულთანი მუჰამედი ჩაუდგა სათავეში. საფრანგეთის მთავრობამ რამდენიმე წლით მაინც შეძლო წინააღმდეგობის შეჩერება, მაგრამ მალე ალჟირის კონფლიქტი გამწვავდა. ფრანგულ მხარეს ორ ფრონტზე ბრძოლა გაუჭირდა და 1956 წელს მაროკოს დამოუკიდებლობა მიანიჭა. ერთი წლის მერე მისი ახალი სტატუსი ესპანეთმაც აღიარა და ქვეყანაში კოლონიადელი ვითარება დაბრუნდა. მაროკოს დღემდე ისევ ძველი დინასტია მართავს. მუჰამედ V მისმა ვაჟმა, ჰასან მეორემ 1961 წელს შეცვალა. ის მეოცე საუკუნის უსასტიკესი მმართველების და მასშტაბური

რეპრესიების ავტორების ხუთეულშია. დღეს ქვეყანას მისი მემკვიდრე მუჰამედ VI მართავს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მაროკოს მთავარ პრობლემად ისევ ადამიანის უფლებებს, მმართველობის ტოტალიტარულ სტილს, კონტროლირებად სასამართლოს და შეზღუდულ მედიას ასახელებრნ. თუმცა ევროკავშირისთვის მაროკო განვითარებადი დემოკრატიის ქვეყანაა, ჯერაც აუთვისტებლი ბაზრით და, რაც მთავარია, ისლამიზმის მიძინებული საფრთხით.


„ევროკავშირის მაროკოსთან ურ-

თიერთობა საერთო ლირებულებებს ეფუძნება, – ასეთი ამაღლებული განწყობით იწყებს ჩვენს პირველ შეხვედრას მაროკოში ევროკავშირის წარმომადგენელი. „რა ცინიზმია“, – ჩამჩურჩულებს ჩემი აზერბაიჯანელი „ჯგუფელი“ და პირველ კითხვას EU-ს ლოგობრივი ბლოკურის ინიშნავს, კითხვის ნაცვლად ბევრი ძახილის ნიშნით.

მაროკოული ტებილეულის კანტუნის ფონზე სოლიდურად ჩაცმული წარმომადგენელი გვიამბობს, როგორ მნიშვნელოვანია მათთვის თანამშრომლობა ვაჭრობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სფეროში (2012 წლიდან ევროკავშირი, სავარაუდოდ მაროკოსთან თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას გააფორმებს); რომ მათ არ უნდა დაავინახეთ – პირველ რიგში, ევროპელ მოსახლეობასთან აგებენ პასუხს. რომ ევროკავშირი 206 მილიონს მაროკოში სხვადასხვა დარგის განვითარებაში ხარჯავს, აფინანსებს ტრენინგებს ურნალისტებისთვის, იურისტების-

„ჩვენ ფსიქიატრიული ციხესიმაგრე ვართ კომპრენდისული სამყაროს

ნინეალმდებარება. ჩვენ ეფეს ვუცხალებთ, რომ გვეკულს მათი პოლიტიკა, არ გვესმის მაფიის დაუკავებელი ვების, აკონტროლოს აბსრლუტურად ყველაფერი – მედია, სასამართლო, ეკონომიკა, პარლამენტი!“



თვის, სახულმწიფო მოხელეებისთვის. მოკლედ, რომ ევროპა წყვეტს რამდენად სწრაფი და ინტენსიური შეიძლება იყოს ინტეგრაციის პროცესი, მაგრამ სასურველ რიტმს საბოლოოდ მაინც მაროკოს ხელისუფლება ირჩევს.

„თავისუფალ მედიაზე, სასამართლოზე და არჩევნებზე არ აპირებს საუბარს? – ისევ ბრაზილს ჩემი კოლეგა, – როდემდე ვუსმინოთ ამას?“

„ამაზე მოგვანებით ვიღაპარაკებთ“ – უკანა რიგიდან ჩუმად გვეპასუხება ჩვენი მაროკოლი მუდმივი თანამგზავრი, ჰიშამ ჰიუდაიფა. ის ჩვენი კორდინატორია („ფიქსერი“), ეს შეხვედრებიც მისი დაგეგმილია. ჰიშამი, ათი თვეა, თავისუფალი უურნალისტია და უცხოურ, ძირითადად, ფრანგულენვან გამოცემებთან თანამშრომლობს. მანამდე ის „ლე უურნალ ჰებდომადაირის“ უურნალისტი იყო. და დღემდე ამაყობს ამით.

უურნალისტიკის გამოცდილების არმქონე ქვეყანაში „ლე უურნალ“ ნამდვილ სტრუქტურულ უბედურებას ჰგავდა. ხმამაღლი, ცოტა საშიში ჰედლაინებით,

ლრმა ანალიზით და სერიოზული უურნალისტური გამოძიებებით. „ლე უურნალი“ ერთადერთი გამოცემა იყო, რომელიც სოციალურ ტაბუებთან ერთად მეფის და მთავრობის პოლიტიკის ღიად გაკრიტიკებას ბედავდა. უურნალმა ცამეტი წელი იარსება და 2010 წელს, იანვარში სახელმწიფოსგან დაკისრებული სოლიდური ჯარიმების გამო დაიხურა.

„ჩვენ ფსიქიატრიული ციხესიმაგრე ვართ კომპრომისული სამყაროს წინააღმდეგ. ჩვენ ბოლომდე ვამბობთ სათქმელს. მეფეს და ეგრეთ წოდებულ მთავრობას უუცხადებთ, რომ გვძელს მათი პოლიტიკა, არ გვესმის მეფის დაუკეთებელი ვნების, აკონტროლოს აბსოლუტურად ყველაფერი – მედია, სასამართლო, ეკონომიკა, პარლამენტი! და ჩვენ არ გვეშინია მუქარების! რედაქციაში ყველა უურნალისტმა იცის, რომ თუ საფრთხე წინდება, მთავარ დარტყმას საკუთარ თავზე ვიღებ“, – ამბობდა აბუბექრ ჯამალი, „ლე უურნალის“ მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი, უურნალის დაარსებიდან ათი წლის შემდეგ (მაროკოში მეფის

ოჯახზე დაცდენილი უწყინარი სიტყვისთვისაც კი, დღესაც კი ორწლიანი პატიმრობა ემუქრება ყველა უურნალისტს, ვინც ამას გაძედავს). ჯამალი არისტოკრატიული ოჯახიდან იყო, უურნალის დაარსებამდე ოქსფორდის და იელის უნივერსიტეტებში სწავლობდა. მერე საფრანგეთში ცხოვრობდა. იქიდან დაბრუნებულმა კი ყოველკვირეული, ფრანგულენვანი უურნალის გამოცემა გადაწყვიტა. ჰირველი ნომერი დიქტატორი მეფის, ჰასან II-ის გარდაცალებამდე წლინახევრით ადრე გამოივიდა. მაშინ, მაროკოელი ინტელექტუალები მეფის მემკვიდრის, მუჰამედ VI-სგან მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდნენ. თუმცა, როგორც ჰიმამი ამბობს, იმედები ძალიან მაღლებულათ. ახალგაზრდა მეფემ დესპოტი მამის მართველობის სტილი შეინარჩუნა, ძალაუფლების გადანაწილებაზე მანაც უარი თქვა. სასამართლო, მედია და მთელი ეკონომიკა ისევ თვითონ დაიქვემდებარა. პარლამენტი კი, სიმბოლურ, „რიტუალური შეხვედრების“ ადგილად აქცია.



ამ დროს, უურნალის რედაქტორი, აბუბექრ ჯამალი მათ შორის იყო, ვინც მეფის უპირატესობასაც კარგად ხედავდა. უპირატესობას სხვა, და ერთადერთ აღტერნატიულ ძალასთან – ფუნდამენტალისტ ისლამისტებთან.

ოცდათორმეტ მილიონიან ქვეყანაში, სადაც 40% წერა-კითხვის უცოდინარია და სადაც ისლამი ყველაზე დომინანტური ძალაა, რადიკალური, პროგრესული ნაბიჯების გადადგმა სახიფათოა. ეს მეფემაც იცის. 2006 წელს, როდესაც ქვეყანაში ოჯახის ახალი კოდექსი მიღეს და ქალების უფლებები იდნავ მიუახლოვეს მამაკაცისას, მეფე მიღიონავერა ადამიანის პროტესტს შეეჩება. ის ახალი კანონის მიღებას უჭრდა მხარს. მიუხედავად იმისა, რომ მუჰამედ VI მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ფოტოშოფში საგანგებოდ დამუშავებულ მის ფოტოებს ყველაგან შეხვდებით – აფთიაქებში, მაღალიებში, ბანკებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციებში, მისმა გადაწყვეტილებამ უმრავლესობაში დიდი უკამაყფილება გამოიწვია. თუმცა, მეფემ



პოზიცია მაინც არ შეიცვალა და პარლამენტში ოჯახის კოდექსი პირველი მოსმენით მიღიღეს.

„შეიძლება, ამას კეპლუცობა და-არქვა, ევროპის გულის მოსაგებად გამართული მასკარადი, – ამბობს ჰიმამი, – მაგრამ ასე მხოლოდ გარედან შეიძლება შეაფასო. ქვეყნისთვის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მერე რა, რომ კანონში ბევრი შავი ხერელია დატოვებული. ამ კანონის არსებობა უკვე პროგრესია.“ მაროეოლმა ინტელექტუალებმა იციან, რომ წინსვლა მხოლოდ მოზომილი, რაციონალური პოლიტიკითაა შესაძლებელი. ნაწილი იმასაც ამბობს, რომ მეფეს არ აქვს ფუფუნება, ძალაუფლება სხვებს გაუნანილოს, რადგან ის შეიძლება უფსკრულის პირას აღმოჩნდეს. ეს ევროპამაც იცის. „ამიტომაც არ არის ევროკავშირის პოლიტიკა „ცინიზმი“, ეს პრაგმატული მიდგომაა. ეს რეალობაა, რომელსაც ჩვენ თვალი გავუსწორეთ.“

„ლე უურნალმ“ მეფის „ამალის“ ყურადღება მაღლე მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ მას ფრანგულენოვა-

ნი, ასი ათასამდე მეითხველი ჰყავდა, მის წინააღმდეგ ხელისუფლების ხელთ არსებული ყველა იარაღი გამოიყენეს, მათ ათობით სასამართლო პროცესი წააგეს და მილიონნახევრიანი ჯარიმა დააკისრეს. რომ ვერაფერს გახდნენ მათი რეკლამების დამკვეთებს „ლე უურნალთან“ ურთიერთობა აუკრძალეს. უურნალი 2010 წლის იანვარში ბანკროტად გამოცხადდა და დაიხურა.

„ჩვენ ჩვეულებრივი უურნალისტები ვიყავით, – ამბობდა ლე უურნალის უურნალისტი, ამინ რაპმუნი, „წიუ-იორკერის“ სტატიაში „ჯვარისანი“ – ჩვეულებრივები დასავლეთისთვის. მარკოში კი ამას გმირობა ერქვა. ყველამ იცოდა – ვინც არ იყო მზად საშუალოზე დაბალი ხელფასით ერჩინა თავი, ბონუსებისა და პრემიების გარეშე ეცხოვრა და საქმისთვის, თუ საჭირო გახდებოდა, „თავიც გაეწირა“ – მიდიოდა. სამაგიეროდ, წასული ვერასდროს იცყოდა – მე ერთ-ერთი მათგანი ვიყავი.“ ჯამალი ხვდებოდა, რომ ამ სიტყვებს წლების მერე, სულ სხვა ფასი ექნებოდა.



დღეს ასეთი თამამი, გულწრფელი და უკომპრომისო მედია მარკეტი ალარ არსებობს. „ლე შურნალმა“ ასეთ სტრატეგიას მიმართა – უფრო განათლებული, ინტელექტუალური აუდიტორია აირჩია. ჯამალი ფიქრობდა, რომ მათ სათქმელს ფრანგულენოვანი, განვითარებული საზოგადოება უკეთ გაიგებდა. უმრავლესობაში თანამოაზრების პოვნა არც უცდიათ. მაროკოელმა „მოაზროვნებმა“ კი, მათი დაცვა ვერ შეძლეს.

* * *

მეოთხე დღე, რაბატში ვარ. არადა, მგონია, მთელი თვეა ვაგზლის სასტუმრო „იბისში“ ვცხოვრობ. შეხვედრების უმტკიდოვესი გრაფიკი ქალაქში ბოდიალის, ამ გარემოსთან გაშინაურების საშუალებას არ გვაძლევს. საღამოს თუ წავიხეტიალებთ, აბდერაჰმანის ქუჩიდან, აბდელმუჰეინზე ავისეირნებთ და ერთმანეთის გაყოლებაზე ჩანიენიკებულ ჩაიხანებს, კაფე-რესტორნებს აფუვლით, მერე ჩამოვუვლით.

ჩაიხანები მაინც, უცნაური სანახა-

„მე 31 ოქტომბერს საპროტესტო აქციაზე არ ნავალ, რაღან კომანდასაცია არ მშირდება. კომანდასაცია რეპრესიის მსხვერპლება უდეა აიღონ, ვინც ფიქრობს, რომ იმ ბრძოლაში ბევრი დაკარგა. მე მხოლოდ შევიძინებ.“

ობაა. მაგიდებს მარტო კაცები უსხედან, ზოგჯერ ჩილიმს ქაჩავენ, ტკბილ პიტნის ჩაის მიირმევენ და შიგადაშიგ ერთმანეთს ებასებიან. ალბათ, არაფერზე. ხანდახან მგონია, რომ ერთმანეთის არც კი ესმით. მოხრობელი უფრო საჟუთარ თავს უამბობს სიზმრებს, ლეგენდებს, შეიძლება იმ დღევანდელ ამბებს, მაგრამ ამასაც ზღაპარივით ჰყვება. ასე მათი თვალების გამომეტყველება, საუბრის მანერა, ინტონაცია მაფიქრებინებს, თორემ აბა, მათი მე რა მესმის. მუსიკაც ამ განწყობის გაგრძელებაა. აქ ძველ ბერბერულ, ან არაბულ ფოლკლორს უსმენენ, რომელსაც თითქოს არც

დასაწყისი აქვს და არც დასასრული. უცხო ყურისთვის უწვეულო მოსასმენია, მელოდიას სტრუქტურა, ფორმა არ გააჩნია. ჩაიხანებიც, ქანდაკებასავით ჩამოქნილი და სტატიკური ადამიანებიც თითქოს დროის განზომილების მიღმა არსებობენ. მათი განწყობის დაჭერა, შეგრძნობა არ შემიძლია. უბრალოდ, გარედან ვაკვირდები – ისე, როგორც უცხო ლანდშაფტს, როგორც ფრაგმენტებს ფოტო-კადრებზე. ეს ექვსი დღე, არსით მაინც ტურისტი ვარ. ამ გარემოსთან გაშინაურებას მეტი დრო სჭირდება.

>>> გამრბელება გ3. 98

ჩემი პრეზიდენტი

ვარდების რევოლუციიდან უკვე შვიდი წელი გავიდა. მიხეილ სააკაშვილი მაღლე თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადას დასარულებს. მის სახელთან თითქოს იმთავითვე დაკავშირდა ქართული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მოლოდინები და იმედები. მის შეფასებებში თითქოს თავს ვერავინ აღწევს რადიკალიზმს, მას ან სულმოუთმელად ლანდმავენ ან მსგავსად იცავენ და განადიდებენ. მსგავსი პოლარულობა შესაძლებელია არა მხოლოდ ჩვენს საზოგადოებას, არამედ თავად შეფასების ობიექტს, მიხეილ სააკაშვილისაც ახასიათებდეს. ამ შვიდი წლის მანძილზე იშვიათად შემხვედრია, ნამიკითხავს, ან მომისმენია, მიუკერძოებელი, ფხოზელი, საკუთარი პოლიტიკური ვნებებისგან და სიმპათია-ანთიპათიისგან დაცლილი ანალიზი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას ასახავდა, გამონაკლისი ისევ უცხოური მედიაა, სადაც აქა-იქ ყოფილა მსგავსი მცდელობები. მაგალითისთვის რონალდ დ. ასმუსის წიგნიც გამოიდგაბა, სახელწოდებით „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“.

ჩვენს შემთხვევაში, ანუ ქართულ მედია სივრცეში, პრეზიდენტი ან აღმშენებელია, ურომლისოდაც საქართველოს მომავალი ძნელად წარმოუდგენიათ მის მაქებართ და მემატიანეთ, ან პირიქით – აპოკალიპტური მხეცია, რომელიც ჩვენს ცოდვათა საზღაურად მოეცვლინა ჩვენსავე ბედეკულ ქვეყანას. ამ ორმაგ მითოლოგიურ დისკურსში პირადად მე არ მრჩება სააზროვნო და სასიცოცხლო სივრცე, სოციალური დახუთულობისა და კლაუსტროფობის შეგრძებები დარწმუნებული ვარ, არამარტო მე, არამედ მრავალ თქვენგანსაც გასჩენია. ერთი მხრივ, ტოტალური კონიუნქტურის, და მეორე მხრივ, უსაზღვრო სიძლიერების ენა, ადამიანებს საქართველოში თითქოს ორ ნაწილად ჰყოფს. სოციალურად შემდგარ და შეუძლებარ, მარგინალიზირებულ ჯგუფებად. ამ შვიდი წლის მანძილზე ხსნებული სოციალური ჯგუფების განმსაზღვრელ და განმასხვავებელ ფაქტორად სწორედ მიხეილ სააკაშვილი იქცა, მისადმი დამოკიდებულება, მის შესახებ გარკვეული პოზიციის ქრისტიანული და ბედისწერას. რატომძაც ვფიქრობდი, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემდეგ, თავად ხელისუფლება, მმართველი გუნდი და პირველ ყოვლისა, პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს უარს იტყოდა მსგავს მითოპოეტურ დისკურსზე, მსგავს კონიუნქტურულ და საბჭოურ ვალდებულებებზე, რომელთაც საბჭოთა დროში, ერთი მხრივ, აბსოლუტი და მეორე მხრივ, წარმატებაზე ორიენტირებული სოციალური ჯგუფები კისრულობდნენ.

2003 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილისგან სწორედ ამას ველოდი. ვფიქრობდი, რომ ის ჩევნი „ფალავანია“, „რომელიც გაიმარჯვებს ძველ ცნობიერებაზე, საინტერესოა, მაშინ რას ვგულისხმობდი „ჩევნში?“ „ჩევენ“ ვიყავით ყველა, ვინც შევარდნაძის რეზიმსა და „ცხოვრების წესს“ არ ვერგებოდით, ანუ ვინც იმ დროინდელ კონიუნქტურას (ეს კონიუნქტურა დაახლოებით 30-35 წელს გრძელდებოდა) ვაპროტესტებდით.


მართლაც ბევრნი ვიყავით „ჩევენ“: – ენთუზიასტი მასწავლებლები და არა მექრთამე დირექტორები, ბიზნესმენები და არა ფულისმკეთებლები, ხელოვანები და არა „პადხალიმები“, არქიტექტორები და არა ქალაქების იქნახის საბოლოოდ დამმანიშვნებლები, უურნალისტები და არა შეკვეთაზე მომუშავე მწერლუკები. საინტერესოა, დღეს თუ არსებობს ამგვარი „ჩევენ“, დღეს თუ აქვთ ადამიანებს ამგვარი „ჩევენ“-ის განცდა და რამდენად ლეგიტიმურია ის.

რევოლუციური ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელში კი ხშირად მიგვრძნია იზოლირებული, თვითკუმაყოფილი და ინტენსიური „ჩევენ“.

დღეს სახელისუფლებო „ჩევენ“ ბევრად ძლიერია და მკვეთრად განსაზღვრული, ვიდრე ნებისმიერი სხვა „ჩევენ“.

ამიტომაც საჭიროდ მივიჩიეთ „ცხელი შოკოლადის“ სპეციალურ პროექტში „ჩემი პრეზიდენტი“ სხვა-დასხვა პროფესიის, ასაკის და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანისთვის გვეთხვა აზრის გამოხატვა იმის შესახებ, თუ ვინაა და როგორია მათი „ჩემი პრეზიდენტი“, ამით კი საერთო სურათი შეგვქმნოდა არა მხოლოდ პრეზიდენტზე, არამედ ალბათ უფრო მეტად „ჩევენზე“.

რატი ამალლობელი



ჩემი პრეზიდენტი

ლევან ბერძენიშვილი



„ჩემი“ ქართული სიტყვაა პირის საკუთრებას აღნიშნავს. „პრეზიდენტი“ ლათინური სიტყვაა და „წინ მჯდომას“ აღნიშნავს. Prae არის „წინ“ და Sidens მომდინარეობს Sedeo-დან, რაც, მართლაც, ჯდომას, ანუ ამ შემთხვევაში, გარკვეული, წინა, ანუ მთავარი თანამდებობის დაკავებას ნიშნავს, მოკლედ, უარგონზე ამას „კარგად მოჯდომას“ უწოდებენ და ეს სწორედ ის უცნაური შემთხვევაა, როდესაც უხეში უარგონი ყველაზე ახლოსაა შორეულ ლათინურთან.

რამდენად „ჩემი“ ეს კარგად მომჯდარი კაცი, აი, ეს არის შეკითხვა. ერთი შეხედვით, მე არც უნდა ვსვამდე ამ შეკითხვას, რადგან მრავალი წელია, კარგად ვიცონბ ამ კაცს და როცა ველაპარაკებოდი, შენობით ველაპარაკებოდი; თუ იგი ვინმესია, ჩემიც აუცილებლად უნდა იყოს. და, მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა დიდი ცვლილებები განიცადა უკანასკნელი რვა წლის მანძილზე, როდესაც იგი ხელისუფლებით გამოიცადა, ეს მაინც ის კაცია, რომელსაც მე ვიცნობდი. ეს არის კაცი ყველა იმ ნაკლით და ღირსებით, რომელიც მას უკვე ჰქონდა, როდესაც მე გავიცანი.

შემიძლია აღვნიშნო მისი რამდენიმე, ყველაზე უფრო თვალშისაცემი ნაკლი:

საკმაოდ უზრდელია, ხაზგასმით უხეშია ქვეშევრდომებთან, მიმართვაში და ენის „სარდაფის“ გამოყენებაში ხაზგასმით მოუზომავია; ფაქტობრივად, არ გააჩნია იუმორის გრძნობა; არ მიუღია მხატვრული განათლება, მხატვრული ან ისტორიული სფეროდან ციტირებისას ათიდან ათ შემთხვევაში უშვებს შეცდომას; სულიერად ცარიელია; არ შეუძლია 20 წელზე მეტი ხნით რამე საკითხზე კონცენტრაცია; არ კითხულობს არაფერს sms-ების გარდა, არ აინტერესებს წიგნები, გაზეთები ან ურნალები; არ არის თანამედროვე ტექნოლოგიების კაცი, კომპიუტერსა და ტელევიზორს შორის ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას; პატივს არ სცემს სხვების აზრებს; იმდენად ეგოსისტია, რომ შეუძლია საკუთარ თავზე შეაგროვოს კომპირომატები; კატასტროფულად მშიშარაა; უყვარს გაუთავებელი ტრაბაზი, არავის არ ულაპარაკია მსოფლიოში საკუთარ დედასა და ბებიაზე (აյ შეიძლება, მხოლოდ

ზურიკელა ვაშალომიძე შეჯიბრებოდა) იმდენი, რამდენიც მას; ტყუილი მისი ატრიბუტი კი არა, სუბსტანცია (მაგალითად, 2003 წლის 23 ოქტომბერს ბათუმში მისი თანამებრძოლები ცემით რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს, ისიც თითქოს საიდუმლოდ ბათუმში რომ იყო; ანტისაბჭოთა გამწყობები რომ ჰქონდა ახალგაზრდობაში; აკრძალულ მუსიკას რომ უსმენდა და ა.შ.); მოუხეშვილი, არ აინტერესებს ხელოვნება და სპორტი; აშინებს კონკურენტული გარემო; განსაკუთრებით ეშინია ანაფორიანი ხალხისა; არასოდეს არ თანხმდება არანაირ დებატებს, რადგან დისკუსიაში არ ვარგა; აქეს თავისებური გემოვნება, რომელიც შარვლებისა და პერანგების უჩვეულო ფერის შერჩევაშიც გამოიხატება; „ჩაცმაში“ ცდილობს, თავისი ერთ-ერთი უილბლო კონკურენტის მიბაძვას. ყველა ტერმინიდან, რომელიც მის დასახასიათებლად თქმულა, ყველაზე უკეთ მას ახასიათებს ტერმინი ინფანტილიზმი. თავი მიაჩნია მხოლოდ თავისი ამომრჩევლების პრეზიდენტად, „ჩემს პრეზიდენტად“ თავი არ მიაჩნია. მთავარი ნაკლია, რომ მისი უკეთესობისაენ გარდაქმნა და ძირული ცვლილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

შემიძლია ჩამოვთვალო მისი რამდენიმე ასევე თვალშისაცემი ღირსება:

შეუძლია მუშაობა 24-საათიან რეჟიმში, აქეს წარმოუდგენელი ენერგია; ძალიან იოლად პოულობს მისთვის საჭირო ადამიანებს, შეუძლია პირველ ხანებში მათ მიმართ იყოს თბილი და გულჩვილი; დიდხანს ინახავს თუნდაც წარუმატებელ მეგობრებს, მაგრამ შემდეგ იოლად ელევა; როთულ სიტუაციაში, პირველადი ისტერიის შემდეგ, წყვეტის ნერვულ გამოვლინებებს და თითქმის ცივისსხლანად ერკვევა საქმის ვითარებაში; მას არ აფერხებს პირობითობები; ბევრი კონკურენტისგან განსხვავებით, ენდობა პიარ ტექნოლოგიებს და მართვის სფეროში სამეცნიერო ცოდნას; რადგან სინამდვილეში მაღალი აზრის არაა საკუთარ თავზე, შესაბამისად, რეალისტური მოსაზრება აქეს საკუთარ ამომრჩევლებზე; აქეს თანდაყოლილი რეიტინგის გრძნობა და, შესაბამისად, ყოველთვის იცის, როგორია მის მიმართ დამოკიდებულება; აქეს მიღრეკილება უცხო ენებისადმი, მეტიც,



მისთვის სრულიად უცხო კულტურის ადეპტობის სრული სიმულირებაც შეუძლია, როგორც ნიჭიერ მსახიობს; კარგად იცნობს ქართველების სუსტ მხარეებს, იოლად ეხება პატრიოტიზმის სიმებს; მიუხედავად გარკვეული წესების ფორმალურად დაცვისა, არ არის ფარისეველი და საკუთარ წარმოდგენებს (ამ შემთხვევაში, ათეიზმს) განსაკუთრებით არ მალავს.

მე ისეთი შთაბეჭდილება მოჩება, რომ მიხეილ სააკაშვილი, „ჩემი პრეზიდენტი“ (ბრჭყალებში, რომელიც თვითონ ისურვა) და საქართველოს პრეზიდენტი (ბრჭყალების გარეშე, რადგან საქართველომაც თვითონ ისურვა, თუმცა

უჩვენოდ ესეც არ მომხდარა) არის მრავალჯერადი გამოყენების კარგად გამართული პრიმიტიული პოლიტიკური მანქანა, რომლის მკერდში გულის ნაცვლად ყალბი ახალი ამბების „მოდელირებული“ ტელევიზიები სცემს, ხოლო ძარღვებში სისხლის ნაცვლად მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიედინება. ძველი რომაული მემკვიდრეობიდან კარგად იცის ერთადერთი სიბრძნე *Panem et cirecensem* – პური და სანახაობა. ერთ-ერთი გამართლება ამ კაცის დღეს და ახლა არსებობისა ისაა, რომ იგი სასაცილო გახდა და უპურ ქვეყანაში თავად წარმოადგენს სპეციფიკურ სანახაობას.

ჩემი პრეზიდენტი



ქათევან იგნატოვა

პოლიტოლოგი არ ვარ, რამე კონკრეტულის ექსპერტობაზეც თავი არასდროს დამიდია. საქართველოს რიგითი მოქალაქე ვარ, რომელსაც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით, არც მეხსიერება მღალატობს: არც დაუნახაობის სინდრომი მანუხებს; სამართლიანი შედარების უნარიც, იმედია, არ დამიკარგავს; საკუთარი თავის, ასევე მთელი ქართული საზოგადოების პლუსებისა და მინუსების ობიექტურ შეფასებას, აღარებას მაქსიმალურად ვცდილობ. მე ის ამომრჩეველი ვარ, რომელმაც ორჯერ, სრულიად გააზრებულად, ხმა მიხელ სააკაშვილს მივუცი და ჩემი ქვეყნის პრეზიდენტად ავირჩიე. რატომ?

ამაზე, ახლა, თქვენთან ერთად შევეცდები კიდევ ერთხელ დავფიქრდე და გულწრფელად და მაქსიმალურად გასაგებად ჩამოვაყალიბოთ.

ძალიან ძნელია შენი თანამედროვისადმი და, მით უმეტეს, პრეზიდენტისადმი სრული ობიექტურობა შეინარჩუნო. ძნელია პიროვნება და მისი მოლვანეობა დისტანციურად ისე შეაფასო, რომ წვრილმან დეტალებს, პიროვნულ ხილს, ან პირიქით, ან-ტიპათიას არ აჰყვე და ამით კი საკვანძოს არ მიაყენო ზიანი.

როდესაც შევეცადე დავფიქრებულიყავი, მიხელ სააკაშვილში რა არ მომწონს და რას კი ვაფასებ, ხმას რატომ ვაძლევ, მივხვდი, რომ შედარებისას, ის რაც, ასე ვთქვათ, არ მომწონს, ისეთი უმინიშვნელო, მასპერადში იმდენად მცირე, უინტერესო გამოჩნდა, რომ პრინცპში, სალაპარაკოდაც არ ღირს. მაგალითად, არ მომწონს მისი ჩატანის სტილი, გემოვნება. თუმცა, ხომ ვიცით, რომ გემოვნებაზე არ დაობენ. არ ვეთანხმები ესთეტიკას, ტრაბაზისადმი აშეარა მიღწეულებას. მეღომება, როდესაც ამბობს — პირველად ისტორიაში, მსოფლიოში ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი, ბარსელონაზე ლამაზი. . . მაგრამ, მას ხომ ასე უნდა რომ ხედავდეს! ძალიან უნდა! მეცინება, როდესაც საცურაო ქუდს, ან საციგურაო კოსტუმს იცვამს, სამთავრობო სხდომას მშენებლობის ფონზე ატარებს, ან ბათუმის ახალ ბულვარში არაბუნებრივად ჩქარი ნაბიჯებით დადის და უკან აქოშინებული კოპორტა მისდევს. უკან არ იყურება, არავის არასდროს ელოდება. მეორე მხრივ, რა რა და მაგათი ლოდინის დრო არ აქვს. ეჩქარება და სხვასაც აჩქარებს. სააკაშვილმა მთელ საქართველოს სრულიად ახალი, მანამდე უცნობი, ურგვეულოდ სწრაფი ტემპი აიძულა. ამ ტემპში მას ქვეყნის აშენება, სახელმწიფოს ფეხზე დაყენება სურს. აი, ამ სურვილის, მიზნის გულწრფელო-

ბაში კი, მე პირადად, ეჭვი ოდნავაც არ მეპარება და მასთან ერთად, თითქოს, მეც მეჩქარება. მინდა მოვესწრო.

სააკაშვილის გამოსულებს ვისმენთ, მის გადაადგილებას ვუყურებთ. აქვე ჩვენს გვერდით ვხედავთ, რომ არცთუ იდეალურად სრიალებს, ცეკვას. . . და ასეთი უმნიშვნელო წვრილმანების მიღმა ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ ის, რაც ამ იმპულსური, დამდლელად ენერგიული, როგორც ბებაჩემი იტყვიდა, „ფეთანი“ და შეიძლება ზედმეტად უშუალო ადამიანის მიერ ქვეყნისთვის არის გაკეთებული. ვიცინით, ვიცინით, ვაკრიტიკებთ, გადაჭარბებულ პიპულიზმში, თვითორეკლამირებაში ვადანაშაულებთ და ვივინტებთ მის და მხოლოდ მის მიერ (დანარჩენები აქოშინებულები მხოლოდ მას მისდევნ და ვაი მაგათი ბრალი, თუ ჩამორჩინენ) უკვე განხორციელებულის, მიღწეულის მნიშვნელოვან ჩამონათვალს.

მე, ისევე როგორც ჩემზე უფროსი ან ოდნავ უმცროსი თაობის თითოეული ნარმომადებელი და, მათ შორის, თვით სააკაშვილიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისტემის მიერ უმოწყალოდ დაღდასმულნი ვართ. ამის აღიარება ბევრს არ სიამოვნებს, უჭირს და ფაქტი, მაინც ფაქტად რჩება. ათწლეულების მანძილზე საკუთარი სახელმწიფო არ მოგვწონდა და არც მიზეზებს ვუდრმავდებოდით. არ გვიყვარდა ქვეყნის ჰიმნი. არ გვეამაყებოდა დროშა. პატივს არ ვცემდით ჯარისკაცს. ამორფული საშიობლის შვილები ვყავათ და ამიტომ ასე თოლად ვმეტებდით მას ქაოსისთვის, განუერთხობისთვის, კორუფციისთვის, ქურდულ-კრიმინალური სამართალისთვის, ღირებულებების აღრევისათვის და ამ ყველაფრის შედეგად შვილების დასახირებისთვის. და რატომძაც კომფორტულად, მორგბებულადაც კი ვიყავით. ზუსტად ვიცოდით, რა ღირს პოლიციელი, პროექტორი, უმაღლესში მოსაწყობი, თუ ჯარიდან გასათავისუფლებელი კომისიის წევრი, მართვის უფლება, მოპარული დენი, უგზობისგან უვარების, ან მოპარული საბურავის ნაცვლად ნაყიდი ასევე მოპარული საბურავი, დაშაქრული ღვინო. . .

ქართული სახელმწიფო შედგა. პირველად ჩემს მეხსიერებაში, თავს სახელმწიფოს მხრიდან დაცულად ვერძნობ და ამის ერთიპიროვნულ ავტორად მიხეილ სააკაშვილს მივიჩნევ. და ცოტა იმათაც, ვინც აქოშინებულები უკან მისდევენ. იმათაც, ვინც მისი ტემპში, ენერგიის, შემართების ოდნავი აყოლა მაინც შეძლო. ზუსტად ვიცი, რომ 90-იანი წლები ველარ განმეორდება.



ქაოსი აღარ დაპრუნდება. პატარა და ყველასათვის მივიწყებული ქვეყნიდან, სულ რამდენიმე წელიწადში, საქართველო მსოფლიო პოლიტიკის არა მარტო ნაწილად, არამედ მოთამაშედაც იქცა. ჩემს მეხსიერებაში ასევე პირველად, მტერს-მტერი, ოკუპანტს-ოკუპანტი დაერქვა. ვალიარებ, რომ ეს სიტყვა ადრე არასძროს მიხმარია. ვინ თქვა პირველად და სხვასაც, ჩვენც, მთელ დანარჩენ მსოფლიოსაც ვინ ათქმევინა?

თავისებურო, შეიძლება უხეში, მოულოდნელი მუჯლუუზით მთელი ქვეყანა ერთდროულად ვინ გააღვიძის, გამოატიშმადა და მუშაობა, გადასახადების გადახდა, კანონის დაცვა, ქვეყნის მშენებლობაში ჩართვა, განათლების მიღება, ან თუნდაც ასე ირანიზირებული ინგლისურის სწავლა... ვინ გვაიძულა?

ხშირ შემთხვევაში გაუმართლებლად რისკიანმა, ზენერ-გოულმა, „ფეთიანმა“, მაგრამ არასწობმა, არაფსევდოლირებულებების მქონე, ყალბი დოგმებისგან, ცრუ ჩარჩოებისგან თავისუფალმა სააკაშვილმა ქართული სახელმწიფოს არამარტო იდეოლოგია, არამედ მენტალიტეტიც შეცვალა. დღეს უკვე ყველამ გავითავისეთ, რომ უვიცი მოზოლდ უვიცა, მექრთა-მე – მექრთამე, ქურდი კი – კრიმინალი. დღეს უკვე ყველანი თვალნათლივ დაგრძენებით, რომ თუ ჩვენი შვილების წარმატება გესურს, მათ, უბრალოდ, ათმაგად უნდა მოინდომონ,

ისწავლონ, იმუშაონ, თორემ ყოველთვის გამოწინდება ათასობით მათი თანატოლი, რომელიც სამართლიანად აჯობებს და ჩვენ ვერ ვუშველით, ვერ ჩაუწყობთ.

სააკაშვილი ახალგაზრდა თაობის ლიდერია. ჩვენ კი, ყოფილმა საბჭოელებმა სამართლიანი, თუ უსამართლო, მაგრამ გაუთავებელი კრიტიკს ნაცვლად, გადაეცება, ალლოს აღება, ნაკარნახევ ტემპზე, დროზე აწყობა ცოტა მეტად უნდა ვეცადოთ. არა და ამ კრიტიკა-კრიტიკაში, დააკვირდით, ჩვენი მოთხოვნებიც როგორ გაიზარდა, დაიხვენა. ადრე თუ მხოლოდ სინათლეს, მეტ-ნაკლებად გასავლელ გზას, წლიობით ვერალებულ ხელფასს ვნატრობდით, ახლა უკვე სრულიად დამოუკიდებელ სასამართლოს, იდეალური ჯანდაცვის, განათლების სისტემას, უნაკლო პოლიციას, პროკურატურას, ტერიტორიების დაპრუნებას... ვითხოვთ. უნდა მოვითხოვოთ კიდეც! ხომ ნათქვამია, მადა ჭამაში, ჩვენ შემთხვევაში კი შენებაში მოდისო. ჩვენ და-მოუკიდებელ, დემოკრატიულ, უეროპიზირებულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ეს გრანდიზული შენება, საქართველოს დღევანდელმა, ჩვენსავით არცთუ უნაკლო პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა წამოგანებულინა და არც კი შეგვეკითხება, ბოლომდე ისე მიგვატანინებს. მთავარია, მის ტემპს არ ჩამოვრჩეთ.

მიშას ნიშა



შოთა გაბარიში

„ვინ არ იცნობს ნახალოვკელ ტასოს,
ტრაკზე დიდი ნაკოლკები აქვსო“.
ხალხური სიმღერა

არ ვიცი, რა დავწერო. არადა, თითქოს უნდა მქონდეს
საკმარისი შთაბეჭდილება დაგროვებული. ორჯერ პირა-
დად ვნახე ბოლო-ბოლო. ან როგორ დავწერო? რანაირად
უნდა მოვიხსენიო... რა დავუძახო. რა ვიცი მასზე? იმან
რა იცის ჩემზე? თუმცა, ისიც საკმარისია, რომ მე ვიცი,
რომ მან იცის ჩემზე. ღმერთო, იმედია, იმაზე მეტი არა,
რამდენიც მე ვიცი მასზე. ტფუ.

მმმ... ესე იგი...

მიშა, მიშა, მიშა, მიშა, მიშა მი-შა მი-შა მი-შა. ეე, სად
ჩავიჭერი. ჰანტერ ტომპსონისთვის რომ ეთქვათ ნიქსონ-
ზე დაწერეო ჩემსავით ხომ არ ჩაიჯვამდა... დაწერდა. თან
ჩემნაირად მორცხვად კი არ დააკაცუნებდა კლავიატურა-
ზე. ეგრევე გაუიასნებდა, ვინაა ორში მთავარი და სამში
გრძნებული. დაარტყი! დაარტყი! მაგის! კლავია-
ტურას უნდა მოექცე, როგორც მტერს, როგორც გასა-
ხედნ ცხენს, როგორც მეცხრე ტალლას, როგორც სვანურ
მოსახლეს. წამით თუ იგრძნო პატარა ეჭვი – თუ მიხვდა,
რომ ჭოჭმანობ, ან გეშინია – ეგრევე დაგაგდებს. იქეთ
წამოგაჯდება და იზმენებს აგვიდებს. აი, როგორც ახლა
მე...

მე, მე, ჰუკ, როგორაა... სულ რომ ავინყდება ტიპს,
მეე... მენტო! მემენტო! მაგარი ფილმია. ისეთია, დამოუ-
კიდებულ პროექტებს რომ გააძრობენ ხოლმე, დაბალბიუ-
ჯეტიანს და მერე საკულტო ხდება. ამას მნიშვნელობა
არ აქვს. სიუჟეტია საინტერესო. ფილმის მთავარ გმირს
ყველაფერი ავინყდება. წარმოიდგინე, რაღაცა მოხდა, რა-
ღაცა გააკეთე, 5 წუთი გავიდა და ბრახ! აღარ გახსოვს.
დაგავინყდა. ეს გულმავინყა ტიპი იძულებულია ყველაფე-
რი ჩაინეროს, მაგრამ ჩანაწერიც ხომ ავინყდება... ჰოდა,
სხეულზე ისვირინგებს. მაქედან კი ნადად ვერ წაშლი.

მეც მაქვს ეგეთი სვირინგები. ალბათ, ყველას დაუგრო-
ვდა. რაღაცა ძალიან პირადი, ზოგჯერ საზიაროც. ზოგი,
საერთოდ, სპეციალურად ისვირინგებს ისეთ ადგილას, მა-
შინვე რომ არ მოხვდეს თვალში. რაღაცა დიდ ტევილთან
რომ არის დაკავშირებული, რომ არ გინდა გახსოვდეს,
მაგრამ დავინყებაც ცოდვაა. სიმართლეა, ბოლო-ბოლო.
მერე თავიდან ინყება ძიება. მთელი ფილმი ეძებ და ბო-
ლოს ჰპოვებ კიდეც ჭეშმარიტებას, თურმე სულ შენთან
ყოფილა, ამოსვირინგებული, სადმე... უკან. ისეთი სიმარ-

თლეა, რომ გიტყდება. ჯობია ისევ დაივიწყო.

რაღაც ვერ გადავაბი. არავინ იწყებს დავიწყებით.
ტაკსსა, თავიდან...

ესე იგი... მიშა, მიშა, ვინ არის მიშა. კარგი, მაშინ ვინ
არის მიშა, კონკრეტულად ჩემთვის. ვერ ვამბობ.
ა, მოიცა... ჩემშია საქმე, ჩემშია. ჰერსონაჟი მჭირდე-
ბა სხვა. ყურადღების გადატანა, სხვისი თავით ფიქრი.
ჰო... ალექსა! ალექსა და მე. უფრო სწორად, მე, ალექსა
და შოთა. სამხედრო აღლუმზე გადავუხტით წინ. ორნი
ვიყავით. დაცვა იყო ბევრი, სამაგიეროდ. ყვავილების
ფესტივალზე ჩაიარა ერეკლე მეორეზე. ლესელიძიდან შე-
მოვურბინეთ და ისევ გადავუხტით დიდი პაციფისტური
პლაკატით. რაღაც ფარჩავი თეთრი ტოგები გვეცვა და
ყვავილების დიადება. ორიპინტრეს და ინდოელი გურუს
ნაჯვარებს ვგავდით. ის-ის იყო დაცვამ სელები გადა-
გვიგრისა, რომ მყისვე, სასტიკი ბავშვი, რომელიც წელან
მწვანე კაცუნებით თამაშობდა – მერი პოპინსად იქცა.
ჯერ დასჭექა, ხელი გაუშვითო, მერე გვიყურებდა, იცი-
ნოდა და თითს იშვერდა, – „ნახეთ, ნახეთ, ჰიპები. რო-
გორც ამერიკაში“. ძალიან უხაროდა. ლამის „გივ ფის ე
ჩენს“ იმღერა.

ალექსაზე გამახსენდა. მიშა რა შუაშია, მაგრამ გუშინ
სასამართლოს დასკვნა მომიგიდა. დამნაშავედ გვცენეს
პოლიციისადმი „ბოროტი წინააღმდეგობისთვის“. აპელა-
ცია გვქონდა შეტანილი, თან გადაღრუსულმა ნობე-
ლიანტმა მწერლებმა მისწერეს, – უიტმენის კითხვისთვის
კაცს როგორ აპატიმრებთ, ვნახეთ ვიდეო, რაის წინააღ-
მდეგობაო. მეორე დღეს მერიამ მეორე სარჩელი შეიტანა
და მგონი, ხვალ გამოაქვთ მეორე განაჩენი. ჯამში, კაი
მოშნი ჯარიმა გამოვიდა. ისეთი, ახლა რომ ვერ დავდ-
ლევ. ჰოდა, ჯიბეში რომ ვიყოფ ხელს, ძალაუნებურად
მახსენდება... ბუშის დანახვისასაც მახსენდება. შემდეგ
ისევ მავინყდება, როგორც იმ ფილმის გმირს. რომ გა-
ვშიშვლდები და სარკესთან დავდგები, მერე კი ვხედავ.

მთელი ტანი სვირინგებში მაქვს. სხვადასხვა რამეები
მაწერია. ამა და ამ დღეს ჩემმა სამხედრო მეთაურმა,
რომელიც განსაკუთრებულად აფრენდა, ტყვიამფრქვევი
დაგვიშვა თხრილებში თავჩარგულ რეზერვისტებს, იგრ-
ძენით, რას წიმნაცს, როცა გესვრიანო. კინალამ ჩავიფსი.



ამა და ამ დღეს მიშა კოჯორში მოვიდა, ჩემთან ერთად ჭამა ჯარის საჭმელი და გაუპარსავი წვერი დამამადლა. ამა და ამ დღეს ქუჩაში მოვდიოდი და თავში ჩამარტყეს, ოპოზიციონერი მანიფესტანტი ვეგონეთ. ვგავარ რამით ქაჯს? ამა და ამ დღეს ავტობუსში ჩავჰაქი, რომელსაც ცეცხლმოდებულ გორამდე უნდა მივეყვანე...

მოკლედ, დაივიწყეთ. ვერ ვწერ, ვერა. რა დავწერო? ჩემი პირადი სვირინგბი? მე რა შუაში ვარ? არ ვიცნობ, ვერ ვხვდები ვინ არის, სად არის, რა უნდა. არა მარტო ჩემგან, ზოგადად, რა უნდა. დამიწერია ყველაზე მურტალ თემებზე – მონომედიაზე, გლემ-კაპიტალიზმზე, გი დებორის „თეატრის საზოგადოების“ დებორისეულვე კომენტარებზე, მარკიზ დე სადის „ლიპერტინის“ როლან ბარტისეულ რეცენზიაზე, ქალთა სახეებზე „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ამაზე ვერ ვწერ. არ ვიცი, რა უნდა

ვთქვა... ვერ გავიგე ტიპის ნიშა. ნალდად ვერ ვხვდები რა – ხან საბჭოთა დისიდენტია და არაპუმანურ რეჟიმს ებრძვის, ხან ბუშის ქუჩას ხსნის. ხან იმპერიის ძეგლებს ანგრევს, ხან წერეთლის გამოძერნილ დიდ საბჭოთა მამალოს დგამს თავისუფლების მოედანზე. ხან აპმადინეჯადს ეფლირტავება, ხან მაკეინის ძმაკაცია. ხან ლიბერტარიანელია, ხანაც სახალხო მთქმელი. ხან თანამედროვე კულტურის მნიშვნელობაზე საუბრობს და ისეთ ეპატაჟურ აქციებს აწყობს, ბევრი თანამედროვე კლასიკოსი რომ ვერ გაქაჩავს (მაგ. ოლვეის ულტრას ფორმის პლასტმასის ხიდს აშენებს ისტორიულ უბანში), ხან კრის დე ბურგზე აფანატებს. ხან მაგრად მამწარებს, ხანაც საყვარლად ხითხითებს და იძახის: „ნახეთ, ნახეთ, ჰიპები. როგორც ამერიკაში“.

ვერ გავიგე!

„სრუჩემი“ პრეზიდენტი

კატა საბალაშვილი



„...არ გაქვთ ადამიანის პირად ცხოვრებაზე, მის სექსუალურ ორიენტაციაზე
ინფორმაციის მოძიებისა და გამოყენების უფლება...“
იუსტიციის მინისტრ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრ
კახა თარგამაძისადმი მთავრობის სხდომაზე

„მიშა“ ბუდაპეშტში გავიცანი 2002 წელს, როდესაც სა-
მაგისტრო პროგრამის დამთავრება მოგვილოცა საქართვე-
ლოდან ჩასულ სტუდენტებს. ჯორჯ სოროსმა ამ ცერემო-
ნის დროს მას და ზურაბ უვანიას „ღია საზოგადოების“
პრემიები გადასცა. მიშა გვიყვებოდა, თუ რატომ დაუპი-
რისპირდა რეზიმს, დატოვა თანამდებობები, გაემიჯვნა ყო-
ფილ თანაგუნდელებს და შეებრძოლა მათ. ის ამბობდა,
რომ მიუხედავად ჩვენ მიერ გაწეული შრომისა, შინ დაბრუ-
ნებულები აღმოვაჩინთ, რომ ჩვენი ადგილი დაკავებულია.
ამ ადგილზე კი, რეზიმის მიმართ ლიალური, კლანურად
დაწინაურებული ადამიანის პირშორ დაგვხვდება. საკუთა-
რი ბრძოლის ერთ-ერთ მოტივაციად მან ამ სიტუაციის შე-
ცვლაც დასახელა.

სკოლელები მოიხიბლნენ მისი მებრძოლი სულისკვეთე-
ბით. ჩემი ამერიკელი თანაკურსელი გოგოები კი – არა-
მარტო სულისკვეთებით. ჩვენც კამაყოფილი ვიყავით, რომ
ჩვენი გამოშვება ასეთი სადაცესასწაულო გამოვიდა.

გავიდა სულ ცოტა ხანი და 2003 წლის 2 ნოემბრის არჩე-
ვნების დროს მივლინებით აღმოჩნდი მოსკოვში. რადგანაც
ვიცოდი, რომ კვირა დღე თავისუფალი მექნებოდა, საქარ-
თველოში არჩევნების მონიტორინგზე მომუშავე ორგანი-
ზაციას თბილისში ყოფნის დროსვე შევთავაზე მოხალისედ
დაკავირვება მოსკოვის რომელიმე უბანზე. ქართული კულ-
ტურის ცენტრ „მზიურში“ საარჩევნო უბანი დაგვიანებით
გაიხსნა. შენობაში ნოსტალგიას არ შევუწებებივარ, ვი-
ნაიდან ისე ბნელოდა და ციოდა, როგორც მაშინდელ სა-
ქართველოს ეკადრებოდა. დამკავირვებლების მოქრთამგის
წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჩვენი გამოყრის ოპე-
რაციის დასაგეგმად საუბნო კომისიის წევრები და შემო-
ვლაზე მოსული საქართველოს საელჩო დაცვის უფროსი
გვერდით თახახში განმარტოვდნენ. ამასობაში დრო ვიხელ-
თჲ, დროის მითითებით რამდენიმე ფოტო გადაფულე თი-
თქმის ცარიელ ურნას და სხვა დამკავირვებლებსაც დავა-
მოწმებინე ეს ფაქტი. როგორც მოსალოდნელი იყო, უბნის

დახურვამდე ცოტა ხნით ადრე ყველანი გამოგვაძევეს. ეს
ძალიან შეურაცხმყოფელი პროცესი იყო, რადგან „მზიუ-
რელებმა“ რუს სამხედროებს გამოაყრევინეს ჩვენი თავი.
„ახალი მემარჯვენების“ წარმომადგენელმა გიორგი მოსი-
ძემ კი მათ დაქირავებულ 2 სტუდენტ გოგოს უთხრა, გა-
სულიყვნენ და კარებთან დალოდებოდნენ მათთვის განკუ-
თვინილ ოქმებს.

თინათინ ხიდაშელმა, რომელიც იმხანად ნამდვილად არ
იყო მემარჯვენებთან „ალიანსში“ გაერთიანებული, და-
მკვირვებლების ოქმების წყალობით და სასამართლოს მეშ-
ვეობით მიაღწია იმას, რომ საზღვარგარეთის უბნებიდან
შემოსული ოქმები ბათილად ეცნოთ. ყოფილმა სახალხო
დამცველმა ნანა დევდარიანმა ეს გადაწყვეტილება არად
ჩააგდო და საბოლოო ოქმში ბათილად ცნობილი ოქმებიც
გაითვალისწინა. აი, ასე მოახერხეს მემარჯვენებმა სა-
არჩევნო ბარიერის გადალახვა. აი, ამიტომ მივიდნენ ისი-
ნი საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის პირველ
სხდომაზე, რათა კორუმი მოეგროვებინათ აპაშიძისა და
შევარდნაძის პარტიებს. აი, ამიტომ იდგა ხალხი ქუჩაში.

„ბუდაპეშტელი“ სტუდენტები შევიკრიბეთ მერიასთან,
რომ შევარდნაძის სახელზე დაწერილი მიმართვის საბო-
ლოო დეტალები შევგეთანხმებინა. მიმართვაში ვწერდით,
რომ მისი ქმედებები და გამონათქვამები საფრთხეს უქმ-
ნიდა დემორატიული ფასეულობების არსებობას ჩვენს
ქვეყანაში. „რევოლუცია“ ისე დაიწყო, რომ მიმართვის სა-
ბოლოო ტექსტის შეთანხმებაც კი ვერ მოვახერხეთ. ფო-
ტორებორტაუის კეთებისას ისე აღმოვჩნდი პარლამენტის
სხდომათა დარბაზში, რომ ვერც კი გავაცნობიერე, რა
მოხდა.

შემდეგ კი დაიწყო ახალი ეპოქა ჩემი ქვეყნის ცხოვრე-
ბაში: კორუფციასთან ბრძოლა, პოლიციის რეფორმა, მი-
სალები გამოცდების რეფორმა, შეკეთდა გზები და ფასა-
დები. მე ყოველდღე ახალი ამბების მოლოდინში ვიყავი და
ვერ ვაცნობიერებდი, რომ სადღაც დავკარგე ჩემი პრეზი-



დენტი. ის „არაჩემი“ პრეზიდენტი გახდა. ვერ ვხვდებოდი, მისი რომელი ქმედება ან გამოსვლა დამიპრუნებდა ჩემ პრეზიდენტს. ვაკვირდებოდი მის დამოკიდებულებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, ელიტური კორუფცია, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, სეკულარულ სახელმწიფოში დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულება, კომპარტიული ინტელიგენციის კომკაცშირულით ჩანაცვლების არდაშვება და კიდევ ბევრი სხვა. ვერ ვხვდებოდი, როგორ ცდილობდა ის, დარჩენილიყო ჩემ პრეზიდენტად.

ყველზე მეტად კი იმას ვერ ვხვდებოდი, თუ რატომ უნდა სდომებოდა ადამიანს ამერიკის ყველაზე სამარცხვინო პრეზიდენტისთვის უზარმაზარი თავყრილობით დახვედრა

ან ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭება. ვერც იმას ვხვდებოდი, თუ რატომ უნდა დაეტუსალებინათ პოეტები, რომლებმაც ამ „სიწმინდეზე“ უოლტ უიტმენის ლექსებით შეიარაღებულებმა გაილაშქრეს. ან რატომ უნდა მოეტყუებინათ ხალხი, რომ ლეხ კაჩინსკი ევროპის წამყვანი დემოკრატიი იყო მაშინ, როდესაც მას არსად იწვევდნენ საქართველოს გარდა და საკუთარი ჰომოსოციური ქმედებების გამო მისმა ქვეყანამ სტრასბურგში მარცხი განიცადა. რატომ უნდა იყოს იგი ჩემი ქვეყნის ეროვნული გმირი? რატომ უნდა ერქვას შავი ზღვის ქუჩას მისი სახელი? რატომ არ უნდა იყოს ქალაქში სერგო ფარაჯანოვის ქუჩა? და რატომ არა-სოდეს იტყვეს მიშა: „ვისაც გეები არ მოსწონს მე ვიქენები მისთვის ყველაზე დიდი გეი“? იმიტომ, რომ ის არაჩემი პრეზიდენტია.

კალგაზრდა ბეჭერი მიშა



ნინო ტეფნაძე

მიშა მაგარია! არა, არ ვხუმრობ, მართლა მაგარია. იმი-
ტომაა მაგარი, რომ ჩემნაირი ადამიანისთვისაც კი, პოლი-
ტიკაზე საერთოდ რომ არ საუბრობს და ქვეყნის გადარ-
ჩენის საუთარი გეგმა არ აქვს, მუდმივად აქტუალურია.
ძალიან მეზარება გამოთვლა, თორემ გეტყოდით, წელინა-
დში დაახლოებით რამდენ საათს ვუსმენ მიშას. დარწმუ-
ნებული ვარ, ეს რიცხვი ერთდროულად გაგაოცებთ და
შეგძლივოთებთ. არადა, ეგრეა. ვუსმენ, როგორ საუბრობს
კულტურაზე, ისტორიაზე, ეკონომიკაზე, რეფორმებზე...
ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მომწონს, მაგრამ ფაქტია,
რომ ვუსმენ.

მისი გამოსვლებიდან, პირველ რიგში, იმის დადგე-
ნა შეიძლება, რომ მიშა ცდილობს, იყოს სახალხო. არის
კიდეც. იმდენად სახალხოა, რომ ხშირად ოფიციალური
გამოსვლებისას წამოსცდება ხოლმე „საყოფაცხოვრებო“
ფრაზები, მერე კი ბოლიშის მოხდა უხდება. მიშა უბრალო
ხალხის მხარესაა და ამით ერთგვარად ემიჯნება „სწო-
ბურ“ დისკურსს. მას არ მოსწონს, როცა ადამიანებს რბი-
ლი „ლ“-ს გამო დასცინიან. მას არ მოსწონს, რომ თბილი-
სი პრივილეგირებული ქალაქია. მიშა ყველასია. უბრალოა
და ხელმისაწვდომი.

უცხოელ უურნალისტებს ძალიან უყვართ ხოლმე იმის
აღნიშვნა, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტი გვყავს. მა-
გრამ, ჩვენს შემთხვევაში, პრეზიდენტის ასაკს არავითარი
მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი აზრით, მიშა მაინც ბებერია,
იმიტომ, რომ მას ყველასი ესმის, ახალგაზრდების გარ-
და. ჩვენი მთავრობა გაცილებით მეტს ფიქრობს პენსიო-
ნერებზე, ვიდრე ახალგაზრდებზე. არადა, ცვლილებე-
ბი, რომლებიც ახლა ხდება, უმეტესად ახალგაზრდებს
ეხებათ. მათზეა დამოკიდებული, როგორი სახელმწიფო
გვექნება ხვალ. მათთან მეტი საუბარია საჭირო. ძალიან
ადვილია, დაასაჩუქრო წარმატებული მოსწავლეები და
ყველა დანარჩენს „ოროსნები“ უწოდო. ძალიან ადვილია,
იარღიყვნი მიაკერო მათ, ვისთან საუბარიც როული გე-
ჩვენება. არადა, ვინ იცის, იქნებ ეს „ოროსნები“ ინყე-
ბენ რაღაც ახალს. დამჯერ ბავშვებს ხომ არასდროს
არაფერი შეუქმნიათ. ცვლილებებს ისინი ახდენენ, ვინც

არსებულით უკმაყოფილოა. მიშას ჰგონია, რომ ახალგა-
ზრდებს მოსწონთ „ბონი ემისა“ და „მოდერნ თოქინგის“
მობერებული წევრები. უხარია, რომ ბათუმში კრის დე
ბურგი სოფო ნიუარაძესთან ერთად მღერის. მე კი არ
მჯერა, რომ ქართველი ახალგაზრდები სოფო ნიუარაძის
80-იანი წლების ესთეტიკაში გადაწყვეტილ სიმღერებს
უსმენენ. ჩვენ არ გვიყვარს რომანსები. ჩვენ თანამე-
დროვე, ენერგიული მუსიკა გვინდა ნახევრად მიცვალე-
ბული ვარსკვლავების ნაცვლად.

ხანდახან მგონია, რომ პრეზიდენტს უბრალოდ არ
სცალია, რომ მუსიკალური გემოვნება ჩამოიყალიბოს.
სწორედ ამის გამო, რომ ხან რუსლანა მღერის ჩვენს
სცენაზე და ხანაც – პლასიდო დომინგო.

პრეზიდენტს არც ლიტერატურისთვის სცალია. რო-
გორც წესი, საერთოდ არ ახსენებს ხოლმე თანამედროვე
მწერლებსა და მათ შემოქმედებას, არადა, კარგი იქნე-
ბოდა, პრეზიდენტს ფავორიტი მწერალი ჰყოლოდა, აი,
სოფო ნიუარაძესავით ფავორიტი. იქნებ ადამიანებს კი-
თხვა მაინც დაეწყოთ.

ჰყადა, კიდევ. შეუძლებელია სახელმწიფოსა და ახალ-
გაზრდების ურთიერთობაზე „პატრიოტული ბანაკები“
არ გაგვასენდეს. რაც უნდა კარგად ერთობოლდნენ იქ
ახალგაზრდები, მე მაინც მგონია, რომ პატრიოტიზმის
სწავლება გაუმართლებელია. ნებისმიერი იდეოლოგიური
აღზრდა შეიცავს საფრთხეს, რომ ის, ვინც ზრდის, დი-
ქტატურად გადაიქცევა და ის, ვინც იზრდება – მონად.
მიშასთვის ახალგაზრდები მომავალი მეომრები არიან,
აღჭურვილები სათანადო პატრიოტიზმითა და მოგონებე-
ბით აფხაზეთზე. ჩემთვის კი ახალგაზრდები არიან მო-
მავალი მეცნიერები, მომავალი მწერლები და უბრალოდ,
მომავალი პროფესიონალები – ადამიანები თავისუფალი
აზროვნებით, ჩარჩოების გარეშე.

კარგი იქნებოდა, მიშა ახალგაზრდებთან ისეთივე უშუ-
ალო ყოფილიყო, როგორიც სხვებთან არის ხოლმე. აი,
მაშინ კი ნამდვილად იქნებოდა მაგარი, ამ სიტყვის ყვე-
ლაზე ნალდი გაგებით.



5

გოგონა ლა შირქაზის უნა



ლელა ბაფრიცელაშვილი

2003 წლის არჩევნების დღეს უზბეკეთში ვიყავი. ბევრი ვეცადეთ მე და ჩემმა კოლეგებმა, რომ ჩვენი სამოქალაქო ვალი საქართველოს საელჩოში მოვეხადა, მაგრამ რადგან ამომრჩევლის ბარათი თან არ გვქონდა, – არა-ფერი გამოვივიდა.

თბილისში დაბრუნებულს, უკვე წინარევოლუციური მდგომარეობა დამხვდა. მთელი გულით და გონებით ჩავერთე მასში, როგორც საქართველოს მოქალაქე, რომელიც თავისუფლების, თანასწორობის და სამართლიანობის იდეების ერთგულია და მათი დამკვიდრების საქმეში საკუთარ ადგილს/ზნიშვნელობას აცნობიერებს.

რევოლუციისადმი ჩემს მხარდაჭერაში მიხეილ სააკაშვილს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა (თუმცა, ამ პროცესის ლიდერთაგან ჩემი ფაგორიტი ყოველთვის ზურაბ უვანია იყო), როგორც დემოკრატიული ლირებულებების ერთგულ და უკომპრომისო დამცველს და არავითარ შემთხვევაში, – როგორც მასების მობილიზატორს. აქედან გამომდინარე, „ვარდების რევოლუციისადმი“ ჩემს სიმპათიებს ცვლილების მოლოდინი და სურვილი განაპირობებდა და არა – კერძოაუგანისმცემლური ვნებები.

თუმცა, უკვე 2004 წლიდან ნათელი გახდა, რომ რევოლუციის ავანგარდში მდგომი ადამიანების მიმართ უფრო მეტი კითხვები მქონდა, ვიდრე – ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ. და რაც ყველაზე მთავარია – ამ პრობლემების განსჯისა და პასუხის გაცემის სივრცე შეიზღუდა და თანდათან შსს-ს იმ ოთახს დაემსგავსა, საიდანაც ადამიანები „შემთხვევით ცვივოდნენ“.

დღეს უკვე სანახაობად/კარიკატურად ქცეული ქართული დემოკრატიის ლიდერი პრეზიდენტი საბჭოთა ხელმძღვანელებს უფრო მაგნებს, ვიდრე – ქართველ რეფორმატორებს. ამ შეფასების ნათელსაყოფად მინდა ილია ჭავჭავაძის და მიხეილ სააკაშვილის საჯარო განცხადებები შევადარო ერთმანეთს:

ილია ჭავჭავაძე, 1887 წელი: „ეხლა ვაჟუაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლა ჰდებოდეს, ვაჟუაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰდებოს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერ-

ხი გარჯისა, ვინც უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვანს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს...

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მეის. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უნინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟუაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟუაცობაზე. ვაჟუაც გულაძეზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხეკაცი თავისებურად ზედგამოქრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხეკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰდალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღალადი? ვაი რომ არა. მაშ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

მიხეილ სააკაშვილი, 2010 წელი: „ჩვენ უნდა ვიყოთ მზად:: ერთ ხელში უნდა გვეჭიროს თოხი და მეორეში იარალი... ერთ ხელში უნდა გვეჭიროს თოხი, კომპიუტერი, ნიგნი, სხვა ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა 21-ე საუკუნის თანამედროვე ქვეყნის მშენებლობისთვის...“

სამწეხაროდ, არ ვცხოვრობთ ჩვენ შვეიცარიაში და პოლანდიაში და არა ვართ გარშემორტყმული ერთი მიმართულებიდან ძალიან მეგობრული ქვეყნით და საქართველოს სჭირდება ყველაფერი ეს და არაფერი მილიტარისტული ეს არ არის. მაშინ მილიტარისტი იყო დავით აღმაშენებელი და ყველა დიდი ქართველი პატრიოტი. საქართველოს სჭირდება თავის თავის დაცვა. ჩვენ არავის არ ვესხმით თავს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ტერიტორიების 20% ოკუპირებული.

დათვს ბაბაია რომ დაუძახო, სულაც არ ნიშნავს, რომ დათვს მოენონო და სხვათაშორის, თუ მოენონები კიდევ



უფრო კარგად შეგქამს. და ყველაზე კარგი მეთოდი და-
თვთან არის, რომ ჯოხი აიღო ხელში, ჯოხი ჩაარტყა და
ყველაზე კარგია, თუ გაქვს პისტოლეტი ან თოფი, კიდევ
უფრო კარგი, მსხვილკალიბრიანი.“

ოპონენტებთან დამოკიდებულებაში იღიაც შეუპოვარი
და დაუნდობელია, მაგრამ მისი კრიტიკული წერილების
ლომის წილი არგუმენტებზე მოდის და არა – ქარაგმებსა
და შეურაცხმყოფელ სარკაზმზე.

19-20-ე საუკუნეთა გზაგასაყარზე, ნოე ჟორდანიამ
საადგილმამულო ბანქს „ბურუუზიულ-ფინანსური დანე-
სებულება“ უწოდა. იღიამ კი მას, როგორც გერმანიაში
„განსწავლულ“ მარქსისტს, ურჩია ელემენტარული პოლი-

ტეკონომიკური კატეგორიები „ფინანსური“ და „საკრედი-
ტო“ ერთმანეთისგან განესხვავებინა.

ჟორდანიას მეორე არგუმენტი ბანკის თავადაზნაუ-
რულ-წოდებრიობას ეხება. მის საპასუხოდ იღია დაწე-
სებულების გამგეობის შემადგენლობასა და ზედამხედვე-
ლობის კომიტეტზე მიუთითებს, რომლის წევრობა ყველა
წოდების კაცს შეუძლია, ოღონდ კი ამორჩეული იქნას.
(თავადაზნაურთა კრება 3 წელიწადში უნდა გაიმართოს,
ხოლო ბანკის მორიგი კრება ყოველწლიურია).

ბანკის მესამე ნაკლად მარქსისტი ასახელებს დამფუ-
ძნებლების სავალალო მდგომარეობას, რადგან მათ მა-
მული ეყიდებათ და დღითიდღე ღატაკდებიან. ცხადია,

სპეციალური მომსახურები

ხვდება ილია, რომ მოპაექტე მხარეს რეალობაზე წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ მაინც ეხმანება: „მამული ეყიდებათ მათ, ვისაც ბანკში მამული გირაოდ შეუტანია და ვალად ფული გაუტანია. ამისთან კაცს „ვალის ამდები“ ჰქვია და არა – „დამფუძნებელი“. „დამფუძნებელი“ მარტო ბანკის დამარსებელია და ფულის ჩამომსვლელი და სხვა ცალკე ქონებრივი დამოკიდებულება არ აქვს ბანკთან და ვისი რა პასუხისმგებელია, ვისი რა მზღვეველია თავისი მამულით?“

მეოთხე, საადგილმამულო ბანკის იდეის საწინააღმდეგო, არგუმენტი უორდანიასთვის არის „ფულის“ და „წოდების“ ურთიერთშეუთავსებლობა. ამ შეხედულების სისუსტეს ილია ამ საგანზე გავრცელებული შეხედულებების მოხმობით ცდილობს:

„საკომიტერციო ბანკები ვაჭართა წოდებისთვის უფრო დაარსებული, სასოფლო ბანკები – გლეხთა წოდებისთვის, სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი – მარტო და განსაკუთრებით თავადაზნაურთა წოდებისათვის, სახელმწიფო საგლეხო საადგილმამულო ბანკი – მარტო და განსაკუთრებით გლეხთა წოდებისათვის. რადგან აქ ერთი მხრით ფულია და მეორე მხრით – წოდება, და რადგან ისინი ერთმანეთს წინააღმდეგებიან, მაშინ უორდანიას ლოლიკით ეს ბანკები იძულებული არიან ამ წინააღმდეგობაში იტრიალონ და ამით თავის თავს ებრძოლონ.

ამ ჩვენს უებრო მარქსისტს და ლოლიკას სწორედ ის საქმე დაპრატინიათ, რაც ფულსა და წოდებას, ბ-ნ უორდანიას თუ დავუჯერებთ.“

ჭავჭავაძე-უორდანიას ორთაბრძოლა 1900 წელს გაგრძელდა. ილიამ ევროპიდან ახლად დაბრუნებულ „ქადაგს“ (რომელიც უკვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია!) მიმდევრების შერჩევის წესი დაუწუნა: თანამებრძოლებს მხოლოდ ერთგულების მიხედვით არჩევ და არა – ზნეობისა და პროფესიონალიზმის ნიშნითო. ასეთები კი ქართველი ერის წარმომადგენლებად ვერ ჩაითვლებიანო. განრისხებულმა მარქსისტმა, აქამ და, ბევრი ვართო – 101 ადამიანის ხელმოწერილი წერილი გამოაქვეყნა. ამს პასუხად ილია ამბობს: „სადაც ეთიკაზე და მართებულობაზე ლაპარაკი, ხმა უნდა აწონილ იქნას და არა – დათვლილ, რაც გინდ ბლომად ნულები გაამწერივოთ, მაინც ნული გამოვა“.

სოციალ-დემოკრატების „განულებით“ თავზარდაცემული წოე უორდანია ცდილობს ეს ყველაფერი „ქართველი ხალხის“ შეურაცხყოფად თარგმნოს და საზოგადოებას „ივერიის“ მესვეურებთან ანგარიშის გასწორებისკენ მოუწოდებს.

ილია კარგად ხედავს – რა საშიშ თამაშს თამაშობს იპონენტი. ამიტომ მოუწოდებს გაიხსენოს აზრები, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინათ თავს იწონებდა:

„გონება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურება ყოველგან და ყოველთვის ადვილი მისაგნებია. ცხადია, პირველის ჭურჭელი – ინტელიგენცია – ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორესი

(ე.ი უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია. ხალხი და ინტელიგენცია, ინტელიგენცია და ხალხი – აი, ორი მეტოქე და მებრძოლი ელემენტი. ამნაირად ინტელიგენტი გონებას აგდებს ხალხიდამ და ხალხს – გონებიდამ “ (კვალი, 1898, ნომერი 12, გვ.2011)

არ ცხრება უორდანია: ყველას, ვინც კი მისი მხურვალე მხარდამჭერი არ არის, „ძეველებში“ ათავსებს, ხოლო საკუთარ თავს და მისიანებს „ახლებად“ წათლავს და სამოქმედო პროგრამას აძლევს:

„ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილია და ინერება და არა ის, რაც წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა“. ასეთი საქმიანობის მაგალითად კი კახეთში მისი მოგზაურობა და ამ ვოიაუიდან გამოტანილი დასკვნები მოაქვს: გლეხის, თავადის, მღვდლის განსხვავებული ჩაცმულობა, საუბარი, მიხვრამოხვრა, ხასიათი და ზრდილობა უტყუარი საბუთია იმისა, რომ კახეთში კასტური წყობაა.

ამ აბსურდული აზრის უარსაყოფად ილია იძულებულია უამრავი მაგალითი მოიტანოს ევროპული (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი) სინამდევილიდან: გლეხი, პროლეტარი, წერილი ფერმერი, ფერდალი, ლორდი ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ არავის მოუვა აზრად ამ საზოგადოებებს კასტურობა დასწამოს:

„თავისთვის რომ ვერ აუხსნია, ვერ გამოურკვევია ეს სიტყვა, ვის რას აუხსნის, ვის რას გამოურკვევს ამისთანა ყოვლად უმეცარი და ქარაფულტა მოუპარი.“

ამ პოლემიკაში ილია არანაცლებ მნიშვნელობას ანიჭებს წოე უორდანიას მიერ ქართული და ევროპული საზოგადოებების შედარებას:

„როცა რომელიმე მოღვაწე ევროპაში იტყვის – ხალხიო – მაშინ ის და სხვებიც ერთს ყველაზე მოძრავ და მონინავე ელემენტს გულისხმობს. ჩვენში თუ ხალხი ახსენე, უთუოდ ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილს, ანდა სოფლის უძრავ ელემენტს გულისხმობენ.“

ეს აზრი კი საბოლოოდ აცლის ნიადაგს წოე უორდანიას, რადგან მისი მომხრები ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდნენ მე-19-20 საუკუნეთა გზაგასაყართან დარაზმულ მონინავე ადამიანებად.

„ეხლა სწორედ მე მეთქმის: აი, სადამდე უკან ჩამორჩენილა ევროპას ეს ჩვენი გუდაფულტა ვითომდა ახალი მოღვაწე. სასაცილო არ არის ეს ამბავი: კაცი სიტყვით წინ იწევდეს თავგადაგლეჯილი, საქმით კი – ფეხები დამბლასავით უკან რჩებოდეს?!.. განა სასაცილო არ არის, რომ ბ-ნა უორდანიამ ასე გაიბა თავი საკუთარ მახეში?“

აბა, ვეცადოთ და აღმოვაჩინოთ მსგავსი პოლემიკა თანამედროვე საქართველოში. ტყუილად გავირჯებით, რადგან პრეზიდენტი, პოლიტიკოსები და სამოქალაქო აქტივისტები მხოლოდ თანამოაზრებს ელაპარაკებიან. ხოლო თუ ვინმები მათ ნააზრევში წინააღმდეგობა აღმოჩინა, მაშინ კამათი ან წყდება ან ლანძღვა-გინებაში გადადის. სწორედ ასეთ მოაზროვნებზე თქვა ილიამ: „გოგრა ვერ იქცევა შირაზის შუშად, რაც გინდა მაღლა თაროზე დასდვა“-ო.



მირადიო

თბილისი, ყვარელი, ლაგოდევი	FM 105.5
გორი, ჩარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, გათუები	FM 101.0
ცოთი, სენაცი, ზუგდიდი	FM 101.9

მოავტოს სივრცე

ავტორი: მიშა ხულეაძე

ფოტო: იურგინ პოლაკი

„ო არჯუნა, იოგი ვერასდროს ვერ გახდება ის,
ვინც ბევრს ან ცოტას ჭამს,
ვისაც ბევრი ან ცოტა სძინავს.“
ბჟავატ-გიტა

60-იანების მუდმივმა ტენდენციამ, ბოჭემური ცხოვრების წესით კულტურული სწორხაზონებიდან თავი დაეღწიათ, 70–80იანი წლების ფრანგულ ფილოსოფიას დაანახა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების და ცხოვრების ზოგად წესთან დაპირისპირების ამ მეთოდს შედეგი არ მოჰყვა – საზოგადოებამ შემოქმედთა ამ გულწრფელ ძალისხმევას ატრაქციონის სტატუსი მიანიჭა და მოხმარებით სფეროში განათავსა. ამიტომ ახალი ფრანგული ფილოსოფია ბოჭემური ცხოვრების წესს რადიკალურად განუდგა და მოცემულ/კანონიზირებულ ცნობიერების ფორმასთან ბრძოლაში მთავარი აქცენტი ენბობრივ დეკონსტრუქციაზე გადაიტანა – ანუ, როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, „ყოფიერების სახლის“ დაშლაზე დაიწყო მუშაობა.

ამ სიტუაციაში, ამ ახალ ფილოსოფიურ სივრცეში ვიზუალურმა ხელოვნებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. რეზისტენტულმა ხელოვნებამ და აზროვნებამ, სამყაროს, ფასეულობათა გადაფასებების ახალი მეთოდოლოგია შესთავაზა. ამან კი, პოსტსტრუქტურალიზმის ერაში ტრანსცენტული ჭეშმარიტების მაძიებლი ბოჭემური მხატვრის როლი პრაქტიკულად დაასრულა.

„...სარდაფის ბოჭემური ცხოვრების მიმზიდველობა... არაფრის მომტანი მისი წესტი დაავადებულ სხეულში აღნევს.

მაგიდა, სივრცეში გარშემორტყმული პატარა პალიშიანი სკამებით. მასზე მსხდომი ადამიანები – თითქოს ყველა ნაცნობი, ახლობელი და, ამა-

ვდროულად, უცხო. დრო მალე გადის. წითელი ღვინით ხელში სხვადასხვა მაგიდებთან საუბრებში ებმები. მუსიკა. ვიღაც საცეკვაოდ გეპატიურება. გგონია, რომ დღეს მაინც რაიმეს შეცვლი/შეიცვლება.

გალერეიდან ისევ გრძელ ვინრო სარდაფში მოგზაურობა. უსასრულო გარჩევების ზურუნა ფონი – უფრო სწორად ირონიული რემარკები გამოფენის „ხარისხთან“ დაკავშირებით. არაფრი ახალი. მესალმებიან გაბრუებული ადამიანები.

„ფილოსოფია“ აქ ხელოვნებაზე საუბრებით იწყება, შემდეგ მთვრალყაყანი გადადის და ბოლოს ყველანი ერთმნიშვნელოვანი ჭეშმარიტების უტყუარობას ვამტკიცებთ. მუდამ გვერდზეა ადამიანი, ვინც ფოტოსურათებს იღებს და „მოვლენას“ ისტორიულ სტატუსს ანიჭებს“:

დაახლოებით ახეთი იქნებოდა 60-იანი წლების დოკუმენტურ-ლიტერატურული ობუსი.

სამუშაო მაგიდა. კურატორულ წერილებს და სტატიებს ვკითხულობ. ვხვდები, რომ იქ, სხვა სივრცეში (დასავლეთში) ეს ყველაფერი – ბოჭემური ცხოვრება, სწორხაზოვანი ჭეშმარიტების მაძიებელი მხატვარი (ფუნჯით და ღვინის ჭიქით ხელში) დრომ გააქრო. არტისტულ (და არა მხატვრულ) სივრცეში ახალმა რეზისტენტულმა ფორმამ იჩინა თავი, სხვა პროცესები დაიძრა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ღვინოსთან, ქცევის ალტერნატიულ წესთან, ბოჭემურ/რომანტიკულ პათოსთან. აქ ღრმა ენობრივი კოდების ანალიტიკური კვლევა ხორციელდება, რომელიც ახალ ენობრივ

ფენომენებს აჩენს, ან სულაც აუქმებს მათ.

ნანილობრივ, უსუსურად, მაგრამ უკვე ჩვენს სივრცეშიც გაიუღერა ამ თემამ, რასაკირველია კვაზი ფორმებით. დასავლეთში მყარად ფეხმოკიდებული ფორმულა – რომ ყოველი იდეოლოგიური გარემო მხოლოდ დროებითი კულტურული კონსტრუქტია და მას არ უნდა ვენდოთ, ჩვენში ჯერ კიდევ სრულიად უცხოა. ჩვენ ხომ ერთმნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები გვიყვარს და ვერ ველევით მათ.

ამ ზემოთხსენებული პრობლემის კონტექსტში, კითხვები ვიზუალური ენობრივი სისტემების კვლევაში, ბევრი დაგროვდა. ამიტომაც მივაკითხე ამ პროცესების უშუალო მონაწილეს არტისტ ქეთი კაპანაძეს.

ზემოთ აღნერილი მეტამორფოზა (ბოჭემურიდან დეკონსტრუქტიულ აქციებამდე) ბევრი ადამიანის ცხოვრების მეტამორფოზადაც იქცა; მათში რომანტიკულ-ინტუიციური ძიება და ცხოვრება რაციონალურ-ენობრივმა შეცვალა. სწორედ ამის მაგალითია ქეთი კაპანაძის შემოქმედება და ცხოვრების გზა.

აქ, საქართველოში ცხოვრებისას იგი შემოქმედებითი საზოგადოების ბოჭემური ცხოვრების ცენტრად ითვლებოდა. ეს მხატვარი (ბევრის-გან განსხვავებით), რაინდული და გონიერი სულის მატარებელი აღმოჩნდა და ათი წლის წინ დასავლეთში ნასვლის შემდეგ თავისი ცხოვრება/ხელოვნება მთლიანად შეცვალა – ახალი ხელხებით და შინაარსით აამეტყველა. სწორედ ამ გარდაქმნაზეა მისი ინტერვიუ.





ქეთი კაპანაძე, შტუტგარტი, 2010-06-15.

* * *

მათ, ვისთვისაც მხატვრობა რელიგიაა, ალბათ იმედს გავუცრუებ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ევროპა ამ რელიგიის ეკლესია ნამდვილად არ არის. დღეს ჩემი რელიგია ჩემი გამოცდილება და ჩემი ცოდნაა. აღმოსავლეთიდან დასავლეთში ჩემმა გადაადგილებამ დამანახა, თუ როგორი რელატიურია სინამდვილე და მისი ფასეულობები, რომ ყოველგვარი გარემო მხოლოდ დროებითი კულტურული კოსტრუქტია, სადაც მყარი და აუთენტური ფასეულობები არ არსებობს.

პატარაობაში, წინათგრძნობებით მონუსტელი, საათობით ვიჯექი სახლის კედელზე დამაგრებულ სახანძრო კიბის ბოლო საფეხურზე. ეს შეგრძნებები ჯერ უფორმო იყო, დროთა განმავლობაში, კონტურები გამოიკვეთა და 10 წლიდან

ვიცოდი, რომ მთელი ცხოვრება სხვა-გან უნდა გამეტარებნა. დასავლეთში ჩემი ტემპერამენტი და ნიჭი მთლიანად მუშაობაში ჩავდე, არც საქართველოში ვყოფილვარ რაიმე სხვა მონაცემებისთვის პოპულარული. როდესაც მე და გია (ექვერაძე) დავშორდით, მან ასეთი რამ მირჩია: ყველაფერი შეიძლება ადა-მიანმა დაკარგოს, მაგრამ ერთადერთი, რაც ყოველთვის ჩენონან დარჩება, ჩენი ძალისხმევაა და ამ ძალისხმევით შეძინობი გამოცდილება.

* * *

2008-ში პარიზში 6-თვიანი სტიპენ-დიით ყოფნისას დროის უმეტესი ნაწილი მარტო ვიყავი, მაშინ ნათლად დავინახე, თუ როგორი აპსოლუტური იდენტი-ფიკაცია მაქს ჩემს მოწოდებასთან – მხატვრობან, რომ ამ არსის გარეშე ვერ ვხედავ ჩემს თავს. სწორედ ამიტომაც არასოდეს მქონია იდენტიფიკაცია ქა-

ლურ საწყისთან და არც მათი მესმოდა, ვანც როგორც მხოლოდ ქალს, ისე მიუურებდა. უფრო მეტიც: ჩემში ეს მხატვრის იდენტიფიკაცია ისეთი ძლიერი იყო, რომ ჩემი დანარჩენი სოციალური აქტივობა (საქართველოს კონტექსტში) თითქოს არც მეხებოდა.

პირველად მხატვრის სახელოსნოში დახუჭიბანის თამაშისას აღმოვჩნდი, მაშინ 4 წლის ვიყავი. თეთრი, სუფთა ტი-ლოების თვალისმომქრელმა შუქმა და საღაბავების ინტენსიურმა სუნმა, რომელსაც თითქმის ფიზიურად ვხედავდი, შემიწოდა თავის უსასრულო სივრცეში. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მიპოვეს ამ ოთახში. მხატვრულ აურასთან ასეთი ინტენსიური შეხების შემდეგ მსახიობება აღარ მომდომებია, თუმცა არასოდეს დამავიწყდება ქალების საგრი-მოორის მაგრური შუქი და არც ცარიელი სცენის ფართოდ გადასხილი ხახა, სა-დაც სინამდვილე სიშავეში უჩინარდება.



* * *

1992 წლიდან ევროპაში მიწვევით ხშირად დავძილოდ. 1995-ში ბაზელში მქონდა გამოფენა. ამ გალერეის კურატორთან უცნობი კაცი მისულა და უკითხავს: სტიპენდია ხომ არ მჭირდებოდა. ძალიან მაღლე ბერნის სამინისტროს კულტურის განყოფილებამ სამთვიანი სტიპენდია დამინიშნა. ცოტა ხნის წინ შტუდგარტის სამინისტროში გაგზავნე წერილი უფრო დიდი სახელოსნოს მოთხოვნით. ორ დღეში თვითონ დამირეკეს მოსალაპარაკებლად.

იმის თქმა მინდა, რომ ინსტიტუციებს თავიანთი ფუნქციები გაცნობიერებული აქვთ ისევე, როგორც მუზეუმებს. თუ-მცა გალერეები სხვა კრიტერიუმებით მუშაობენ. ხშირად მათი ერთადერთი კრიტიკოუმი მხატვრის სახელი და ამ სახელით ვაჭრობაა — ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა მხატვარს სამხატვრო სცენაზე იმიჯი შეუქმნას და მისი პო-

ტენციური კოლექციონერების ქსელი დააფუძნოს.

* * *

მეოცე საუკუნის ბოჰემური იდეალი — ჭეშმარიტების მაძიებელი მხატვარი, ცალ ხელში ფუნჯით და მეორეში დვინით, ნარსულს ჩაბარდა. ინტელექტუალებმა საბოლოოდ გააცნობიერეს, თუ რამდენად აბსურდულია იდეოლოგიების ბრძოლა და რომ ერთმნიშვნელოვანი ჭეშმარიტების რწმენა იღუზიაა. დღეს ადამიანები ბავშვების უდარდელობით აწყობენ კატასტროფებს, რომელთაც ვეღარ უწოდებ ტრაგიკულს — ეს ყველაფერი უსსეულო თამაშის ნაწილია, რომელსაც საერთაშორისო მედიური სხეული განაგებს. საქართველოს პრობლემა ისაა, რომ ის მოწყვეტილი იყო ისტორიულ მსვლელობას, მასთან ხახუნს. ინკუბატორში კი თანამედროვე ხელოვნება არ იპავება.

ლუიზ ბურუუამ თქვა, რომ ადამიანს მხოლოდ მუშაობა ანიჭებს ბედნიერებას. მისი მიზანი წარმატება არასდროს ყოფილა. მე მგონია, რომ ბურუუას მიღეობა მხატვრისთვის ფორმულა უნდა იყოს — მხოლოდ ინტენსიურ მუშაობას მოაქვს შედეგი. ნამუშევრის

ပုဂ္ဂန်များ

ფორმალური ხარისხი და მისი „მე-სივე“ ერთიან სხეულად უნდა იქცეს, ასეთი ერთიანობის მიღწევა კი დიდ ძალის სტანდარტის ითხოვს. კიდევ ერთი – გადაწყვეტილებას რომ ვიღებთ, მაშინაც კი, როდესაც თითქოს გაქვს თავისუფალი არჩევნის საშუალება, მანც შეზღუდულები ვართ, რადგან არჩევანის ეს სპექტრი უკვე მოცემულია. თუ განვაზოგადებთ, მივხვდებით, რომ ბოლოს მანც ორს შორის ვირჩევთ – რისკა და დაზღვეულობას შორის. გასაგებია, რომ მხატვარმა რისკი უნდა აირჩიოს; ვრცც რისკავს, ის შედევებიგან დამოუკიდებლად უკვე პრინციპულად მოგებულია – მაგრამ ამ დეპულებას, რასაცირეველია, უფრო ვრცელი განმარტიბა სჭირდება.

აინშტაინი ამბობდა, ადამიანმა უწყვეტად უნდა დასვას კითხვებიო. მხატვარმა იმას უნდა გადააბიჯოს, რაც მოსწონს. უცლაფერი, რაც მიღწეულია, მხოლოდ ეტაპია და არა შედეგი. არ უნდა დაგეავინწყდეს, რომ ნამდვილ პროცესს სასრული არა აქვს, ამის კლასიკური მაგალითი პიკაბია და მისი ბოლო ნამუშევრები. ესაა ის ნაბიჯი რაც ფასობს, ის ეკუთვნის მხოლოდ მხატვარს და ამიტომ არის ფასეული. ეს პროცესი არის ის ერთა-დერთი, რასაც არტ-მარკეტი ვერ აკონტროლებს. კითხვის დასმა პროგრესის პირობაა, როგორც კი ფაქტი ბუნებრივად მიიღება, კლავს ახლის დაბადების პოტენციას.

პარადოქსში არ უნდა ჩამეთვალის – პროფესორებმა აკადემიაში ის არ უნდა ასწავლონ, რაც იციან, მათ სტუდენტთან ერთად „მოუცნობში“ უნდა იმოგზაურონ, დაეხმარონ კულტურიდან თავის დაღწევაში. უპირველეს ყოვლისა, ეს ყველაფერი, რასაკეირველი, ინსტიტუტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული.

* * *

საერთოდ ბავშვობაზე რეფლექსია
მნატვრისთვის სასარგებლო მგონია.
ზუსტად ვხედავ ჩემ თავს ბავშვობაში და
ვხედავ, რომ საერთოდ არ შევცვლილ-
ვარ. თითქოს მხოლოდ სახლიდან ვიყავი
ნასული (ამ შემთხვევაში, ჩემს სხეულს
ვგულისხმობ) და კულტურის კალეი-
დოსკოპურ სხეულში ვმოძრაობდი მთე-

ლი ეს დრო, ახლა კი უკან დაბრუნებას ვცდილობ ჩემს სრულ და უპირობო აუ-თენტურობასთან...

შენ დამოუკიდებელი უნდა იყო! ამ
სიტყვებს ხშირად მიმეორებდა ბებიაჩე-
მი. ლია ჩემთვის იმის მაგალითია, თუ
როგორ ძეგიძლება მარტომ, ბავშვით,
იმ დროინდელ სუულიად ფალიკური
ორიენტაციის მქონე ქვეყანაში, ასეთ
მნიშვნელოვან მსახიობად ჩამოყალიბე-
ბულიყო. სურვილიც არ ჰქონია, ჰარ-
მონიულ ოჯახში მთავარი როლი ეთა-
მაშა.

რადგან ჩევნი ცივილიზაცია გამოკვეთ
თილად პატრიარქალურია (და მხოლოდ
ახლა დაიწყო გარკვეული სივრცის
დათმობა ქალისთვის), თთქმის ყველა
ქვეყანაში ქალებს სიტუაციაზე მორგება
უნდა იყოს. ამიტომ ქალისთვის ისიც კი ძნე
ლი ამოსაცნობია, თუ სად იწყება მისი
სურვილი და სად არის აღზრდის შედეგი;
სად არის ფასეულობები, სოციუმმა რომ
გვიკარნახა და სად იწყება მისი საკუ
თარი აზროვნება, მსოფლმხედველობა.
შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი შეხედულება
დასავლეთში ცხოვრებაზე არ შეცვლი-
ლა და რაც დიდი ბეჭდიერება მგონია,
მე და ჩემი მეგობარი ამ შეხედულებებს
ვიზიარებთ. ჩემ შევიღს რომ ვაკირდე-
ბი, ვხედავ რომ პრინცეპში სწორად ვი-
ცხოვრე. ანა 15 წლის იყო სამხატვრო
აკადემიაში რომ მიიღეს, თანაკლასულე-
ბისაგან განსხვავებით, მან უკვე იკოდა.
რა უნიკალური ცხოვრებში = ას დას კ



ପେଣେର୍ବେଳୁ



ခန့်ခွဲခြင်း၊ ပေါ်လောင်ချုပ် – ပိုမိုကြည်

အသိပေါ်: အာရာ တော်လောဒီ

რა თქმა უდეა, შენ
სრავლობ წესებს,
რომელიც ჯაზში
ერთგვარი სასაუბრო
ენაა, ისევე, როგორიც
ინგლისურია ენა,
მაგრამ წესებს
სრავლობ იმიტომ, რომ
ერთ დღის ეს წესები
დაარღვიო.



რაზე გაპრაზებოდა ჩარლი ფარეირი

ყოველთვის კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა ჟღერდეს ჩემი მუსიკა, – ახლებურად! ოცი, ან სამოცი წლის შემდეგ, იმდენ მაქსს, რომ ეს საუნდი უკვე მოძველებული იქნება. ასეც უნდა იყოს. ნამდვილად არ მინდა, სამოცი წლის შემდეგ ვიღაცებმა ისევ ის მუსიკა დაუკრან, რასაც დღეს ჩვენ ვუკრავთ და ისეთივე საუნდი ჰქონდეთ, როგორსაც დღეს ჩვენ ვექმნით. ჩარლი ფარქერი მკვდრეთით რომ აღდგეს და აღმოჩინოს, რომ ისევ იმას ვუკრავ, რასაც ის უკრავდა გასული საუკუნის ორმოციანებში (ანუ ბიბოფს), ძალიან გამიბრაზდება. მეტყვის, ამას მე 60-70 წლის წინ ვუკრავდი და შენ დღეს იმავეს რატომ აკეთებ?

აგურის აგურზე დადების მიზანებისაბრივა

დღეს ჩვენ ჩვენივე ეპოქის შესაბამისი საუნდის ძიებაში ვართ, მაგრამ ნამდვილად არ გვინდა, რომ შემდეგ თაო-

ბას დავაწვეთ კისერზე იმ მუსიკით, რომელსაც დღეს ვექმნით. მომავალში მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ საუნდს, როგორ ჟღერადობას მისცემენ თავიანთ ეპოქას. ღრმად მწამს, რომ ნებისმიერი მუსიკოსი თავის მუსიკას უნდა ხედავდეს, როგორც პროლოგს მუდმივად ცვალებადი რეალობისთვის, მაგრამ მე თუ ვიფიქრე, რომ ჩემი მუსიკა ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ფორმულაა, მაშინ მე მუსიკის დინებას შევა არ ებ! თუ მართლა მუსიკოსი ხარ, უნდა გესმოდეს, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია, რასაც მომავალში სხვისი ძალისხმევა მოყვება. აი, ასე რჩება მუსიკა ცოცხალი!

წესების დარღვევის აუცილებლობაზე

ჯაზის პურისტებმა ეს ყოვლისმომცეველი მუსიკა ნელ-ნელა აკადემიურ სელოვნებად გადაქციოს. რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია იმაში, რომ ასეთი მდიდარი და მოქნილი მუსიკა გას-

აგებ ენაზე მიაწოდო მსმენელს, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, რომ მეუბნებიან, ჯაზში ისტორიულად დაკანონებული ლირებულებების მიღმა ახალი ლირებულებების დაძებნა და შემატება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, შენ სწავლობ წესებს, რომელიც ჯაზში ერთგვარი სასაუბრო ენაა, ისევე, როგორც ინგლისურია ენა, მაგრამ წესებს სწავლობ იმიტომ, რომ ერთ დღეს ეს წესები დაარღვიო. ამიტომაც, როდესაც ჯაზის დოგმატიკოსი და „ლოთისმოშიში“ პედაგოგები თუ მუსიკოსები მეუბნებიან, რომ ჯაზის ფარგლები, აი, ასეა მონიშნული, და რომ ამ ფარგლების მიღმა ჯაზი ჯაზი აღარაა, ჩემთვის ეს უბრალოდ სასაცილოა.

მსოფლიო მოქალაქეები და ახალი შესაძლებლობები მუსიკის კეთებისათვის, რადგანაც ჩვენ მუსიკოსების პირველი თაობა ვართ,



ვინც გლობალურ საზოგადოებაში გავიზარდეთ. დღეს ჩვენ მსოფლიოს მოქალაქეები ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისში მცხოვრებ ნების-მიერ მუსიკოსს შეუძლია, ელაპარაკოს მუსიკოსს კონექტიკუტში ან შანსაში და პირიქით. დღეს მუსიკოსებს ურთიერთობისათვის აუცილებელი ყოველდღიური სივრცე აქვთ. რამდენიმე წლის წინ ეს შეუძლებელი იქნებოდა. ჩემთვის ინტერნეტის არსებობა ნიშნავს იმას, რომ მთელი მსოფლიოს მუსიკა შენივე თითების ბალშებმა მოიქცეული. ამ გზით უამრავი შენთვის უცხო საუნდის ასმილირება და გამოყენებაა შესაძლებელი სრულიად ახალი საუნდის შესაქმნელად. ჩვენ აღარ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, როდესაც მუსიკა კლუბებში, ქუჩებში და უბრებში იქმნებოდა. მაშინ, სხვადასხვა მუსიკოსების მეშვეობით, ლამის ყველა ქალაქს თავისი განსაკუთრებული საუნდი ჰქონდა. ჩვენ დღემდე ვამბობთ, – „ფილადელფიური საუნდი,“ „ჩიკაგოს საუნდი,“ და ასე შემდეგ, მაგრამ დღეს ეს ასე აღარაა. დღეს ჩვენ მსოფლიოს მოქალაქეები ვართ, ამი-

ტომაც მიმაჩნია, რომ ჩემ თაობას უფრო მეტი შესაძლებლობები და არჩევანი აქვს და გული მწყდება, როდესაც ვხედავ, რომ ბევრი ახალგაზრდა მუსიკოსი ამ შესაძლებლობებს არ იყენებს.

იყვავი შენ შენ!

ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, სა-დაც ყველაფერი ესკეპიზმს ეფუძნება. მუსიკოსების უმრავლესობას არ უნდა, იყოს ის, ვინც სინამდვილეში არის. მათ სურთ, რომ გახდნენ დიადები და სახელგანთქმულები ისე, რომ ეს ყველაფერი თავაუღებელი შრომის გარეშე მოვიდეს მათთან. ასე ცდილობენ ისინი შენს მოტყუებას. ისინი უკრავენ იმას, რაც თვითონ არ არიან. ნიუ-ორლეანში რომ ვცხოვრობდი, ჩემი ასაკის მუსიკოსებთან ნაკლებ დროს ვატარებდი, ძირითადად, ხანში შესულ მუსიკოსებთან ვურთიერთობდი. მათ ყველაფერი იციან მუსიკოსის ცხოვრების შესახებ. ყველაფერი მათგან ვისნავლე. ჰოდა, ერთხელ დენი ბარკერმა, დიდმა მუსიკოსმა, მითხრა: „შენზე უკეთესად ვერავინ მოახერხებს

შენ ადვენ გახდომას!“ რა თქმა უნდა, ჩვენი მუსიკა ჯგუფური ძალისხმევით იქმნება, მაგრამ ამ მუსიკაში უმთავრესი მანც ისაა, რომ მუსიკისვე მეშვეობით გაერკვე იმაში, თუ ვინ ხარ შენ. ყველაზე უნიკალური და განსაკუთრებული, რაც შეიძლება, გამოცადო ცხოვრებაში, შენ თვითონვე ხარ. მახსოვს, ეს ფრაზა, სიტყვასიტყვით, დენის და მის მეუღლეს ვუთხარი. ჩარლი ფარქერმა შრომით მოიპოვა თავისი საუნდი. როდესაც მას უსმენ, ძალაუნებურად წამოიძახებ ხოლმე, – დალახვროს ეშმაქმა! იგივე ეხება, ვთქვათ, დონ ბაიასასაც, ვინც ისეთივე ცნობილი არ იყო, როგორც ფარქერი. ჯაზის ისტორიაში ასეთი ბევრია. ამ მუსიკოსებმა საკუთარი უდერადობა იპოვეს და ეს ახალი საუნდი ჰარმონიაში იყო იმ კონტექსტთან, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ. ძალიან ძნელია, აკეთო ისეთი მუსიკა, რომელიც ადამიანების გულებს ეხება, მიმართულებას აძლევს მათ ცხოვრებაში და რომელიც მათ უკეთეს კონტექსტს და ახალ შეს-



ჩვენ ისეთ დროში
ვხეოვრობთ,
სადაც ყველაფერი
ესკეპიზმს ეფუძნება.
მუსიკოსების
უმრავლესობას არ
უდინდებები არის

აძლებლობას სთავაზობს. ისინი არას-დროს მოგისმენენ, თუ არ სთავაზობ იმას, რაც შენ ხარ.

რობორ ათავისუფლებელ მუსიკოსები აღამიანებს

მე ნათქვამი მაქვს, რომ როდესაც საყვირზე უკრავ. ამ გზით ბევრ ადამიანს ვაძლევთ თავისუფლების შანსს. ახლავე აგისხინთ რაც ვიგულისხმე: მე იმ მესაყვირების თაობას მოვყები, ვინც ამ ინსტრუმენტზე მუსიკის შესრულების სტანდარტი განსაზღვრეს. უმაღლესი სტანდარტი! შეუძლებელია, საყვირზე უკრავდე და არ იცოდე, როგორ აკეთებდნენ ამას ლურ არმსთრონგი, ბადი ბოლდენი, ქინგ ოლივერი და სხვები. ამიტომაცა ჯაზის უკრავტები წამდაუწუმ რომ ჩაგრიჩინებენ, მათსავით უნდა უკრავდე და არა ისე, როგორც შენ ამას აკეთებო. ისინი ჯერ კიდევ მ ო ნ ი ნ ე ბ ი ს ველში არსებობენ და ფიქრობენ! ყველაფერი, რაც ახლა ვთქვი, ათმაგად მნიშვნელოვანია ნიუ-ორლეანელი მესაყვირებისათვის, რადგანაც წარსულის დიდი მესაყვირები სწორედ ნიუ-ორლეანიდან იყვნენ. ეს ძალიან უცნაური დამთხვევაა. იქ საყვირს განსაკუთრებული მონიტორით ეპყრობოდნენ და ეპყრობიან. ნიუ-ორლეანში ამ ინსტრუმენტს სამეფო რეპუტაციი აქვს. მეც ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე და შემჩნეული მაქვს, რომ ყოველი ახალი დიდი მესაყვირის გამოჩენასთან ერთად ქალაქის კულტურული ფონი იცვლებოდა.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მათ შემყურე ახალგაზრდებს იმის იმედი ეძლეოდათ, რომ თუ დაკვრას ისწავლიდნენ, იქაურობას გაეცლებოდნენ. ლურ არმსთრონგი? ჰო, მან ადგილობრივებს იქაურობა სხვანაირად დაანახა, სხვა პერსპექტივა გადაუშალა თვალწინ, სხვა იმედები ჩაუსახა, შესაბამისად, ნიუ-ორლეანის კულტურული ფონი ის აღარ იყო, რაც ადრე. მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა არმსთრონგი იქიდან და ეს ყველა დიდი ნიუ-ორლეანელი მესაყვირის შემთხვევაში ასეა. ისინი იქედან იწყებდნენ მესიჯის გავრცელებას, მერე კი ტოვებდნენ იქაურობას და იგვე მესიჯის გასაგრცელებლად

მსოფლიოს ედებოდნენ. როდესაც საყვირის ისტორიულ მემკვიდრეობაზე ვფიქრობ, პირველ რიგში, ვგულისხმობ ამერიკულ მემკვიდრეობას, რადგანაც ჯაზში საყვირი წმინდა ამერიკული მოვლენაა. სულ მახსენდება, რომ ისტორიულ კონტექსტში საყვირი ყოველთვის ან განგაშის მომასწავლებელი იყო, ან მოსალოდნელი ცვლილებების. მიაქციეთ ყურადღება, ბიბლიაში გაბრიელ მთავარანგელოზი მესაყვირეა. ამერიკაში ამ ინსტრუმენტს ძალიან ღრმა ფესვები აქვს. ლური არმსთრონგმა თავის დროზე უარი თქვა, გამზდარიყო აშ-ს კეთილ წების ელჩი მსოფლიოში იმიტომ, რომ ამერიკაში ცხრა არკანზა-სელ ბავშვები გაკვეთილებზე დასწრების საშუალება არ მისცა. ბევრი ვერ იტანს მის დაკრეჭილ ლიმილს და „ბიძას თომას“ იმიჯს, მაგრამ შავეანიანი კაცი, რომელიც ბედავს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მსოფლიო ელჩიბაზე უარს ეუბნება, უკვე თავისუფალი და ძლიერი ადამიანია. როდესაც მე საყვირის მემკვიდრით ადამიანების განთავისუფლებაზე ვსაუბრობ, სწორედ ასეთ რამებს ვგულისხმიობ. ამერიკელი მესაყვირები ადამიანებს ხმის ამაღლებისკენ უბიძგებდნენ. ამერიკაში დღესაც უამრავია ისეთი, ვისაც ბევრ პრობლემაზე ხმის ამოღების უფლება არ ეძლევათ. ხშირად ისე ხდება, რომ მე მათ არ ვეთანხმები, მაგრამ ეს არ წიშნავს იმას, რომ რადგანაც უმრავლესობაში ვარ, უფლება მაქვს მათ პირზე ხელი ავაფარო. როდესაც საყვირზე და მის ისტორიულ კონტექსტზე ვფიქრობ, ყოველთვის მახსენდება, რომ ნიუ-ორლეანში ყოველი ახალი მესაყვირის გამოჩენა იმის მომასწავლებელი იყო, რომ იქ ყველაფერი წესრიგში არ იყო. რა თქმა უნდა, დღეს ნიუ-ორლეანი აღარაა ის ქალაქი, საიდანაც დიდი მესაყვირები მოდიან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მაილზ დევისი ილინოისში დაიბადა და ბევრი დღესაც ჭორაობს მის ვითომდაც ცუდ ადამიანურ თვისებებზე, მაგრამ მის მუსიკას რომ უსმენ, იმას, თუ რას უკრავს ის და როგორ უკრავს, ხვდები, რომ მაილზი თავისი საუნდით ადამიანებს ათავისუფლებს და მას ეს კარგად აქვს გაცნობიერებული. ის მათ თავისუფლების იმ ხარისხს ჩუქ-

ნის, რაც მის მოსვლამდე არ ჰქონდათ. ეს ულამაზესი მექანიკურობაა!

მარიამ გარებაშვილი და მათი ხრისტი

იყვნენ და არიან მუსიკოსები, ვინც ახალგაზრდებს განზრას აყენებენ მცდარ გზაზე. ისინი მათ უუბნებიან, – ლირებული მხოლოდ აქაა, აი, ამ მუსიკში, ჯაზის აი ამ პერიოდში, ხოლო ამის მიღმა ყველაფერი ყალბია. ისინი ამას სპეციალურად აკეთებენ და მათ ძალიან კარგად იციან, თუ რატომაც იქცევიან ასე. მოდი, მაგალითისთვის უინთონ მარსალისი ავილოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყველა იცნობს. „უინთონს ყველა მესაყვირისთვის მოუსმენია: თომი თურქნთანი, ბუქერ ლითლი, ვუდი შოუ, როი ელდრიჯი, პარი სუითს ედისონი... ყველა! ახალგაზრდებს კი, იცით, რას უუბნება? მხოლოდ ლუი არმსტრონგს, დიზი გილესფის, მაილზ დევისს და ფრედი პაბარდს მოუსმინეთო. შენ უსმენ ყველა მესაყვირეს, სწავლობ მათ, მე კი მეუბნები, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვუს-

მინო? კარგი, ვთქვათ, მე სხვებზე ჭკვიანი აღმოგჩნდი, არ დაფუკერე მას და სხვა წყაროებსაც ჩავულრმავდი, მაგრამ რამდენია ისეთი, ვისთვისაც უინთონი ლამის ღმერთია? მას, ვინც გეუბნება, მხოლოდ ოთხ მუსიკოსს მოუსმინე, მათ მიღმა ჯაზი არ არსებობსო, მარტოს უნდა მწვერვალზე დარჩენა! იცით, რამდენი ფული კეთდება ჯაზის განათლების ინდუსტრიაში? მილიარდობით დოლარი! შედეგი? ლამის ინკუბატორებში გამოზრდილი ათასობით საშუალო დონის მუსიკოსი, რომლებიც ვერასდროს დაუკრავენ კარგ მუსიკას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თავის დროზე არ მიერთოთ ადეკვატური ინფორმაცია. რაა ეს, თუ არა ძალადობა?! შენ ათი-თორმეტი წლის ბავშვებს უუბნები, მას, ვისაც შესაძლებელია მუსიკაში ახალი სიტყვის თქმის პოტენცია ჰქონდეს, რომ მოუსმინოს მხოლოდ რამდენიმე მუსიკოს მაშინ, როდესაც შენ ყველა მათგანს უსმენ? რესურსს უკეტავ? ეს ხომ ყველაფერთან ერთად მუსიკის ისტორიის სიმულაცია?! და, რაც მთავარია, შენ გეს-

მის, რომ ამის შედეგად ის განწირული ხდება! ეს ბნელი ძალებია! ეთიკურად, მორალურად, ყველანაირად! არაფერია იმაზე ამაზრზენი, როდესაც მცოდნე არმცოდნეს ატყუებს!

რაზომ გაბრაზდა უინთონ მარსალიზი

ერთეულ უინთონმა მითხრა, შენი მუსიკა ჯაზი არაა, რადგანაც ის არ „სვინგაობსო.“ მე ვუპასუხე, შენი ნათქვამიდან გამომდინარე, ყველა ის მუსიკოსი, ვინც სვინგის ერამდე უკრავდა, ლუი არმსტრონგი, ქიდ ორი, სქოთ ჯოფლინი, ჯელი ლი მორთონი, ჯო ლივერი და დანარჩენები ჯაზმენები არ არიან-მეთქი. ვგულისხმობდი იმას, რომ სვინგი ოცან წლებში გაჩნდა კანზაში და შესაბამისად, მას უნდა ელი-არებინა, რომ თუ სვინგის გარეშე ჯაზი არ არსებობს, ესე იგი ეს მუსიკოსები ჯაზმენები არ იყვნენ. იმ დღეს პირველად ვნახე, თუ როგორ წითლდებიან სიბრაზისგან შავკანიანები.

>>> გაბრაზდა გვ. 100







JOSEPH BRODSKY

პოეტ კუკლინის იავერია ლა „მუქთახორა ბროდსკი“

(ფრიდა ვიზორგოვას ნათელ ხეოვნას)

რესულიდან თარგმნა მიშა მფინარაძე.

В деревне Бог живет не по углам,
как думают насмешники, а всюду.
Он освящает кровлю и посуду
и честно двери делит пополам.
В деревне Он - в избытке. В чугуне
Он варит по субботам чечевицу,
приплясывает сонно на огне,
подмигивает мне, как очевидцу.

Он изгороди ставит. Выдает
девицу за лесничего. И в шутку
устраивает вечный недолет
объездчику, стреляющему в утку.
Возможность же все это наблюдать,
к осеннему прислушиваясь свисту,
единственная, в общем, благодать,
доступная в деревне атеисту.



ეს ტექსტი მათთვის ვთარგმნე, ვისთვისაც საბჭოეთი დღემდე შიშნარევი, ოიდიპოსის კომპლექსთან შეზავებული სიყვარულის ერთადერთი და განუმეორებელი ხატია. და მათთვისაც, ვისაც „წითელი“ ზღვის მეორე სანაპიროზე სურს ცხოვრება, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ძალადობის სურვილი ახრჩობს.

ტკბილი საბჭოური ცხოვრება ახლა ელდარ რიაზანოვის დაუკინგარი (უბრალოდ, ტელევიზიუმი არ გვაძლევენ მისი დავინუების შანსს) კომედიით „ბედის ირონია“, რუსი ქალების კავკასიელი მამრების მიმართ თავდაკარგული სიყვარულითა და ზოგიერთს შესაძლოა, შოსტაკოვიჩის სიმფონიებითაც ახსოვდეს! სხვათა შორის, სწორედ ის იქნება ერთ-ერთი პირველი, ვინც

ბროდსკის პასუხისებიდან განთავისუფლების თხოვნას მოაწერს ხელს. არადა, ეს სრულიად გენიალური კომპოზიტორი სულ ძალით აქციეს საბჭოთა იდეოლოგიის მუსიკალურ სახედ.

მოსამართლე, იოსიფ ბროდსკის სასამართლოზე იტყვის: კომუნიზმს, 4 მაისის ბრძანებულების თანახმად, მილიონები აშენებენო. დიახ, რახან ბრძანეს, მილიონს კაციც კი არ უნდა დაკლებოდა, შოსტაკოვიჩმა ვერ გაუძლო წნებს, ის ჩააყენეს დიადი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში აი, მუქთახორა ბროდსკიმ კი უარი განაცხადა და მისმა სამშობლომ ის დასაჯა! „დასაჯა“ მსოფლიო აღიარებითა და ნობელის პრემიით. თუმცა ეჭვი მებარება ამ შესანიშნავ პოეტს პრემიების ხიბლი ჰქონიდა.



იოსიფ ბროდსკის სასამართლო პროცესი უმნიშვნელოვანესი მოგლენაა და მსოფლიო მნიშვნელობის სირცხვილად შეიძლება ჩავთვალოთ. ცივილიზებული სამყაროს სირცხვილად, რომელიც ამგვარ უმსგავსობას წლების განმავლობაში „ყლაპავდა“ და ახლაც ასე იქცევა იმის გამო, რომ ბრაზიანი „პარტნიორი“ კიდევ უფრო არ გააპრაზოს და ზამთარში კომფორტი არ მოაკლდეს – ამას ხომ ნატიფი დასავლური ფსიქიკავერგაუძლებს. ამაზე უფრო საშიში ისაა, რომ სამართალნარმოება დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში დიდად არ შეცვლილა. არა, ახლა პოეტებს მუქთახორობისთვის არ ვასამართლებთ, ეს მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ უსამართლოდ დასჯილი ადამიანების რიცხვი, ვფიქრობ, დო-

დად არ შემცირებულა. არც პოეტ კუკლინთა სიმცირეს ვუჩივით, ისინი სულ არიან და სისტემისა და მისი იდეოლოგის დითირამბებით შემკობით არიან დაკავებული. მათი უსახურობა იმდენად ამაზრზენია, რომ ხანდახან ხელოვნებაზე ვპრაზდები, რატომ აძლევს ის ამგვარ მაქციებს საკუთარ სივრცეში არსებობის უფლებას? მერე ვხვდები, რომ სწორედ ესაა თავისუფლების ხარისხი, სწორედ იქ ან მხოლოდ იქ შეიძლება დაიბადოს ბროდსკიც და კუკლინიც გვერდიგვერდ. მხოლოდ ერთი გახდება ამ სივრცის ნაწილი ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე, ხოლო მეორე მიწაა და მიწადვე იქცევა.

როცა 31 დეკემბერს „ბედის ირნიის“ საყურებლად კომფორტულად

მოკალათდებით, შეახსენეთ საკუთარ თავს „მშენებელთა ქუჩის“ სამნომერში მდებარე სახლის ფანჯრებს მიღმა რა ხდებოდა და როგორ ასამართლებდნენ პოეტს სწორედ იმის გამო, რომ მან ასეთ ქუჩებსა და სახლებში ცხოვრებაზე განაცხადა უარი. ჩვენო „მშობლები“, როცა ნოსტალგიის დიდი განცდით გაიხსენებთ რა იაფად დაფრინავდით იმპერიის პროვინციიდან მის გულში, ისიც გაიხსენეთ, რომ ამაზე უფრო იაფი „დალოცვილ“ ქვეყანაში ადამიანის დახვრეტა ღირდა.

როდესაც სისტემა გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგადაა, სწორედ მაშინ უნდა გვეშინოდეს და დავფიქრდეთ – პოეტ კუკლინის იმპერიაში სადმე ისევ ხომ არ ასამართლებენ მუქთახორა ბროდსკის?

ბროდსკი: მე ვწერი ლექსებს, ჩემი სამუშაო ესაა, მე დარმუხული ვარ.. მე მწამს, რომ ის,

რასაც მე ვწერ კათილ სამსახურს გაუწევს ხალხს და არა მხოლოდ დღეს, არამაც მოგავალი გამოავალშიც, შემდეგ თაობებს.

ხეა კუპლიკილა: ჰმმმ, ერთი ამას დამიხელეთ! დარმუხული ყოფილა!

იოსიფ ბროდსკის პირველი სასამართლო

ქალაქ ლენინგრადის დერუინსკის რაიონული სასამართლოს სხდომა, აჯანყების ქუჩა 36, მოსამართლე საველიევა, 1964 წლის 18 თებერვალი

მოსამართლე: რით ხართ დაკავებული?

ბროდსკი: ვწერ ლექსებს, ვთარგმნი, მე ვფიქრობ.....

მოსამართლე: არავითარი „მე ვფიქრობ“, დადექით წესიერად, ნუ ეყუდებით კედლებს და უყურეთ სასამართლო! პასუხიც სასამართლოს გაეცით! გაქვთ მუდმივი სამუშაო ადგილი?

ბროდსკი: მე ვფიქრობდი, რომ ეს მუდმივი სამუშაო.

მოსამართლე: მიპასუხობის ზუსტად!

ბროდსკი: მე ვწერდი ლექსებს და მეგონა, რომ მათ დაბეჭდავდნენ, მე ვვარაუდობ..

მოსამართლე: ჩვენ არ გვაინტერესებს „მე ვვარაუდობ“, მიპასუხეთ რატომ არ მუშაობდით?

ბროდსკი: მე ვმუშაობდი, ვწერდი ლექსებს.

მოსამართლე: ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, ჩვენ გვაინტერესებს, რომელ დანესებულებასთან თანამშრომლობდით და საერთოდ, რა სპეციალობის ხართ?

ბროდსკი: პოეტი, პოეტი-მთარგმნელი.

მოსამართლე: და ვინ აღიარა თქვენი თავი პოეტებს?

ბროდსკი: არავინ (მიმართვის გარეშე) ... და ვინ მიაწერა ჩემი თავი კაცთა მოდგმას?

მოსამართლე: თქვენ, საერთოდ, სწავლობდით ამას?

ბროდსკი: რას?

მოსამართლე: პოეტობას. არ გიცდიათ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, სადაც ამზადებენ... სადაც ასწავლიან...

ბროდსკი: მე არ მიფიქრია, არ მიფიქრია, რომ ეს სწავლით გეძლევა.

მოსამართლე: აბა, რით?

ბროდსკი: მე ვფიქრობ, ეს... (დაბნეულად) ღვთისგანაა...

მოსამართლე: გაქვთ რაიმე თხოვნა სასამართლოსთან?

ბროდსკი: მინდა ვიცოდე, რისთვის დამაკავეს.

>>> გამოქვეყნა გვ. 102

ლალაი ლაბა

მომლენი ინკარნაცია

ავტორი: ევან რსენისი

ინგლისურიდან თარგმანი ირმა ტაველიძემ

© სტატია პირველად გამოქვეყნდა უურნალ „ნიუ-იორკერში“ 4 ოქტომბერს, 2010

დალაი ლამას დაბადების დღის აღსანიშნავად – რასაც ის დიდ მნიშვნელობას არასდროს ანიჭებდა – სტუმრების მიღება 6 ივლისს, დღის 9 საათზე უნდა დაწყებულიყო ინდოეთის ჰიმალაიში მდებარე ქალაქ დჰარამსალაში, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს. დაბადების დღის წვეულებას, უმეტესწილად, თავად არ ესწრება ხოლმე, მაგრამ ახლა პირობა ჰქონდა დადებული, რომ 75-ეს აუცილებლად დასწრებოდა. იმ დღითის, თავსხმა წვიმაში, ტაძარს 5 000 ადამიანი მოადგა, რათა მის გამოჩენას დალოდებოდა.

ტიბეტის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი, რომელიც დევნილობაში იმყოფება – ბუდისტებისთვის მისი უწმინდესობა, ხოლო twitter-ის მომხმარებელი მიმდევრებისთვის – HHDL, დჰარამსალაში ნახევარი საუკუნის წინ დასახლდა, მას შემდეგ, რაც სამშობლოზე ჩინეთის პრეტენზია არ გაიზიარა და თავი ინდოეთის მთებს შეაფარა. მას ათასობით ლტოლვილი მოჰყვა, რომელთა უმრავლესობასაც იმედი ჰქონდა, რომ აქ დარჩენა მცირე ხნით მოუწევდა; როდესაც საცხოვრებლის ირგვლივ ხეების დარგვა ურჩიეს, მათთვის ეს იდეა მიუღებელი აღმოჩნდა. „ხალხი ამბობდა: „რამდენიმე წელინაში უკან დავბრუნდებით, ხეების გაზრდას კი 50 წელი დასჭირდება. აბა, რა აზრი აქვს ამას?“ – ისტერებს მწერალი და დევნილობაში მყოფი მთავრობის სპიკერი ტჰჰუბტენ სამპჰელი.

დღეს დჰარამსალა დედაქალაქია მთელს მსოფლიოში გაფანტული 150 ათასზე მეტი ტიბეტელი ლტოლვილისათვის. მაღლა, მთებში, მარადიული თოვლით დაფარული მყინვარების ჩრდილში გაშენებული ქალაქი ლტოლვილთა ბანაკისა და ჰიპების თავშესაფრის ნაზავს წარმოადგენს, სადაც წვრილად თმადაწნული ისრაელელი ტურისტები გზას ახლად თავგადაპარსულ ბერებს შორის მიიკვლევნ. იმ 5 მილიონზე მეტი ტიბეტელისთვის, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, დაღაი ლამა პატივსაცემ პიროვნებად ჩჩება და მათ ყოველდღიურ საუბრებში წარმოუდგენლად დიდ აღგილს იკავებს. ტიბეტში ოჯახები ყოველდღიურად უკავშირდებიან მის აფისს, რათა სულიერ ლიდერს ახალშობილებისთვის სახელის დარქმევა სთხოვონ.

როგორც კი 9-ს რამდენიმე წუთი გადასცდა, დოლებითა და გუდასტვირებით ალფურვილმა მუსიკოსებმა ტაძრის ეზოში შემოაბიჯეს. ისინი ტიბეტის ეროვნულ ჰიმნს ასრულებდნენ, რომელიც თავად ტიბეტის ტერიტორიაზე აკრძალული გახლავთ. მათი შემოსვლის შემდეგ შინდისფერ-ნარინჯისფერში გამოწყობილი ბერებიც გამოჩნდნენ, მათ შუალებში კი დალაი ლამა მოჩანდა, ვინც საკუთარი ოფისიდან ნელი ნაპიჯით, სხევების მხარდამხარ მოდიოდა – „ცენტრალური მცველივით წინგადახრილი“, როგორც მისმა მეგობარმა, „ტაიმსის“ რედაქტორმა, ან გარდაცვლილმა ები როზენტალმა

აღნიშნა ერთ დროს, სცენაზე ასული დალაი ლამა შემობრუნდა და შეკრებილ საზოგადოებას გაოცებისგან ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩირდა – ასეთი გამომეტყველებით უამრავ რამეს აკვირდება ხოლმე. ის იმ ბანერის ქვემოთ დაჯდა, რომელზეც მისადმი მიძღვნილი სიტყვები ეწერა: „ცად ასულო მზეო, ჩვენი გულების ნათელო, დიდხანს იცოცხელოთ!“

საზეიმო ლონისძიებებს, რომლებიც ამ ყველაფერს მოჰყვა, დასავლურ წვეულებებთან უფრო მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე რელიგიურ რიტუალებთან. დაღაი ლამამ სასკოლო ცეკვის ჯგუფების მიერ მომზადებული რამდენიმე წარმოდგენა ნახა, „Lions Club“-ის ადგილობრივი წევრების მისალმების შემდეგ კი საზოგადოების წინაშე დამსახურებისთვის ჯილდოებიც ჩამოარიგა. მერე ისეთი უცნაური რამ მოხდა, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: მომლიმარე ინდოელი კაცი სცენასთან მივიდა და თავისი საჩუქარი გახსნა – იუბილარის დიდი პორტრეტი, რომელიც საკუთარი სისხლით დაეხატა. მოგვიანებით დალაი ლამამ საჩუქარი იმ 8 წლის ინდოელი გოგონასგანაც მიიღო, რომელსაც ახლა წინასწარმეტყველად თვლიან. ერთხელ მან წინასწარმეტყველა, დაღაი ლამა ავად გახდება, მას კი მართლაც ნალვლის ბუშტის ინფექციური დაავადება დაუდგინეს (სხვათა შორის, გოგონამ ცოტა ხინს წინ იწინასწარმეტყველა, ტიბეტი დამოუკიდებლობას 2016 წელს მოიპოვებს).





ბოლო ათწლეულში დალაი ლამაშ ექიმებს შეკუმშული ნერვისა და დიზენტერიის გამოც მიმართა. ეს ფაქტი ყურადღებით ჩაინიშნეს არა მხოლოდ დჰარამსალაში, არამედ პეკინსა და ვაშინგტონშიც, სადაც თვლიან, რომ მისი მომავალი რთულად წარმოსადგენ პოლიტიკურ პროგნოზებს უკავშირდება. როდესაც მას ვკითხე, რას გრძნობთ, როდესაც თქვენი სნეულებები თუ ტკივილები გეოპოლიტიკური ანგარიშების თემა ხდება-მეთქი, გამიღიმა და მიპასუხა: „ასე, ათი წლის წინ ზოგიერთმა ჩინელმა ჭორი გაავრცელა, დალაი ლამას კიბო აქეს, მხოლოდ თვეების სიკოცხლელა დარჩენიაო“. მან ისიც მითხრა, რომ გამოკვლევებს რეგულარულად იტარებს. „თუ ექიმებს დავუჯერებთ, ჩემი თრგანიზმი შესანიშნავ მდგომარეობაშია. თუმცა, როგორც ჩანს, ჩინელებმა უფრო მეტი იციან ჩემს შესახებ!“ – სიცილი წასედა მას.

დალაი ლამას სიკვდილი, რასაც თვითონ „სამოსის გამოცხლას“ უწოდებს, ტანუდადებული თემა სულაც არ გახსავთ. ის ბუდისტია და ამბობს: „სიკვდილს ყოველდღიურად ცხადად წარმოვიდგენ;“

ამავე დროს პოლიტიკური ფსონები იმდენად დიდია, რომ მათი იგზორირება შეუძლებელია. მისი რწმენით, დალაი ლამას რეინკარნაციად ტიბეტელი ბიჭუნას გამოცხადების ტრადიციულ პრაქტიკას შესაძლოა, აზრი აღარც ჰქონდეს – არა იმიტომ, რომ ის სამშობლობან დევნილია, არამედ იმის გამო, რომ დრო შეიცვალა. იგი ხმამალლა აცხადებს საკუთარ ფიქრებს: შეიძლება, მისი მომდევნო რეინკარნაცია ქალი იყოს, ან ტიბეტელებმა ხმის მიცემით გადაწყვიტონ, დალაი ლამას ინსტიტუტმა არსებობა უნდა გააგრძელოს თუ არა. მისი თქმით, თავადაც შეუძლია რეინკარნაციის აჩქევა, სანამ ცოცხალია (ამ რელიგიურ პრაქტიკას მაბტე ტულკუ ეწოდება). ეს მას საშუალებას მისცემს, შემცვლელს საჭირო ცოდნა გადასცეს და ხალხს თავიდან ააცილოს მმართველობის გარეშე დარჩენა, რაც ტიბეტელებისთვის ყოველთვის არასტაბილურობის მომტანი იყო. ერთი რამ კი ცხადია: მის შემცვლელს ტბეტის ფარგლებს გარეთ იპოვიან.

ჩინეთი ამას არ ეთანხმება. მთავრობამ არაერთი კანონი მიიღო, რომლის თანახმადაც, „პუდას რეინკარნაციასთან დაკა-

ვშირებული საკითხების გადაწყვეტა“ ჩინეთის უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც შესანიშნავი ინტელექტუალური მანევრია ოფიციალურად ათესტურად ალარებული, კომუნისტური პარტიის მხრიდან. 1989 წელს, როდესაც ტიბეტის ლამათაგა მეორე ყველაზე სახელმოვანი ლამა, პანჩენ ლამა გარდაიცვალა, დალაი ლამამ მის რეინკარნაციად 6 წლის ტიბეტელი ბიჭი, გეპდუნ ჩინეთი გამოაცხადა. უცხოეთში მცხოვრები სულიერი ლიდერის ასეთმა ჩარევამ ჩინეთის ხელისუფლება გააღიზანა. ჩინელებმა ბიჭი და მისი ოჯახი განმარტოებით დაასახლეს. მას შემდეგ ისნი აღარავის უნახავს. როგორც მთავრობა აცხადებს, პანჩენ ლამას არ სურს, ვინმერ შეანუქოს. დჰარმასალაში მისი სახე ფლავერებზეა გამოსახული, წარნერით: „ყველაზე ახალგაზრდა პოლიტიკომარი მსოფლიოში“.

საბოლოოდ, ჩინეთის მთავრობამ საკუთარი რჩეული დაასახელა: პანჩენ ლამას რეინკარნაციად სცნეს ბაგშვი, სახელად გიალცენ ნორბუ, რომელიც დღეს რამდენიმე რფიციალურ თანამდებობას ითავსებს. თუ რამე არ შეიცვალა, თითქმის დაწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ დალაი ლამას გარდაცვალების შემდეგ გამოუვალი სიტუაცია შეიქმნება, რაც, სავარაუდოდ, არეულობას გამოიწვევს ტიბეტში და ჩინეთის მთავრობის ქმედებზეც აისახება. ეს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ისეთი საკითხია, რომელიც რეინკარნაციის თემას მჭიდროდ უკავშირდება. როგორც იბამას ადმინისტრაციის მაღალ-ჩინოსანმა მითხრა, თეთრი სახლი „ავინორის პაპობის მსგავს რამეს ელის“. ის იმ შულლს გულისხმობდა, რომელმაც თავდაყირა დააყენა მთელი ევროპა მე-14 საუკუნეში, როდესაც მაღალი სასულიერო წოდების მქონე კათოლიკები ერთმანეთს ექიმპებოდნენ.

მე-14 დალაი ლამას – ძეცუნ ძამპჰელ ნგავანგ ლოსანგ იესპე ტენზინ ძალის, ვისაც მრავალი ტიბეტელი „მის აღმატებულებად“ იცნობს, ისეთი მდიდარი ბიოგრაფია აქეს, რომელიც უამრავი მითის დასაბამი შეიძლებოდა გამხდარიყო, რომ მისი კინოფილმად გადაღება ჰილივუდში რამდენჯერმე სცადეს. ერთი ფილმი მარტინ სკორსეზემ გადაიღო, სხვაში კი ბრედ პიტი მონანილეობდა. მართალია,

**ის ზუდისტია და ამბობს: „სიკვდილს
ყოველდღიურად ცხადად წარმოვიდგენ“;**

ამავე დროს პოლიტიკური ფსონები

იმუშავად დიდია, რომ მათი იგნორირება შეუძლებელია. მისი
რწმენით, დალაი ლამას რეინერანაციად ტიბეთის ბიჭუნას

გამოცხადების ტრადიციულ პრაქტიკას შესაძლოა,


აზრი აღარც ჰქონდეს – არა იმიტომ, რომ ის სამოგლობოდან

დავილია, არამედ იმის გამო, რომ დრო შეიცვალა.



პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარის თქმის სურვილს არ მალავს („გადადგომა ჩემი, როგორც ადამიანის, უფლება“), მაგრამ მაინც ისე გამოდის, რომ დალაი ლამამ უფრო დიდხანს იმსახურა, ვიდრე დედოფალმა ელიზაბეტმა, ფიდელ კასტრომ და სხვა მრავლისმნახველმა ლიდერებმა. ის ხომ ტახტზე 5 წლისა ავიდა, თუმცა, იმსანად, უმეტესწილად, არც არაფრის მართვა უწევდა.

დალაი ლამა, ოფიციალურად, უმაღლესი რელიგიური ლიდერია ტიბეტურ ბუდიზმში, თუმცა თაყვანისმცემლების უდიდესი ნაწილი მას სხვა საქმიანობით იცნობს. სულ ცოტა, 100 წიგნს მაინც აწერია მისი სახელი, რომელთა თემატიკა ეთიკიდან მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთგავლენამდე მერყეობს; ახლა-ხან გამოსული წიგნის სათაური კი ასე-თია: „ბიზნესი, ბუდიზმი და ბედნიერება ინტერნეტის ხანაში“ (ამ წიგნებიდან ზოგი თავად დაწერა, ბევრი კი მისი საჯარო გამოსვლების კრებულს წარმოადგენს). ის ყველაზე ნაკლებად ჰგავს გლობალურაციის ხანის ავატარს: რეინჯარნირებული ლამა, რომელიც მხოლოდ 40 წელს მიტანებულმა დადგა ფეხი დასავლეთის მიწაზე და რომელსაც დღემდე არ აქვს





პასპორტი (ლტოლვილის ყვითელი საბუ-
თით მოგზაურობს). მოუხედავად თავდა-
პირველი უცნაურობისა, ის ბრძენებაცად
და გამძლეობის, დაუმორჩილებლობის
სიმბოლოდ იქცა. 2004 წელს, როდე-
საც ვანკუვერში სიტყვით გამოდიოდა,
სტადიონზე შესასვლელი ბილეთები 20
ნუთში გაიყიდა. მისი ბიოგრაფის, პიკი
აირის თქმით, ეს სანახაობა იმას თუ
შეედრებოდა, „პრეზიდენტი მიკ ჯაგერის
თანხლებით რომ მოსულიყო“.

დალაი ლამა მუდამ აფრთხილებდა
ტიბეტელებს, რომ მათ, ჩინელ უიგუ-
რებთან და ჩინდილოეთის მკვიდრ სამის
სალხთან ერთად, ყველაზე უფლება-
აყრილ და დამცირებულ ხალხად აქცე-
ვდნენ. კოლუმბის უნივერსიტეტის
პროფესიონი და ყოფილი ბუდისტი ბერი,
რობერტ ტურმანი კი ამბობს: ტიბეტე-
ლები იქცნენ „ახლადშობილ სელაპებად,
რომლებიც ადამიანის უფლებების და-
მცველებმა უნდა გადაარჩინონ“.

ამ ყველაფერმა დალაი ლამას ურ-
თიერთობა გაუფუჭა ჩინეთთან – იმ
ქვეყანასთან, რომელიც ყველაზე მე-
ტად სჭირდება. ქვეყნის მთავრობა მას
„ბოროტმოქმედად“ და „ცრუ რელი-“

როცა დალაი ლამას დევნილობის 50 წლი მიუსრულდა, ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა.

ეს დღი ფილი ჩაღო ტიბეტში შხოვრების დღის
ასაგალლაგლად და ზოგადად, ეკონომიკურ მონეტრად
მოგვევლინა. ბოლო თვეებში ჩინეთის ხალისუფლებამ,

რეპრესიების მორიგი ტალღის დროს,

ტიბეტის ხელოვანები და იჩელეპჩუალები დააკატიმა.

აქტივისტების თქმით, წლების მანძილზე ასეთი რამ
არაერთხელ მომსდარა. დალაი ლამა და მისი დამცველები კი
იმისთვის იბრძვიან, რომ მსოფლიოს საკუთარი ხდა გააგორონ.

გიურ ლიდერად“ მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ის „სამშობლოს შეაზე გახლეჩას“ ისახავს მიზნად. ტიპეტის კომუნისტური პარტიის მეთაურმა ჩინეთის პრძოლას დალაი ლამას წინააღმდეგ „სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა“ უწოდა. მისი მეგობრის, რომის პაპის იოანე-პავლე მეორის მსგავსად, რომელიც ერთ დროს საბჭოთა იმპერიისთვის წინააღმდეგობის განვეოს სიმბოლო იყო, დალაი ლამა ჩინეთის რეჟიმთან დაპირისპირების სიმბოლოა.

კონფლიქტი განსაკუთრებით ბოლო წლებში გამწვავდა. 2008 წლის 10 მარტს ლჲასაში რამდენმე ასეულმა ბერმა მსვლელობა მოაწყო. ისინი იმ ტიპეტელების გათავისუფლებას მოითხოვდნენ, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დაპატიმრეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კონგრესის ოქროს მედლით დალაი ლამას დაკავშირებას ზემობდნენ. ათეულობით ბერი ციხის საკენტში აღმოჩნდა. 14 მარტს დემონსტრაციამ, რომლის მიზანიც მათი დაპატიმრების გაპროტესტება იყო, ძალადობრივი ფორმა მიიღო: ტიპეტელთა ბანდები თავს ესხმოდნენ ჩინურ პოლიციასა და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქვებს ესროდნენ ჩინელ მოქალაქეებს, წვავდნენ და ძარცვავდნენ იმ მაღაზიებს, რომელთა მფლობელებიც ჩინელები იყვნენ. ამ არულობას ისეთი დიდი სახალხო მდელვარება მოჰყავა, რომლის მსგავსიც ტიპეტში 80-იანი წლების შემდეგ არ ყოფილა. მთავრობის ცნობით, 11 ჩინელი და ერთი ტიპეტელი დაიწვა ამბოხებულების მიერ ცეცხლ-მოქიდებულ შენობებში, ერთი პოლიციელი და 6 მოქალაქე კი ცემის დროს მიღებული დაზიანებების გამო დაიღუპა. ბოლოს ქალაქის გასაკონტროლებლად ჯავშანმანქანებით ჯარი შემოვიდა, ხოლო ხელისუფლებამ ეჭვმიტანილების დაჭრა დაიწყო: ასობით ადამიანი დააპატიმრეს. დევნილი ტიპეტელები აცხადებდნენ, რომ 80 ტიპეტელი მოკლეს ლჲასასა და სხვა ადგილებში სადამსჯელო ღონისძიებების დროს, თუმცა ჩინეთი ამ ფაქტს დღემდე უარყოფს. ჩინეთის მთავრობამ ამ არულობის მოწყობაში ე.წ. „დალაის ჯავუფა“ დაადანაშაულა, მიუხედავად იმისა, რომ დალაი ლამამ ტიპეტელებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და ფიცი

დადო, პოლიტიკური მოვალეობების შესრულებაზე უარს ვიტყვი, თუ ძალადობა არ დასრულდება.

რთული მდგომარეობა, რომელშიც დალაი ლამა იმყოფება, განსაკუთრებით თვალშისაცემია, რადგან მასზე ძალაუფლების მსოფლიო ბალანსის მნიშვნელოვანი ცვლილებები ისახება. 1989-ში, საზღვარგარეთ ცხოვრების მე-13 ნელს, მან მშვიდობის დარღვი ნობელის პრემია მიიღო, მანამდე კი ის ადამიანის უფლებების დაცვის თემაზე გამართულ დახურულ შეკრებაზე გამოსასვლელად მიიჩნიეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, შემდეგ – ევროპარლამენტში.

როცა დალაი ლამას დევნილობის 50 წელი შეუსრულდა, ჩინეთი მსოფლიო საყაჩრი ირგანიზაციის წევრი გახდა. მან დიდი ფული ჩადო ტიპეტში ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ზოგადად, ეკონომიკურ მონსტრად მოგვევლინა. ბოლო თვეებში ჩინეთის ხელისუფლებამ, რეპრესიების მორიგი ტალღის დროს, ტიპეტელი ხელოვანები და ინტელექტუალები დაპატიმრა. აქტივისტების თემით, წლების მანძილზე ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა.

დალაი ლამა და მისი დამცველები კი იმისთვის იპრეციან, რომ მსოფლიოს საკუთარი ხმა გააგონონ. „ახლა ეს თითქმის შეუძლებელია“, – ცოტა ხნის წინ მითხვა მსახიობმა რიჩარდ გირმა, ვინც ტიპეტის მხარდამჭერ საერთაშორისო კამპანიას ხელმძღვანელობს.

რიჩარდ გირმა დალაი ლამა 30 წლის წლის წინ გაიცნონ და მას შემდეგ ყველა ღონე იხმარა, რომ ტიპეტი ჰოლივუდის ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო. ადრე ტიპეტური მოძრაობა ყოველმწირივ ცდილობდა, ზეგავლენა მოქადინა საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რათა მათ ჩინეთისთვის უარი ეთქვათ. დღეს გირი უფრო მოკრძალებულ მიზნებს ისახავს: „ყველა ქვეყნის მთავრობასთან ვთანამშრომლობთ. მათ ვეუბნებით: „თქვენ უნდა ისაუბროთ ტიპეტზე – ყოველი მოლაპარაკებისას. ეს მინიმუმია“. ისინი გვარწმუნებენ, რომ სწორედ ამას აკეთებენ“. შემდეგ გირმა დაამატა: „თუ გადავამოწმებთ, გვპასუხობენ: „დიახ, სიტყვა „ტიპეტს“ ვხმარობდით“. რამდენად შორს წავიდნენ ამ მიმართულებით? ეს სახელმწიფო საიდუმლოა“.

>>> ბაბრძელება გ3. 107



ଓମରାବନ୍ଦୀରାଜା



ଟକିଲ୍ଲିସିଲ୍ ଅମ୍ବତିକୀତ

ଓର୍ବଳ: ଶେଖାଶତିଙ୍କ ପାଞ୍ଚ





ଓପରମାନମେହି









კიბეთის ეანიფასტი

ავტორი: გიორგი გვანარია



3 დეკემბერს უან-ლუკ გოდარი 80 წლის გახდება

გოგი გვახარიას ლექციაზე მი-
ვხვდი, რომ მაგრად ურევს ჩემი სა-
ათი. არადა, „სვორია“. შარშან, 20
წლის რომ გავხდი, ჩემმა ყოფილმა
შეყვარებულმა, მამუკამ მაჩუქა. მას
მერე ერთი წლის კი არ გასულა, მა-
გრამ ელემენტმა უკვე მიმტყუნა.

არა, არ იფიქროთ, რომ მომენტი-
ნა ლექციაზე. ეგ გრძნობა მე სა-
ერთოდ არ მახასიათებს. ლექტორი
ძაან რომ გაახურებს ხოლმე, ვათვა-
ლიერებ ჯგუფელებს, მომავალ კი-
ნორეუსისორებს; ვაკვირდები, როგო-
რი კალმისტარი უჭირავთ, როგორი
მობილურები აქვთ. თეატრალურის
ახალშელესილ კედლებს ვათვალიე-
რებ და დროც მაღლე გადის.

უფრო პირიქით; წელს, მგო-
ნი, პირველად, მომენტის გვა-
ხარიას ლექცია. იმდენად მო-
მენონა, რომ საათს დავხედე,
ნეტავ არ დაამთავროს-მეთქი,
მაგრამ ჩემი „სვორი“, მამუკას
უკანასკნელი საჩუქარი, გაჩე-
რებული აღმოჩნდა.

ლექცია იმიტომ კი არ მო-
მენონა, რომ რამე განსაკუ-
თრებით ჭკვიანური თქვა;
ბოლო დროს აშკარად ურევს,
ერთსა და იმავეს ლაპარაკობს
და ჩვენს გაკვირვებულ სახე-
ებს რომ ხედავს, შეშფოთე-
ბული ღიმილით დააყოლებს
ხოლმე, „უი, ამაზე ვილაპა-
რაკეთ, ჰო?“.. არა, უბრალოდ,
ამ ლექციაზე მოყვა ამბავს,
რომელიც რატომდაც კარ-
გად დავინახე; ეს ამბავი ხომ
ობერჰაუზენში მოხდა!

მოკლედ... 1962 წელს,
ობერჰაუზენის მოკლემეტრა-
ჟიანი ფილმების ფესტივალ-
ზე 20-25 წლის კინორეჟისო-
რებმა დასავლეთგერმანელ
კინორიტიკოსებთან, ოპერა-
ტორებთან, სცენარისტებთან
ერთად ფესტივალის პრეს-
ცენტრში ორი მიკროფონი
დადგეს, ურნალისტებს დაუ-
ახეს და გამოაცხადეს, რომ

სურთ გაასამართლონ მამები... ამ
აქციის ორგანიზატორმა, ალექსანდრ
კლიუგემ, რომელიც სხვებზე ცოტა-
თი უფროსი იყო, თავის სიტყვაში არა
მარტო მამებს, არამედ ყველას, ვინც
ძალაუფლებას ფლობდა, ადენაუერის
გერმანიაში „შაისე“ უწოდა. მისი თქ-
მით, დასავლეთ გერმანიის ეკონომი-
კურმა აღმავლობამ ხელი შეუშალა
„კათარზისის“ პროცესის გაგრძელე-
ბას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ...
გერმანელებს შეექმნათ ილუზია, რომ
ყველაფერი მშვიდობიანად დასრულ-
და – ნაციამ აღიარა დანამაული, ბო-
ლიში მოუხადა ებრაელებს, აკრძალა
ნაცისტური სიმბოლიკა და გააგრძე-
ლა ქვეყნის აღმშენებლობა.. სინამდ-
ვილები, ფაშიზმი ისევ ბობიქრობდა
გერმანელი მამების გულებში!

დაინტერა დეკლარაცია, რომელიც
ითვალისწინებდა კომერციული კი-
ნოს ალტერნატივის შექმნას, ოფი-
ციალური იდეოლოგიის – რევან-
შიზმის, მილიტარიზმის წინააღმდეგ
ბრძოლას, 20-იანი წლების გერმანუ-
ლი ხელოვნების „რეაბილიტაციას“...
იმათ, ვინც დეკლარაციაზე ხელი მო-
აწერეს, სახალხოდ დადეს ფიცი, რომ
არ ითანამშრომლებდნენ საეჭვოდ
გამდიდრებულ პროდიუსერებთან, არ
მოერიდებოდნენ სამოყვარულო კამე-
რით კინოს გადაღებას – „რადიკალუ-
რი კინოს“

გადაღებას – იმ კინოსი, რომელიც
გაასამართლებდა მამებს და მთელ
გერმანულ საზოგადოებას!

გვახარიამ დეკლარაციას „ინფან-
ტილური“ უწოდა. არ მიყვარს კინო,
რომელიც ასამართლებს და მით უმე-

ტეს, კლავსო. დეკლარაცია კი
დაინტერა, მაგრამ ამ თაობას
წლები დაჭირდა, სანამ ყურა-
დღებას მიაქცევდნენ და რაც
მთავარია, ყურადღება მაშინ
მიაქციეს, როცა კომერციულ
კინოზე გადავიდნენ, ანუ თა-
ვიანთ პრინციპებს უალატე-
სო. მაგრამ მე აღარ მაინტე-
რესებდა მისი კომენტარები;
ამ არანორმალურად თბილი
ნოებრის დღებში მხოლოდ
და მხოლოდ ობერჰაუზენის
დეკლარაციაზე ვფიქრობდი
– „ხომ შეიძლება, საქართვე-
ლოშიც გაკეთდეს იგივე?“ ხომ
შეიძლება, ჩვენც გადავიღოთ
კინო, რომელიც მოკლავს?“

მამუკას ნაჩუქარი საათი სულ
გადამავიწყდა... არადა, ლექ-
ციაზე ვიფიქრე, ინსტიტუტის
მერე მესაათესთან შევივლი და
ელემენტს გამოვაცვლევინებ-
მეთქი. ბიბლიოთეკაში ჩავე-
დი. რაღაცები გადავიკითხე
„ობერჰაუზენის მანიფესტზე“
(გვახარიას, როგორც სჩვევია,
გადაუჭარბებია), გერმანულ
კინოზე, კლიუგეზე, ფონ ტრო-
ტაზე, ფასბინდერზე. ბიბლიო-
თეკიდან რომ გამოვედი, დე-
რეფანში ნუგზარი შემხვდა –
ხუჭუჭა ბიჭი, ტელერეჟისურის



**ალექსანდრ კლიუგე თავის
სიცხვაში არა მარტო მახვა,
არამარტივალას, ვიცს ძალაუფლებას
ფლობდა, ალენაურის გერმანიაში
„შაისე“ უცოდა. დასავლეთ გერმანიის
ეკონომიკურია აღმავლობა ხალი
შეუგალა „კათარზისის“ პროცესის
გაგრძელებას მეორე მსოფლიო ომის
შემდეგ..**

სახელოსნოდან. მგონი, ადრე ჩემს მეგობარს ეპრანქებოდა. ამიტომ სხვა დროს აუცილებლად დამტებარებოდა მასთან საუბარი. მაგრამ იმ დღეს, როცა ობერჰაუზენის მანიფესტზე ფიქრში საათი გამიჩერდა, ეშმაკსაც კი შევეკვრებოდი, ოლონდ თანამოაზრე მეპოვა.

არ გინდათ, ყავა დავლიოთ-მეთქი? სიამოვნებითო. იმანაც კი არ გამალიზიანა, რომ აიპოდი ჰქონდა ყურში გარქობილი და „მუსიკის ფონზე“ გააგრძელა ჩემთან საუბარი. ასე, ცეკვა-ცეკვით და თავის ქნევით გამოიყავა სასადილოში, სადაც უჩვეულოდ ბევრი ხალხი დაგხხვდა – მსახიობები, კინოკრიტიკოსები და რაც მთაგარია, მესამე და მეოთხე კურსის რეზისორები. ერთი ჩემი ჯგუფებიც იჯდა, გიზო. მაგრამ „სასადილოს სცენა“ ისე დასრულდა, რომ ხმა არ ამოუღია.

სცენა კი ასეთი იყო:

ობერჰაუზენის მანიფესტზე მოვცულე ნუგზარს. დიდად არ აღფრთოვანებულა. მაგრამ როცა ვუთხარი, კიკეთში სახლი მაქვს, არ გინდა, მომავალი რეზისორები შევკრიბოთ, ამ კვირას ავიდეთ და ჩვენც შევქმნათ რაღაც მსგავსი-მეთქი, ეგრევე აენთო.. ისე აენთო, რომ ბიჭებს დაუძახა მეზობელი მაგიდიდან – მეოთხეკურსელებს. თვითონ უამბო მანიფესტის შესახებ (ცოტა აურია რაღაცები, მაგრამ მე არაფერი გამისწორებია)... სცენა გაჭიანურდა და როგორც ჩვენს ინსტიტუტში ხდება ხოლმე, ბოდვაში გადაიზარდა. ხინკალიო, ნაშებიო, ლამე დავრჩეთო. ჩემს გაჩერებულ საათს დავხედე და მივხედი, როგორ მენატრება ხანდახან მამუკა – მისგან დიდი ხეირი არ იყო, მაგრამ უხამსობებს მაინც არ ამბობდა ხოლმე. ვიფიქრე ახლა ამათ ყველას ვეტყვი, რომ ვიცუმრე, არავთარი კიკეთი არ არსებობს... ვეტყვი და მესაათესთან ნავალ-მეთქი. მაგრამ სცენის დასას-



„პროცესი არ გამოიხატავს. აბა, ამ ნიკაპიან ბიჭს როგორ შევეკარათობოდი?! თანაც ისა კარგად ვიგრძენი თავი კიკათში, ისა მსიამოვნება ყვითოლი ფოთლებით დაფარულ ეზოში ბოდის რეარაციული მანიფესტი დიდად აღარ მალებების... გლობულებს გადავურევე – მესამეკურსელ კინომცოდნებს. მერე სკაპში ორ ჩემს თანაკურსელს დაველაპარაკე და ყველამ ერთად დაგვეგმეთ გასეირნება კიკეთში, „მანიფესტის“ შესაქმნელად.“

რულს სასადილოში ის ბიჭი შემოვიდა – ნიაზი, მეოთხეკურსელების სახელოსნოს ლაბორანტი. რამდენი ხანია, ვაკვირდები! ცოტა მამუკას უფროს ძმას ჰგავს. მოქნილი მოძრაობებით, გრძელი ხელებით და დიდი ნიკაპით! ამაზე სექსუალური ჩემთვის არაფერია.. თანაც, სექსუალური რა შეუშია.. ბიჭი დიდი ნიკაპით გამორიცხულია, სულელი იყოს!

სცენის დასასრულს ის უკვე ჩვენ გვერდით იყო. მითხა, რომ მეოთხეკურსელ გოგოებსაც ეტყვის და ნამოიყვანს კიკეთში. მე, თვითონ, კინომცოდნებია დავამთავრე. გვახარიამ ჩვენც მოგვიყვა მაგ მანიფესტზეო.. მერე მე და ნუგზარი ვიდეო-თეკაში წაგვიყვანა და შემოგვთავაზა, გვენახა ფილმი „ნადირობის სცენები ქვედა ბავარიაში“; ერთ-ერთი „მანიფესტანტის“, პიტერ ფლაიშმანის სურათი, რომელიც თავად შეაფასა, როგორც „ყველაზე რადიკალური“!

ძალიან მომენტია ეს ნიაზი და აბა, მის რეკომენდაციას როგორ არ გავითვალისწინებდი. „ნადირობის სცენები“ იმ საღამოსვე ვნახე. ასეთი არაპოლიტკორექტული ფილმი მართლა არ მახსოვს; მოძალადე გეი და მოძალადე ბავარიელები, რომლებიც იმ ღორებს ჰგვანან, ასე უმოწყვალოდ რომ კლავენ კამერის წინ! მკვლელები კინომ უნდა მოკლას! უნდა მოკლას! უნდა მოკლას! ვიმეორებდი ჩემთვის... გოგოებს გადავურევე – მესამეკურსელ კინომცოდნებს. მერე სკაპში ორ ჩემს თანაკურსელს დაველაპარაკე და ყველამ ერთად დაგვეგმეთ გასეირნება კიკეთში, „მანიფესტის“ შესაქმნელად.

მეორე დღეს საათს ელემენტი გამოვუცვალე. ბებიაჩემს შევუარე და კიკეთის სახლის გასაღები გამოვართვი. საყვარელი! მკითხა, მამუკას ხომ არ შეურიგდიო... მოვუყევი, რისთვის მივდიოდი კიკეთში. თუმცა არ დავუმალე, რომ ნიაზებიც ვფიქრობდი.. ბებიაჩემს ყველაფერს ვუვები. ვიცი, როგორ გაუმნარეს სიცოცხლე – ჯერ პირველმა ქმარმა, მერე მეორემ და ბოლოს, მამაჩემმა. ვიცი, რომ არასდროს მიღალატებს! ახლაც გამიგო, როცა ვუთხარი, მანიფესტი უნდა დავწეროთ, რომელიც მშობლების ძალაუფლებისგან გაგვათავისუფლებს-მეთქი.

ძალაუფლება! საქართველოში ყველთვის უყვარდათ „ბევრი“... ბარაქა! ბარაქა! დიდ მოსავალს უსურვებდნენ ხოლმე ერთმანეთს. მამუკასთან ჩემი კონფლიქტი სწორედ აქედან დაიწყო – ნელ-ნელა ცხადი ხდებოდა, რომ ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო, რომელსაც დამოუკიდებლად არც ერთი გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო, მაგრამ თავის თავს არწმუნებდა, რომ ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა. მათ შორის, მეც... ნუ, ამ „მამაოზე“ და „ნესია ასეთი“-ზე აღა-

რაფერს ვამბობ. შეყვარებული გოგო ამას კიდევ აიტანდა როგორმე!

სხვათა შორის, „მამაოებზე“ და „წესებზე“ კიკეთის გზაზეც ვისაუბრეთ. მართალია, „მარშრუტება“, რომელიც ბოლომდე გავავსეთ, ხატებით იყო გაფორმებული, მძლოლიც კი აგვივა და მმკ-ელების დაცინვა დაიწყო. გზაშივე შევთანხმდით, რომ მანიფესტში ერთ პუნქტს ეკლესიას დავუთმობდით. თუმცა კიკეთში რომ ჩავედით, თბილისიდან წამოლებული კატლეტები რომ ვჭამეთ და ყავა და-ვლიეთ, ნიაზმა გვირჩია, ამოგველო ეკლესის თემა – ჩვენ ხომ მხოლოდ იმას ვეხებით, რასაც კომუნისტურ წარსულთან აქვს კავშირიო.

პროტესტი არ გამომიხატავს. აბა, ამ ნიკაპიან ბიჭს როგორ შევეკამა-თებოდი?! თანაც ისე კარგად ვიგრძენი თავი კიკეთში, ისე მსიამოვნებდა ყვითელი ფოთლებით დაფარულ ეზოში ბოდიალი, ობერჰაუზენის მანიფესტი დიდად აღარ მაღლვებდა. დედა რაც გარდამეცვალა, ორი წლის წინ, ამ სახლის მოვლა-პატრონობა ჩემი საქმე გახდა. მაგრამ მამაჩემი აქაურობას ვერ იტანს. ბებიაჩებს წნევა აწუხებს და კიკეთი არ უხდება... მამუკა როცა იყო ჩემს გვერდით, ამოვდიოდით ხოლმე ზამთარ-ზაფხულს. თუმცა არასდროს მიცდია მარტო ამოსვლა; თაგვების მეშინია; ჩვენი დანგრეული კიკეთის სახლი კი სავსეა მღრღნელებით.

ახლა კი, 2010 წლის ამ თბილ ნოემბერში, ნამდგილი ნეტარება იყო კიკეთის ჰამაკში წამოწოლა. თანაც, თავს დაცულად ვგრძნობდი – ჩემს გვერდით იყვნენ თეატრალური უნივერსიტეტის 11 სტუდენტი და ერთი ლაბორანტი.


ვირწეოდი ჩემთვის ჰამაკში და ვუყურებდი, როგორ შეიქმნა „კიკეთის მანიფესტი“... კიდევ ერთხელ დაგრწმუნდი, რომ კინოსარეჟისოროზე ჩემი ჩაბარება დიდი შეცდომა იყო. მე ხომ მაყურებელი ვარ და არა რეჟისორი!



მანიფესტის შექმნის სცენა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. სადღაც 6 საათი იქნებოდა, როცა ტექსტი და-ასრულეს:



კადრები პატერ
ფლაიშმანის ფილმიდან
„ნადირობის სცენები
ქვედა ბავარიაში“








ესაფლავი ნომერი ერთი

პეტორი: ლევან ბერძენიშვილი



2000 წლის დადგომამდე რამდენიმე წლით ადრე, 1999 წლის მიწურულს, კერძოდ, 20-21 დეკემბერს, საზოგადოებრივი აზრის კვლევის სახელგანთქმულმა ცენტრმა გელაპმა (Gallup), ტელევიზია სიენენმა (CNN) და აშშ-ს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა გაზითმა „იუსესი თუდეიმ“ (USA Today) ერთობლივი გამოითხვა ჩატარეს საკუთარ თანამემშულეებს შორის მეოცე საუკუნის მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანებისა და მოვლენების გამოსავლენად. საუკუნის უმნიშვნელოვანეს ადამიანებში; ამერიკელების აზრით, დედა ტერუზაშ ღდნავ გაუსწრო მარტინ ლუთერ კინგს, ჯონ კენედისა და ალბერტ აინშტაინს. მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი ამბებიდან, ამერიკელთა საერთო აღიარებით, პირველი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომი (71%); შემდეგ მოდიოდნენ: ქალებისთვის საარჩევნო ხმის მინიჭება (66%), ხიროსიმა (66%), ჰოლოკოსტი (65%), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (58%), პირველი მსოფლიო ომი (53%), ჯონ ფიცჰერალდ კენედის მკვლელობა (50%), ადამიანი მთვარეზე (50%), დიდ დეპრესია (48%), ბერლინის კედლის დაცემა (48%) და საბჭოთა კავშირის დანგრევა (46%).

მთელი მსოფლიო კიდევ დიდხანს იკამათებს, თუ ვინ დაანგრია ბერლინის კედელი და ვინ დაშალა საბჭოთა კავშირი. აუცილებლად მოიხსენიებენ რომის პაპს – იოანე პავლე მეორეს, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს 1981 წლის 13 მაისს და ამით დაამტკიცა, რომ ბოროტებას ყველაფერი არ შეუძლია; ამ ფაქტმა საოცრად

გაამხნევა და გაათამამა რომის პაპის რელიგიური მრევლი, განსაჯუთობით, მის მშობლიურ პოლონეთსა და მთელ კათოლიკურ სამყაროში და, რაც არანაულებ მნიშვნელოვანი იყო, პოლოტიკური მრევლი მთელ საბჭოთა კავშირში; საბჭოთა კავშირის მესაფლავეებს შორის აუცილებლად მოიხსენიებენ პოლიტიკოსებს, უპირველეს ყოვლისა, რონალდ რეიგანს, ჯორჯ ბუშ უფროსს, მარგარეტ ტეტჩერს, ჰელმუტ კოლს; საბჭოთა კავშირის ლიბერალიზაციის შემოქმედებს, რომელთაც ნებით თუ უნებლიერ (უფრო უნებლიერ ვიდრე ნებით) ხელი შეუწყვეს კომუნისტური იმპერიის დანგრევას – მიხაილ გორბაჩივს, ედუარდ შევარდნაძეს, ალექსანდრ იაკოვლევს (2009 წლის ოქტომბერში რადიო „თავისუფლების“ მთავარ რედაქტორ ლუდმილა ტელენთან ინტერვიუში სსრკ-ს პირველმა და ერთადერთმა პრეზიდენტმა, 1990 წლის ნოემბრის პრემიის ლაურეატმა, მიხაილ გორბაჩივმა აღიარა თავისი დანაშაული საბჭოთა კავშირის დანგრევში; ლუდმილა ტელენი: „თქვენ დღემდე ბრალს გდებენ საბჭოთა კავშირის დანგრევაში.“ მიხაილ გორბაჩივი: „ეს საკითხი გადაწყვეტილია. დავანგრი.“ მე რომ მთარგმნელი ვყოფილყოფა, აյ ქართული ენისთვის დამახასიათებელ უფრო მდიდარ ენობრივ საქცევს ვიხმარდი და გორბაჩივს ქართულად „შემოქმედრას“ ვათემევინიბდი; რა თქმა უნდა, გაიხსენებენ ნოემბრის პრემიის ლაურეატებს – აკადემიკოს ანდრეე სახაროვს (ნოემბრის მშვიდობის პრემია მიენიჭა 1975 წელს) და დიდ რუს მწერალ ალექსანდრე სოლუენიცნს, ასევე, ასობით საბჭოთა დისიდენტს; მოიხმობენ სხვა ფაქტორებსაც,

მაგალითად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში განვითარებულ ცენტრიდანულ ნაციონალისტურ ტენდენციებს, საბჭოთა საზოგადოების ავტორიტარულ ხასიათს, ეკონომიკურ სირთულეებს, საერთო განვითარებაში ჩამორჩენას, ტექნოგენურ კატასტროფებს (მათ შორის, ჩერნობილის ტრაგედიას), ადამიანურ კატასტროფებს (სამხრეთ კორეული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება იური ანდროპოვის პირადი ბრძანებით), საბჭოთა სისტემის რეფორმირების უშედეგო მცდელობებს (მაგალითად, 1965 წლის ეკონომიკურ რეფორმას), ნავთობზე მსოფლიო ფასს დაცემას (რეგიანომიკის უშეულო შედეგს), გადაწყვეტილებათა მიღების მონოცენტრიზმს (ყველაზე უმნიშვნელო გადაწყვეტილებიც კი მოსკოვში, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიღებოდა), აშშ-სთან გამაღებით შეირაღებაში დამარცხებას (კვლავ რეგიანომიკის გამარჯვებას), ავღანეთის ომს, ცივ ომს და მასში სასტიკ დამარცხებას, კოსმოსის ათვისებას, ამინდს, ნებისმიერი იმპერიის ე.ნ. დალლილობას, ისტორიის სპირალურ განვითარებას და ა.შ. დაუსრულებლად.

მსოფლიო კიდევ დიდანს იკამათებს, რამდენად კარგი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა, ზოგიერთი ამ მიცვალებულს საფლავში ჩაპყვება, ზოგიერთისთვის კი 1991 წლის დეკემბრის შემდეგ ისეთი პერმანენტული დღესასწაული დადგება, რომელსაც მანამდე მხოლოდ პემინგუეის გმირები თუ იცნობდნენ, ვისაც გაუმართლათ და ახალგაზრდები მოხვდნენ პარიზში. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამნიდელი პრემიერი და, შესაძლოა, მომავალი პრეზიდენტი (იქნებ კიდევ ერ-



თხელ პრემიერიც, ვინ იცის!) ვლადიმირ პუტინი იტყვის: „უპირველეს ყოვლისა, უნდა ვალიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა იყო საუკუნის ყველაზე მსხვილი გეოპოლიტიკური კატასტროფა. რუსი ხალხისთვის იგი ნამდვილ დრამად გადაიქცა. ათობით მილიონი ჩვენი თანამოქალაქე და თანამემამულე აღმოჩნდა რუსეთის ტერიტორიის მიღმა. დაძლის ეპიდემია გადაედო თავად რუსეთსაც...“ ბარიერის მეორე მხარეს მდგომი ცივი ომის მონაბილებს კი დიდ და სერიოზულ გამარჯვებად აღქმული საბჭოთა ნგრევა იმდენად დაახვევს თავბრუს, რომ ბოროტების იმპერიის აშკარა აღდგნის მზაკრული გეგმა გამოიპარებათ.


ვერაფერს იტყვი: სსრკ დემონტაჟის გმირების წილებაზე ღირსული ნომინანტები ბლომად არიან; მაგრამ კითხვას თუ სხვაგვარად დავსვამთ, ვის სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა არა ოდესმე (ამის, მე მგონი, ყველას სჯეროდა კომუნისტური პარტიის ბეჯითად გაუნათლებელი და ჯიუტად დამუხრუჭებული ფუნქციონერების გარდა), არამედ ხელშესახებ მომავალში (ჩემი შვილი კი არა, მე რომ მოვესწრები“, იმ მომავალში), ნომინანტების რიცხვი მკეთრად შემცირდება, ზემოხსენებულთაგან შესაძლოა, მხოლოდ მტკიცე ანტიკომუნისტი ითანებავს მეორე დარჩენილობის, რომელსაც ღრმად სწავლა, რომ სსრ კავშირისა და კომუნისტური ბლოკის დაძლა უფლის ნება იყო. ამ ახალ, მეორე სიას (მით უმეტეს, თუკი იგი ანბანზე გაეწყობოდა) სათავეში აუცილებლად მოექცეოდა ანდრეი ამალრიკი, ავტორი 1970 წელს გამოცემული ნაშრომისა „მიაღწევს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე“, ხოლო

ამ არცთუ სრულ სიაში სხვებთან ერთად აუცილებლად აღმოჩნდებოდა ჩვენი თანამემამულე, ფრანგი აკადემიკოსი ელენ კარერ დ'ანკოსი (ზურაბიშვილი), 1999 წლიდან ფრანგული აკადემიის მუდმივი მდივანი (ამ პოსტზე გადამდგარი მორის დროუნის შემცველები), ავტორი ნაშრომისა „დალენილი იმპერია“ (L'Empire éclaté, Paris, Flammarion, 1979).

საბჭოთა კავშირი რომ მალე დაინგრეოდა, ამას ახალგაზრდა ისტორიკოსი, ოცდაათ წელს მიტანებული ანდრეი ამალრიკი მაშინ ფიქრობდა, როცა იმანე პავლე მეორეს ჯერ კიდევ კაროლ იოზეფ ვოიტილა ერქვა და ახალი მინიჭებული ჰქონდა კარდინალის წოდება; ჰოლივუდის ყოფილი მსახიობი რონალდ უილსინ რეიგანი ახალარქებული იყო კალიფორნიის გუბერნატორად; მილიონერი ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში წარმომადგენლთა პალატის წევრი იყო და სენატორობისთვის ემზადებოდა; მარგარეტ ჰილდა ტეტჩერმა ედვარდ ჰიტის მთავრობაში ის იყო, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი დაიკავა; ჰელმუტ კოლი გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე იყო; მიხაილ სერგეის ძე გორბაჩივი სკკპ სტაგროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა, შევარდნაძე – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო ალექსანდრე ნიკოლაის ძე იაკოვლევი ახალდანიშნული იყო მსოფლიო ისტორიის კათედრის პროფესორად; ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულის, ვალერი ჩალიძის ინიციატივით შექმნილ „ადამიანის უფლებათა მოსკოვის კომიტეტში“ განევრიანდა, ხოლო ალექ-

სანდრ ისას ძე სოლუსიუნიცინს ზედიზედ მეორედ ნომინაციის შემდეგ ნობელის პრემია მაინც მიანიჭეს ლიტერატურის დარგში (პირველად ნომინირებული იყო 1969 წელს, პრემია მიანიჭეს 1970 წელს. გულმოკლულ საბჭოთა პროპაგანდას ისლა დარჩენილია, რომ გამოიქვეყნებინა საკუთარ სამშობლოში უნიჭო მუსიკასად მიჩნეული, მაგრამ სამხრეთ ამერიკასა და საბჭოთა კავშირში უზომოდ პოულარული ამერიკელი მომღერლის, დინ რიდის „ლია წერილი სოლუსიუნისადმი“. ეს კაცი მომავალშიც გამოიჩენს თავს, როდესაც მთელს მსოფლიოში, ფაქტობრივად, ერთადერთი უცხოელი აღმოჩნდება, რომელიც საბჭოთა კავშირის ავღანეთში შექრას გაამართლებს).

როდესაც საბჭოთა კავშირის ახლო მომავალში დაშლა იწინასწარმეტყველა, ანდრეი ამალრიკი დიდ უმცირესობაში აღმოჩნდა. თითქმის არც ერთი სერიოზული ანალიტიკოსი, პოლიტიკოსი თუ მიმომხილველი არ დაეთანხმა მის „გაუმართლებელ ოპტიმიზმს“, ის კი არა, ზოგიერთმა სხვა არგუმენტი რომ ვერ მოიფიქრა, სუკის აგენტობაშიც დასდო ბრალი. ამალრიკის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ უმრავლესობასავით არ ფიქრობდა და მრავალრიცხოვანი თანამოაზრები რომ არ ჰყავდა, ამაზე გული არ უსკდებოდა. ჯორდანი პრუნისავით ჯიუტად იმეორებდა (საერთოდ, ძალიან ჯიუტი კაცი იყო), მაინც ბრუნავსო. სხვათა შორის, თავისი მოწამებრივი სიკედლის წინ ჯორდანი ბრუნის უთქვაში, უმრავლესობა, ულრის საქციელიაო (როგორ ვერ გაუგებდა მას რუსეთში, ბელარუსში,



აზერბაიჯანში, სომხეთში ან საქართველოში, ცენტრალური აზის რესპუბლიკებზე რომ არაფერო ვთქვათ, „ზემოთ“ მოკალათებული, ულირს უმრავლესობაში მყოფი ერთაპარტიული პოლიტიკური ელიტა!). ეს მაშინ, როდესაც რომის პაპმა კლიმენტი მერვემ ძმა ჯორდანის საეკლესიო წოდება მოუხსნა და სამოქალაქო სასამართლოს გადასცა იმ იმედით, რომ მას „ყველაზე უფრო მოწყალე სასჯელს მიუსჯიდნენ, თანაც სისხლის დაულურელად“ (ადამიანურ ენაზე თუ გადავთარგმნით, ეს, ერთი შეხედვით, ღრმად ჰუმანური „მოწყალე და უსისხლო სასჯელი“ კოცონზე „ჩერეულებრივი“ დაწვა აღმოჩნდება). სასჯელის გამოცხადებაზე ბრუნოს პასუხი იყო „დაწვა არ ნიშნავს უარყოფას“. სამნახევრი საუკუნის შემდეგ ხუან რამონ ხიმენესი იტყვის, ხაზებიანი ქალალდი თუ მოგცეს, ხაზების პერპენდიკულარულად წერეო (ამ გამონათქვამს შევრი იმიტომ იცნობს, რომ რეი ბრედბერის „451 გრადუსი ფარენჰიტი“ წაუკითხავს და ამერიკელმა ავტორმა დიდი ესპანელი პოეტის, 1956 წლის ნობელინანტის სწორედ ეს სიტყვები დაურთო ეპიგრაფად თავის ანტიტოალიტრულ შედევრს). ამ ორ გამონათქვამს არა მხოლოდ ცეცხლი აერთიანებს (სხვათა შორის, ქალალდი მართლაც თავისით აალდება 451 გრადუსზე, ოღონდ არა ფარენჰიტით, არამედ ცეცლისუსით), არამედ დაუოკებელი ლტოლვა სიმართლისაკენ, საუთარი სიმართლისაკენ, რომელსაც შენს გარდა თითქმის არავინ იზიარებს და რომელიც, როგორც წესი, მუდმივად ლრმა უმცირესობაშია.

ამაღლრიკის წიგნი, რომელსაც საერთოდ არც ისე მორიდებული აგტორი,

რატომდაც, მოკრძალებულად „სტატიას“ უწოდებს, ასე იწყება:

„ავტორს წერას აიძულებს, ძირითადად, სამი მიზეზი. ჯერ ერთი, რესეტის ისტორიისადმი ინტერესია. თითქმის ათი წლის წინ დავწერე ნაშრომი კიევის რესეტის შესახებ; ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იძულებული ვიყავი, შემეწყვიტა ჩემი კვლევა რესეტის სახელმწიფოს დასაწყისზე, სამაგიეროდ ახლა იმედი მაქეს, რომ როგორც ისტორიკოსს ასეზის ამინაზღაულდება შრომა, რომ მისი დასარულის მოწმე გავხდი. მეორეც, შემეძლო ახლო მანძილიდან დავკირვებოდი სსრკ-ში დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის მცდელობებს, რაც თავისთვად ძალიან საინტერესოა და რაც წინასახლ შეფასებას იმსახურებს. მესამეც, ხშირად მიწევდა მომესმინა და წამეკითხა საბჭოთა საზოგადოების ეგრეთ წოდებული „ლიტერალიზაციის“ შესახებ, ეს მოსაზრებები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ამჟამად ვთარება უკეთესია, ვიდრე ათი წლის წინ, შესაბამისად, ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო უკეთესი იქნება. აქ შევეცდები ვაჩვენო, რატომ არ ვთანხმები ამას.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩემი სტატია ეფუძნება არა რაიმე გამოკვლევას, არამედ მხოლოდ დაკვირვებას და გააზრებას. ამ თვალსაზრისით, იყი შეიძლება ვინემს ცარიელ ლაყბობადაც მოეჩვენოს, მაგრამ – ყოველ შემთხვევაში, დასავლელი სოვეტოლოგებისთვის – იმ ინტერესს მაინც წარმოადგენს, რასაც იხტიოლოგებისთვის წარმოადგენდა თვეზი, მას რომ უეცრად ხმა ამოელო“.

ვინ იყო ანდრეი ამაღლრიკი, საბჭოთა კავშირის მესაფლავე წომერი ერთი?

ბიოგრაფიული ცნობები: ანდრეი ალექსეის ძე ამაღლრიკი, დაიბადა 1938 წლის 12 მაისს მოსკოვში, გარდაიცვალა 1980 წლის 12 ნოემბერს ქ. გვადალახარის მასლობლად, ესპანეთში – დისიდენტი, პუბლიცისტი, დრამატურგი, მწერალი.

დაიბადა ისტორიკოსისა და არქეოლოგის ოჯახში. ცამეტი წლისამ თოჯონების თეატრი მოაწყო, რომელშიც საკუთარ პიესებს დგამდა. ბოლოსწინა კურსიდან გარიცხეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტიდან საკურსო ნაშრომისთვის, რომელშიც „ნორმანულ თეორიას“ იცავდა. მისი თეორიის მიხედვით, კიევის რესეტის და, შესაბამისად, რესული ეთნოსის ჩამოყალიბებაში სკანდინავიელებს, ნორმანებად წოდებულ ვარიაგებს ანუ ვიკინგებს შეუსრულებიათ განსაკუთრებული როლი (ბერძნებთან ერთად).

იყო მხატვარ-ავანგარდისტების კოლექციონერი. ყიდულობდა და აგროვებდა თავისი საუკეთესო მეგობრის, ანატოლი ზვერევის ნახატებს. წერდა პიესებს „აბსურდის თეატრის“ სტილში.

1965 წლის მაისში დააპატიმრეს და ორნახევარი წლით ციმბირში გადაასახლეს „უსაქმურიბისა და პარაზიტული ცხოვრებისთვის“. 1966 წლის ივლისში ვადამდე გაათავისუფლეს და მოსკოვში დაპრუნდა. მუშაობდა ახალი ამბების სააგენტოს შტატგარეშე თანამშრომლად, იძეჭდებოდა საზღვარგარეთ.

პაველ ლიტვინოვთან ერთად დაწერა კრებული „ოთხთა პროცესი“ ალექსანდრე გინზბურგის, იური გალანსკოვის, ალექსეი დობროვოლსკისა და ვერა ლაშვილას სასამართლოზე პროცესზე. 1968 წლის ოქტომბერში გადასცა კრე-



ბული უცხოელ კორესპონდენტებს, რომ-ლებთანაც ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. 1968 წლის ბოლოს გააძევეს ახალი ამ-ბების სააგენტოდან და ფოსტალიონად დაწყებული მუშაობა.

1969 წლის აპრილ-ივნისში დაწერა წიგნი-ესე „მიაღწევს თუ არა საბჭოთა კა-ვშირი 1984 წლამდე“, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლა ინიასწარმეტყველა. წიგნს შესამჩნევი საზოგადოებრივი რე-ზონანი ჰქონდა უცხოეთსა და ასტაკევ-შეთში. გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე ნაშრომი დასავლეთსა და სამიზდატში, რამაც მისი დაპატიმრება გამოიწვია.

1970 წლის 21 მაისს დააპატიმრეს და ეტაპით გადაიყვანეს სევერდოლოებუში. 11-12 ნოემბრის პროცესზე სასჯელი დაკავირეს ლევ უბოუკასთან ერთად, რომელიც მის ნაშრომებს ავრცელებდა. თავი დამნაშავედ არ აღიარა. ბოლო სი-ტყვაში კი განაცხადა:

„არც რეჟიმის მიერ ჩატარებული კუ-დიანებზე ნადირობა და არც მისი კერძო შემთხვევა – ეს სასამართლო – ჩემში არანაირ პატივისცემას არ იქვეს და შიშაც კი არ აღძრავს. სხვათა შორის, მესმის, რომ ასეთი სასამართლოები იმა-ზეა გათვლილი, რომ ბევრი დააშინონ და ბევრს დააშინებენ კიდეც, და მაინც მგონია, რომ იდეური განთავისუფლების უკვე დაწყებული პროცესი შეუქცევა-დნა“.

სასამართლომ რსფსრ სისხლის სა-მართლის კოდექსის 190-1 მუხლით სამი წელი მოუსაჯა („ნიასწარ შეცნობით ყალბი მონაჭორის გავრცელება, რომე-ლიც ჩირქეს ცხებს საბჭოთა საზოგადოე-ბრივ და სახელმწიფო წყობას“). სასჯელს იხდიდა ნოვოსიბირსკისა და მაგადანის

ოლქებში. 1973 წლის 21 მაისს, მისი სასჯელის უკანასწერელ დღეს ამაღრი-კის წინააღმდეგ აღიძრა ახალი საქმე რსფსრ სსკ იმავე 190-1 მუხლით. 1973 წლის ივლისში ისევ სამი წელი მოუსაჯეს.

თოხოვანი საპროტესტო შიშმილობი-სა და მთელი მსოფლიოდან შეწყალე-ბის მრავალჯერადი მოთხოვნის შემდეგ (მათ შორის იყო პეტ-კლუბის 247 წევრის მიერ ხელმოწერილი თხოვნაც) განაჩენი „შეარბილეს“ და სამწლიანი პატიმრო-ბა მაგადანი სამწლიანი გადასახლებით შეუცვალეს. ამ სასჯელის უმეტესი ნა-ნილი მოიხადა დასახლებული პუნქტის, ტალაიას ახლოს მდგრად კოლონიაში. მოსკოვში დაბრუნდა 1975 წლის მაისში.

1976 წლის ივლისში დატოვა სსრკ. ემიგრაციაში გააგრძელა საზოგადოე-ბრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობა, დაწერა წიგნი „დისიდენტის ჩანაწერები“.

1980 წლის 12 ნოემბერს დაილუპა ავტოკატასტროფაში ესპანეთში. დაკრ-ძალულია პარიზის შემოგარენში სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე. ოფი-ციალურად რეაბილიტირებულია 1991 წელს.

ამაღრიკის ნაშრომთა სულისკვეთების გასაცნობად საქმიანისა რამდენიმე ნა-წყვეტის გაცნობა მისი წიგნიდან „დისი-დენტის ჩანაწერები“:

კანადის პრემიერ-მინისტრი ბატონი ტრიუდო ნორილსეს ეწვია და გა-ნაცხადა, რომ, სამწუხაოდ, კანადის იმიერპოლარეთში არ ჰქონიათ ასეთი შესანიშნავი ქალაქი. მინდოდა, რკინის ცხაურიდან მიმეწვდნა ხმა კანადელი პრემიერისთვის: „დააპატიმრეთ მილიონი კანადელი, გააგზავნეთ პოლარულ სარ-ტყელს მილმა, ავტომატის ლულებქვეშ

შემოარტყებული საკუთარი თავისთვის მავთულხდართები, გაათხრევინეთ მაღა-როები, ააშენებინეთ სახლები და თქვე-ნაც გექნებათ ასეთი შესანიშნავი იმიერ-პოლარული ქალაქი“.

ჩემი ასაკის ხალხისთვის – როგორც იმათვეს, ვისი დამოკიდებულებაც რე-უიმისადმი განისაზღვრა ორმოცდათაიანი წლების ბოლოს, – ხასიათის ჩამოყა-ლიბება დაემთხვა დესტალინიზაციას, თუნდაც ნანილობრივ, მაგრამ მაინც განთავისუფლებას, თუნდაც ნარუმატე-ბელ, მაგრამ მაინც პრძოლას და ამიტომ მოგვცა პრძოლის შესაძლებლობისა და საბოლოო გამარჯვების ხშირად შეუც-ნობელი რწმენა. 1975 წელს ნადეჟდა მანდელშტამმა, პოეტის ქვრივმა, მი-თხრა: „ავიგე, დაგინერით, ეს რეჟიმი 1984 წლამდე ვერ მიაღწევსო. რა სისუ-ლელე! ეს რეჟიმი კიდევ ათასი წელი იარსებდს!“ „საბრალო მოხუცი ქალი“, – გავიფიქრე მე – „სამოცი წლის მანძილზე როგორ გადაუარა ამ რეჟიმმა, რომ მისი მუდმივი არსებობა დაივერა!“

ანდრეი ამაღრიკის შესახებ ლუდმილა ალექსეევა, ცნობილი რუსი დისიდენტი, ავტორი წიგნისა „სხვაგვარად აზროვნე-ბის ისტორია საბჭოთა კავშირში“, ყვება:

„ამაღრიკი რომ გავიცანი, არბატზე ცხოვრობდა. მაშინ ეს იყო ვატანგოვის ქუჩა, ნომერი ხუთი. ახლა, როდესაც ამ სახლს ჩაეუვლი ხოლმე, გული მწყდება, რომ მასზე მემორიალური დაფა არ არის და საეჭვოა, რომ ოდესმე იქნება, თუმცა არბატზე საბლებს ისეთი ხალხის მემო-რიალური დაფებიც ამშვენებს, რომლე-ბიც ამას, შესაძლოა, არც იმსახურებენ.

>>> ბაზრებელება გვ. 117





გაჩერებული საათების და ინტენსიური სინათლის ზონა

<< დასახი გვ. 36

„მამაკაცები მთელ თავისუფალ დროს ამ ჩაიხანებში ატარებენ, მიხსნის ნურადინ ხამალი ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი თარჯიმანი, – ეს არაბული ტრადიცია, მისტიკური რიტუალია.“

ხამალი კასაბლანკაში ცხოვრობს, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე და სკოლაში მუშაობს. ფრანგულს და ინგლისურს ასწავლის. ნურადინი მარკოველი არაბების შთამომავალია, მაღალი, ბრგე კაცი, 58 წლის. მძიმედ დადის, თვალები მუდამ უელავს, მაგრამ აუღლევებლად საუბრობს. „ამ ადგილთან ბევრი რამე მაკაფშირებს, – მეუბნება მოულოდნელად, – როდესაც კასაბლანკას ჰაიმა ჰადის უბანში ძეველ ტყვეთა ბანაქს ვათვალიერებთ და 1973 წლის რეპრესიების მსხვერპლი ფატმა ედმი თავის ისტორიას უცხოელ ჟურნალისტებს უყვება. „3 წელი მანამებდნენ. მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი. არ მომწონდა ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა და ამას ხმამაღლა ვამბობდი“... „თქვენ რას აკეთებდით ამ შენობაში? – ვეკითხები ხამალს და მოშორებით ვდგები. „ამ რვასართულიან კორპუსში მაშინაც ცველა ბინა დაკავებული იყო, – იწყებს შორიდან, ჭეშმარიტი არაბიკით. სარდაფები სავსე იყო ტყვეებით, ცველას პოლიტიკური შეხედულების, საქმიანობის გამო აკავებდნენ.

სასტიკად ანამებდნენ. ამ სახლში პოლისარიოს თანამშრომლები ცხოვრობდნენ.

ყოველ დღე აუვლიდნენ-ჩაუვლიდნენ ამ საზარელ სარდაფებს. მეცოდებოდნენ. ხმას, ცხადია, არავინ იღებდა. მეც შიგნით ვიყავი, 6 თვე მანამებდნენ. მაშინ ჟურნალისტად ვმუშაობდი და თან მოხალისეთა გაერთიანების ერთ-ერთი რეგიონალური კოორდინატორი ვიყავი. მინისქვეშეთის გამოცმებს ვავრცელებდი და მოსახლეობის მობილიზებას ვცდილობდი. რასაკვირველა, ბოლოს მეც მომაგნეს. ასეთი „მძიმე დანაშაულისთვის“ 6 თვე არაფერია, მაგრამ ვერც ერთი ბრალდება ვერ დამიმტკიცეს და გამომიშვეს. მხოლოდ ორ კითხვას ვსვამდი: სადა ვარ? და რატომ ვარ აქ? მეტი სიტყვა არ მითქვამს. არადა, ნამება კარგად იცოდნენ. იცი, რომ გამაძლებინა? მაშინაც ვიცოდ და დღესაც ასე ვფიქრობ: მე მსხვერპლი არასდროს ვყოფილვარ. მათ მსხვერპლად მაინც ვერ მაქციეს. საკუთარი თავი არასდროს შემცოდებია იმიტომ, რომ ვიცოდი, მე ჩემი იდეალებისთვის ვიბრძოდი. შევილის ყოლაზეც მაშინ ვთქვი უარი. არ შეძლებოდა მათოვის ხაფანგი მე თვითონ შემეთავაზებინა. არც ამის გამო მინანია. მე 31 ოქტომბერს საპროტესტო აქციაზე არ წავალ, რადგან კომპენსაცია არ მჭირდება. კომპენსაცია რეპრესიის მსხვერპლებმა უნდა აიღონ, ვინც ფი-

ქრობს, რომ იმ ბრძოლაში ბევრი დაკარგა. მე მხოლოდ შევიძინე. ისე, მეფისგან საკუთარი მამის, ჰასან II-ს სისასტიკის აღიარება და იმ წლებისთვის რეპრესული პერიოდის დარქმევა გაბედული ნაბიჯია. ამით მან, ალბათ, გაუცნობიერებლად, ის გვითხრა, რომ შემდეგი შეიძლება თვითონ იყოს. ჩვენ დღესაც არა ვართ დაზღვეულები, რომ იგივე არ განმეორდება. და მე ახლაც მზადა ვარ. მგონია, რომ დღეს გაცილებით შეუპოვარი ვაქენები... წავედით, გველოდებინ, “ – უცბად წყვეტს მოყოლას და ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩაზე გზას მიყვალავს, მანქანების, ველოსიპედების, ვირშებმული ურმების ხმაურიან ნაკადს ხელის ანუვით ანიშნებს, გაჩერდითო. ისინიც ემორჩილებან.

ჰიშამი და ნურადინი ორი სხვადასხვა თაობის ინტელექტუალია, სხვადასხვა ისტორიის ნაწილი. ნურადინი „ხალური“ ტიპია, ვუცურებ როგორ ესალმება ცხოველების ძველ სასაკლაოზე (ახლა თანამედროვე ხელოვნების ცენტრია) დარაჯს, ჰაიმა ჰადის კვარტალში მისათვისაც უცნობ სკოლის მოსახლეებს, როგორ ართმევს ხელს მოხუცს ქუჩაში და ვხვდები, რომ ამას ჩვენთვის თავის მოსაწონებლად არ აკეთებს (ჩემს გარდა არავის შეუმჩნევა) ის ერთ-ერთი ამათგანია. მას უბრალოდ ძალინ კარგად ესმის მათი, ვინც 12 წლის შეილს რამდენიმე ცხვრის ფასად ათხოვებს, მათიც, ვინც ატლასის მთებში ცხოვრობს და საკუთარ ქვეყანაში ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონზე გულყრები არ ემართება, მათი, ვინც პედოფილიის კატასტროფულად გაფრცელებულ კრიმინალს, ტრადიციულ წეს-ჩვეულებას ეძახის, მათიც, ვისაც ევროკავშირი რომელიმე თანაგარსაკვლავედი ჰერონია და მათიც, ვინც გულმოდგინედ სწავლობს განვითარებული დასავლეთის „ენას“. ჰიშამი კი, ბევრს კეკლუცობს, ეწვეოტერმინებით გველაპარაკება. თავის „გმირულ“ რეპრესიულ გვაჩერებებს და ყოველთვის მედიდურად და დანანებით აღნიშნავს, რომ უსამართლო სამყაროში ვცხოვრობთ.

ჰიშამ ჰიუდაიფა წლის თანამედროვე მარკოული ინტელექტუალია და „ერთ-ერთი მათგანი“ ლე ჟურნალიდან. „ერთ-ერთი, ვინც ჯამალთან ერთად რამდენი-

მეწლიანი ორთაბრძოლა გამოიარა და ბოლოს დამარცხდა. დამარცხდა მაშინ, როდესაც უმრავლესობისთვის გაუგებარ ენაზე ალაპარაკდა და თაყვანისმცემლები მაროკოს ბურჯუაზიაში გაიჩინა. ის, ალბათ, ვეღარასდროს დაბრუნდება უკან.

ხამალი კი ფიქრობს, რომ ყველაფერი წინ აქვს. „მე ბაშვებს ვეღარაკები. ვუყვები რაღაცებს. კერძო სკოლაშიც ვასწავლი და საჯაროშიც, ყველანაირი მოსწავლე მყავს. მე ვიცი, რომ ყველაფერი აქედან იწყება.“ ხამალს და მისი თაობის დისიდენტებს დღეს სათქმელი ბევრი აქვთ – 80-იანების მერე რეპრე-სიები აღარ განმეორებულა (თუმცა პო-ლიტიკური დღესაც ჰყავთ მაროკოს ციხეებმი), ცოტა ხნით, მაგრამ მაინც გაჩნდა შედარებით თავისუფალი მედია, სახალხო მოძრაობა კი გაცილებით დიდი მასშტაბით და სწრაფად იქრება. სახალა. ისინი, როგორც ხამალი ამბობს, უფრო მობილიზებულები არიან, მათ უნივერსა-ლური „ენჯერ“ ენაც იციან და მუჭამედ VI-ს პოლიტიკისაც ესმით. პრიბლევები, რომლის გადაჭრისთვისაც იპრევიან, მათი ყოველდღიური გამოწვევებია. ინტელექტუალებს კი, დიდი ხანია პა-ტარა, მაგრამ საკუთარი სივრცე აქვთ, არავისთან გასაყოფი სივრცე, სადაც არც ალკოსტოლის აკრძალვა მოქმედებს, არც კულტურული ცენტრია არსებობს და არც ტრადიციული, თუ რელიგიური ნორმები. ამიტომ მათ დასაკარგი უკვე ბევრი აქვთ.

* * *

სემინარის ბოლო დღეს, მასალების ადრე ჩაბარებისთვის გვასაჩუქრებენ – დაგეგმილი შეხვედრებისგან, საკონფე-რენციო დარბაზებისგან და მოხსენე-ბებისგან თავისუფლები ვართ. ამიტომ, ფესტივალი მივდივართ. იდრისიდების დი-ნასტის დაარსებულ უძველეს ქალაქში, უნიკალური არქიტექტურით და მერვე საუკუნის ქალაქების სანიმუშო მოდელით.

ახალ, ფრანგული მოდელის მატარე-ბელში ვზივარ, გარეთ ისევ პროვინ-ციულ დასახლებებს ვათვალიერებ და ნანასის, თუ მოსმენლის განალიზებას ვცდილობ. ისევ პირვანდელ აზრს ვუ-ბრუნდები, ვხვდები, რომ თითქმის არა-

ფერი მესმის. მიკვირს, რომ „უცხოობის“ ასეთი მბაფრი განცდა მაროებან ნა-მოსვლის წინა დღეს მაქვს. არადა, სწო-რედ ამის მეშინოდა.

ტრენერების დარიგებებით ვხელმძღ-ვანელობთ – არანაირი გიდი, პარასკე-ვია, ლოცვის დღე, ამიტომ მოკრძა-ლებულად იცვამთ და დაბნელებამდე ბრუნდებით უკან!

ფესტივალის რეინიგზის სადგურზე გზამკვ-ლევს ვყიდულობთ და რჩევისთვის „სან-დო“ პოლისარიოს მივმართავთ. ძველ ქალაქამდე, მედინამდე მოფახფახებუ-ლი, უცანური მარკის ავტომობილით მივდივართ.

მედინას შესასვლელთან, ლურჯ ჭიშკართან ვიკინგებით და პატარა რუაზე ჩვენი ტურის ტრაქტორის მო-ხაზეს ვცდილობთ.

„ჩემი დახმარება გჭირდებათ? – უც-ბად გვიახლოვდება თეთრ ჯელაბაში გა-მოწყობილი მაროკოელი. მე თარიქი ვარ, ამბობს ლიმილით, – თუ გნებავთ, თქვე-ნი გიდი ვიქენები, 3 საათი – 150 დირჰამი.

შესასვლელიდან ფესტივალი ვიწრო ლაბი-რინთი მოსჩანს. ქუჩაზე უამრავი ხალხი ტრიალებს. ასეთი ქუჩა კი, ფესტი 9862-ია. მაშინვე ვეგვები, რომ იქ მარტო გზას ვერ გავიგნებთ. ამიტომ, უყოფმა-ნოდ ვთანხმდები. დანარჩენებიც მიერთ-დებიან. თან მხიარული კაცი ჩანს, ენა-ნელიანი.

„საიდან ხართ? ჯორჯია? ეგ რომე-ლია?.. კარგით, მოდით, აქედან და-ვიწროთ. ეს ბაზარია. აქეთ წამოდით და უძველეს ალ-კარაუინის უნივერსიტეტს გაჩვენებთ. უსიტყვიოდ მივდევთ და მისი აჩქარებული საუბრდან ვცდილობთ ში-ნაარსი გამოვიტანოთ. – მოკლედ, ფესტივალების აშენებული ქალაქია, ათას ორსა წლის. მეც ბერბერი ვარ. არაბები აქ გვიან მოვიდნენ. ისლამი მათ მოიტა-ნეს. დიდი ხანია, ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ ხალხთან მაინც სულ სხვა სიახლოეს გვაქვს. ხომ გესმით, არა? არაბებს ვერ ენდობი. ბერბერი ალალი კაცია. მე ბერბერი ვარ!“ თარიქი შუა ატლასიდანაა. ქალაქში 17 წლის ჩამო-ვიდა. იქ, მთაში მშობლები, ხუთი ძმა და ექვსი და დატოვა. თვითონ, როგორც ამ-ბობს, ხუთი შვილი და ერთი გოგო ჰყავს.

„სახლებზე ხის ჩარჩოებს ხედავთ? ეს საფრანგეთის კოლონიზაციის კვალია. ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ აქ, დაბ-ნელებისას ფრანგები ქუჩებს ხის მძიმე ჭიშკრებით რაზავდნენ. ჩაკეტილი ზონე-ბი ორ-ორ კვარტალს მოიცავდა (15-20 მეტრის სიგრძის ქუჩის მონაკვეთი). ეში-ნოდათ დამე არეულობის. მერე ჩვენმა მუჰამედმა აჩვენა მაგათ სეირი. ყოჩალი ბიჭი იყო. ბოლოს ფრანგებს გადასახ-ლებიდან თავი დაბრუნდებინა და ქვეყა-ნას სათავეშიც ჩაუდგა... ეს დარებია, მაროკოული სახლები. აი, ხომ ხედავ, ყველას პატარა ფაჯურები და დარაბები აქვს. ჩვენთან ბევრი შუქია, ამიტომ სა-ხლებს პატარა სარკმელიც ჰყოფნის... სახ-ლები გარედან გეწვენებათ უბრალო და უგვინი, თორემ შიგნით ნამდვილი სასა-ხლებია. მაროკოული ჭრელი მოზაიკის კედლებით, მოხატული ჭერით, მდიდრუ-ლი ავეჯით გაწყობილი. კედლები სულ საუკეთესო ხელოსნების დამუშავებუ-ლი, წვრილ-წვრილი ჩუქურთმებით. აბა! თვეობით მუშაობენ ერთ კედლზე. მერე ქსოვილები. სულ აბრეშუმია.“ თარიქი ჩვენთან ერთად სამ საათს ატარებს და ფესტისა ვიზიზოტო ბარათს – ტყავის სა-მდებროებს, კიდევ კერამიკის სახელოს-ნოებს, სამკაულების, ხალიჩების მაღა-ზიებს გვაჩვენებს. გზაში, უცბად რაღაც ახსენდება, ტრიალდება და ვიწრო ქუ-ჩაზე უცვეს. იქვე, მისი მეგობარი ცხო-ვრობის. „ძველი, მდიდრული სახლი აქვს, დაგათვალიერებინება“, – გვეუბნება. ჩვენ თავს ვუქნევთ და მივდევთ. კარს არავინ აღებს. ცოტა ხანში სახლის სახუ-რავიდან, რომელსაც ტერასად იყენებენ, მეგობრის ცოლი იხედება და თარიქს რაღაცას ჩამოსახებს. „ჰერე, გაიგე რას ამბობს? ამის ქმარი მეჩეთში სალოცა-ვადაა წასული და თვითონ სახლშია ჩაკეტილი. ვერ გაგვილებს. აქ, ორმოცი პროცენტი ეგრეა. კაცი გარეთ რომ გა-დის, ქალს სახლში კეტავს. არ ენდობიან და იმიტომ. მე არა. მე ბერბერი ვარ. მე თავისუფლება მიყვარს.“ ამბობს ამაყად და გზას აგრძელებს. დროდადრო მაღა-ზიებთან ჩერდება. ყოველ ჯერზე გვეუბ-ნება, ოო, აქ ნამდვილი სასწაული დაგხვ-დებათო, და მერე დაბალ შესასვლელში უჩინარება. ჩვენ მორჩილი და მივიღებით უკან თვითონ, რომ ჩარჩოების მიუღიარება არ გაჩაღ-დება თარიქი ბრაზობს, ბერბერულად ბურდლუნებს და ხელებს შლის. რამეს

ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ აქ, დაბ-ნელებისას ფრანგები ქუჩებს ხის მძიმე ჭიშკრებით რაზავდნენ. ჩაკეტილი ზონე-ბი ორ-ორ კვარტალს მოიცავდა (15-20 მეტრის სიგრძის ქუჩის მონაკვეთი). ეში-ნოდათ დამე არეულობის. მერე ჩვენმა მუჰამედმა აჩვენა მაგათ სეირი. ყოჩალი ბიჭი იყო. ბოლოს ფრანგებს გადასახ-ლებიდან თავი დაბრუნდებინა და ქვეყა-ნას სათავეშიც ჩაუდგა... ეს დარებია, მაროკოული სახლები. აი, ხედავ, ყველას პატარა ფაჯურები და დარაბები აქვს. ჩვენთან ბევრი შუქია, ამიტომ სა-ხლებს პატარა სარკმელიც ჰყოფნის... სახ-ლები გარედან გეწვენებათ უბრალო და უგვინი, თორემ შიგნით ნამდვილი სასა-ხლებია. მაროკოული ჭრელი მოზაიკის კედლებით, მოხატული ჭერით, მდიდრუ-ლი ავეჯით გაწყობილი. კედლები სულ საუკეთესო ხელოსნების დამუშავებუ-ლი, წვრილ-წვრილი ჩუქურთმებით. აბა!

თვეობით მუშაობენ ერთ კედლზე. მერე ქსოვილები. სულ აბრეშუმია.“ თარიქი ჩვენთან ბევრი შუქია, ამიტომ სა-ხლებს პატარა სარკმელიც ჰყოფნის... სახ-ლები გარედან გეწვენებათ უბრალო და უგვინი, თორემ შიგნით ნამდვილი სასა-ხლებია. მაროკოული ჭრელი მოზაიკის კედლებით, მოხატული ჭერით, მდიდრუ-ლი ავეჯით გაწყობილი. კედლები სულ საუკეთესო ხელოსნების დამუშავებუ-ლი, წვრილ-წვრილი ჩუქურთმებით. აბა!

თვეობით მუშაობენ ერთ კედლზე. მერე ქსოვილები. სულ აბრეშუმია.“ თარიქი ჩვენთან ერთად სამ საათს ატარებს და ფესტისა ვიზიზოტო ბარათს – ტყავის სა-მდებროებს, კიდევ კერამიკის სახელოს-ნოებს, სამკაულების, ხალიჩების მაღა-ზიებს გვაჩვენებს. გზაში, უცბად რაღაც ახსენდება, ტრიალდება და ვიწრო ქუ-ჩაზე უცვეს. იქვე, მისი მეგობარი ცხო-ვრობის. „ძველი, მდიდრული სახლი აქვს, დაგათვალიერებინება“, – გვეუბნება. ჩვენ თავს ვუქნევთ და მივდევთ. კარს არავინ აღებს. ცოტა ხანში სახლის სახუ-რავიდან, რომელსაც ტერასად იყენებენ, მეგობრის ცოლი იხედება და თარიქს რაღაცას ჩამოსახებს. „ჰერე, გაიგე რას ამბობს? ამის ქმარი მეჩეთში სალოცა-ვადაა წასული და თვითონ სახლშია ჩაკეტილი. ვერ გაგვილებს. აქ, ორმოცი პროცენტი ეგრეა. კაცი გარეთ რომ გა-დის, ქალს სახლში კეტავს. არ ენდობიან და იმიტომ. მე არა. მე ბერბერი ვარ. მე თავისუფლება მიყვარს.“ ამბობს ამაყად და გზას აგრძელებს. დროდადრო მაღა-ზიებთან ჩერდება. ყოველ ჯერზე გვეუბ-ნება, ოო, აქ ნამდვილი სასწაული დაგხვ-დებათო, და მერე დაბალ შესასვლელში უჩინარება. ჩვენ მორჩილი და მივიღებით უკან თვითონ, რომ ჩარჩოების მიუღიარება არ გაჩაღ-დება თარიქი ბრაზობს, ბერბერულად ბურდლუნებს და ხელებს შლის. რამეს

ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ აქ, დაბ-ნელებისას ფრანგები ქუჩებს ხის მძიმე ჭიშკრებით რაზავდნენ. ჩაკეტილი ზონე-ბი ორ-ორ კვარტალს მოიცავდა (15-20 მეტრის სიგრძის ქუჩის მონაკვეთი). ეში-ნოდათ დამე არეულობის. მერე ჩვენმა მუჰამედმა აჩვენა მაგათ სეირი. ყოჩალი ბიჭი იყო. ბოლოს ფრანგებს გადასახ-ლებიდან თავი დაბრუნდებინა და ქვეყა-ნას სათავეშიც ჩაუდგა... ეს დარებია, მაროკოული სახლები. აი, ხედავ, ყველას პატარა ფაჯურები და დარაბები აქვს. ჩვენთან ბევრი შუქია, ამიტომ სა-ხლებს პატარა სარკმელიც ჰყოფნის... სახ-ლები გარედან გეწვენებათ უბრალო და უგვინი, თორემ შიგნით ნამდვილი სასა-ხლებია. მაროკოული ჭრელი მოზაიკის კედლებით, მოხატული ჭერით, მდიდრუ-ლი ავეჯით გაწყობილი. კედლები სულ საუკეთესო ხელოსნების დამუშავებუ-ლი, წვრილ-წვრილი ჩუქურთმებით. აბა!

თვეობით მუშაობენ ერთ კედლზე. მერე ქსოვილები. სულ აბრეშუმია.“ თარიქი ჩვენთან ერთად სამ საათს ატარებს და ფესტისა ვიზიზოტო ბარათს – ტყავის სა-მდებროებს, კიდევ კერამიკის სახელოს-ნოებს, სამკაულების, ხალიჩების მაღა-ზიებს გვაჩვენებს. გზაში, უცბად რაღაც ახსენდება, ტრიალდება და ვიწრო ქუ-ჩაზე უცვეს. იქვე, მისი მეგობარი ცხო-ვრობის. „ძველი, მდიდრული სახლი აქვს, დაგათვალიერებინება“, – გვეუბნება. ჩვენ თავს ვუქნევთ და მივდევთ. კარს არავინ აღებს. ცოტა ხანში სახლის სახუ-რავიდან, რომელსაც ტერასად იყენებენ, მეგობრის ცოლი იხედება და თარიქს რაღაცას ჩამოსახებს. „ჰერე, გაიგე რას ამბობს? ამის ქმარი მეჩეთში სალოცა-ვადაა წასული და თვითონ სახლშია ჩაკეტილი. ვერ გაგვილებს. აქ, ორმოცი პროცენტი ეგრეა. კაცი გარეთ რომ გა-დის, ქალს სახლში კეტავს. არ ენდობიან და იმიტომ. მე არა. მე ბერბერი ვარ. მე თავისუფლება მიყვარს.“ ამბობს ამაყად და გზას აგრძელებს. დროდადრო მაღა-ზიებთან ჩერდება. ყოველ ჯერზე გვეუბ-ნება, ოო, აქ ნამდვილი სასწაული დაგხვ-დებათო, და მერე დაბალ შესასვლელში უჩინარება. ჩვენ მორჩილი და მივიღებით უკან თვითონ, რომ ჩარჩოების მიუღიარება არ გაჩაღ-დება თარიქი ბრაზობს, ბერბერულად ბურდლუნებს და ხელებს შლის. რამეს

ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ აქ, დაბ-ნელებისას ფრანგები ქუჩებს ხის მძიმე ჭიშკრებით რაზავდნენ. ჩაკეტილი ზონე-ბი ორ-ორ კვარტალს მოიცავდა (15-20 მეტრის სიგრძის ქუჩის მონაკვეთი). ეში-ნოდათ დამე არეულობის. მერე ჩვენმა მუჰამედმა აჩვენა მაგათ სეირი. ყოჩალი ბიჭი იყო. ბოლოს ფრანგებს გადასახ-ლებიდან თავი დაბრუნდებინა და ქვეყა-ნას სათავეშიც ჩაუდგა... ეს დარებია, მაროკოული სახლები. აი, ხედავ, ყველას პატარა ფაჯურები და დარაბები აქვს. ჩვენთან ბევრი შუქია, ამიტომ სა-ხლებს პატარა სარკმელიც ჰყოფნის... სახ-ლები გარედან გეწვენებათ უბრალო და უგვინი, თორემ შიგნით ნამდვილი სასა-ხლებია. მაროკოული ჭრელი მოზაიკის კედლებით, მოხატული ჭერით, მდიდრუ-ლი ავეჯით გაწყობილი. კედლები სულ საუკეთესო ხელოსნების დამუშავებუ-ლი, წვრილ-წვრილი ჩუქურთმებით. აბა!

გამორჩეულება

რომ ვკითხავთ, უკმეხად გვეპასუხება. „აბა, აქ რისთვის ჩამოხვედით, სუვენირები არ უნდა წაიღოთ?“ თარიქს არც ის მოსწონს, შეილებზე რომ ვეკითხები. იფხორქება და კოპებს კრავს. „ძალიან ბევრის ლაპარაკი გიყვარს. აქ ეგრე არ შეიძლება. მაგრამ კარგი, მე გიპასუხებ. სხვასთან რომ სისულელე არ თქვა. სხვა არ მოგითმენს,“ – და მიამბობს, რომ ერთი ცოლი ჰყავს. იქ უმეტესობა ასეა, ბევრ ცოლს ბევრი ხარჯი აქვს. თარიქი ახლა შვილების დასაქორწინებლად ემზადება, ბიჭისთვის საცოლე უკვე შერჩეული ჰყავს. „გოგოს საქმროზე ვფიქრობ. თვითონ არის ჩუმად, რა უნდა თქვას. იტყვის და ნახავს მერე სეირს. არა, ჩვენ ქალების ჩაგვრა არ მოგვწონს, ბერბერები ვართ, მაგრამ შვილის დაქორწინება კაცის საქმეა... აი, ნახე გოგო ჩადრის გარეშე მოდის და არავის უკვირს. მაგრამ უმეტესობა წესიერია და მაინც ჩადრით სიარულს ირჩევს. ასეთები ყოველთვის

გამოერევიან ხოლმე. რას ვიზამთ, ხომ არ ჩავქოლავთ.“ თარიქის ხმა უკვე შორიდან მესმის, მაგრამ მანც მივდევ უკან. ქალაქის ყველა კვარტალში თითო მეჩეთი, წყარო, პურის საცხობი და სკოლა გვხვდება. ჩვენი გიდი თითოეულ მათგანზე რაღაც ამბებს, ლეგენდებს, სიზმრებს გვიყვება. ბოლოს მისი დროც იწურება, ერთ-ერთი რესტორნის ზღურბლთან გვემშვიდობება და მიდის. „აი, ის ფოტო, ერთად რომ გადავიღეთ, მერე გამომიგზავნეთ. ჩემ ცოლს უნდა ვაჩვენო და ვაეჭვიანო“. შორიდან მოგვაძახებს და გულიანად იცინის.

* * *

ფესიდან ისევ ფრანგული მოდელის მატარებლით, პირველი კლასის ვაგონით ვპრუნდებით რაბატში. მეორე დილით თბილისში მოვფრინავ. სასტუმროს ფანჯარასთან ვზივარ, ქუჩაში მაროკოელი ახალგაზრდა ბიჭების ლაპარაკს ვუსმენ

და ჩემთვის ვფიქრობ: ამ ექვს დღეში ბევრი ვერაფერი გავიგე. არ მესმის ამ უსაზღვრო, ტოტალური მორჩილების, არც გაცხოველებული ვაჭრობის პრინციპის, არც დახორხლილი საქონლის, არ მესმის ცხვრის ტყავის სუნთან გაშინაურების, არ მესმის თვეობით ნაქსოვი ხალიჩის, რუდუნებით დამუშავებული ხის ჭურჭლის, სამკაულის – საკუთარი შრომის და დროის კაპიკებად გაყიდვის, არც გაუთავებელი ბაასის არსის, არ მესმის ჩაიხანებში ქანდაკებადცეული მამაკაცების დაუინებული მზერის, არც მეზობლად გაუპატიურებული ბავშვის დავწინების, არ მესმის ყველაფრის დირჟამებში გაზომვის, არც დროში გაყინვის მყუდროების, არ მესმის მუდმივი ფიზიკური სახალოვის და არსადრის დაახლოების.

მაინც უცხო ვარ. ტურისტი. მე ცოტა დრო მაქს და აქ მხოლოდ იმისთვის ჩამოვედი, რომ დავინახ.



პრისტიან სერთი – ინტერვიუ

<< დასაცილებელი გვ. 64

მუსიკალურ გულახლილობასა და არაგულახლილობაზე

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გლობალური საზოგადოება ვართ, ჩემი თაობის ბევრი მუსიკოსი ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას დანარჩენების წინაშე და არ მიაკუთვნებს საკუთარ

თავს რაიმე სახის მოძრაობას. ისინი ამბობენ, მე არავის გუნდში არ ვარ, მხოლოდ მე ვარ ჩემივე გუნდი და ასე მივიწევ წინ! ძალიან ცოტაა ისეთი მუსიკოსი, ვინც გარშემო იყურება და ამბობს, – ჩემი მუსიკა არაა მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე დამოკიდებული, რადგანაც მე მსოფლიო მოქალაქე ვარ. ასეთი მუსიკოსები საკუთარ თავს

ეკითხებიან: „როგორი პალიტრა შეიძლება შევქმნა, რომლის მეშვეობითაც მოვახერხებ დღევანდელი დინამიკის, რაც შეიძლება გულახდილად, აუდერებას?“ ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას შენ შეიძლება, დანარჩენებიც გააღვიძო ასეთი სახის შეკითხვების დასმის აუცილებლობის შეგრძება. სამწუხაროდ, როგორც ვთქვი, ძალიან იშვიათად თუ შეხვდები ასეთ მუსიკოსს დღეს, რადგანაც მუსიკისადმი ასეთი მიდგომა უმრავლესობის მუსიკალურად გადარჩენის ინტერესებში არ შედის. მუსიკოსების უმრავლესობისათვის უფრო მისაღებია მუსიკალურად თავის მოკატუნება და არაგულახლილობა, მხოლოდ იმიტომ რომ ზედაპირზე დარჩეს და ასე გადაირჩინოს თავი. მაგრამ რა ცხოვრებაა ასეთი ცხოვრება?

არასერი გმირები და მუსიკალური ინდუსტრიის პრაზი

მუსიკალურ გმირების უმრავლესობა არასწორ გმირებს ბაასეს და ამან მუსიკალური ინდუსტრია კრახამდე მიიყვანა. სიმულაციაზე აღმოცენებული

მუსიკალური ინდუსტრია ირღვევა. ჩევნ მათ ვეუბნებით, - თქვენ წლების განმავლობაში თავს გვახვევდით პოპ-მუსიკოსებს, ვისაც არანაირი კავშირი არა აქვთ რეალობასთან და იმ მსოფლიოსთან, რომელშიც ჩევნ ვცხოვრობთ და ამის შემდეგ თქვენ ისევ გვინიათ, რომ მათ დისკებს შევიძენთ და მოვუსმენთ? ნურც იოცნებებთ ამაზე!

მუსიკის ცნობიერად და ფიზიკად კათების შესახებ

მუსიკის თავისი მუსიკით კვებავს ადამიანებს. შესაბამისად, უნდა იცოდე, თუ რა ინგრედიენტებს უმატებ იმ „საკვებს“, რომელსაც ადამიანებს სთავაზობ, თორემ ის შეიძლება, საშიში აღმოჩნდეს მათი ჯანმრთელობისთვის. ნებისმიერი ხელოვანი ცნობიერად უნდა აკეთებდეს თავის ხელოვნებას. ეს მე ყოველთვის მესმოდა, მაგრამ ყოველთვის არ ვიცოდი, თუ საითკენ მიმემართა ჩემში ჩაბუდებული საუნდი. როგორც გითხარით, ახალგაზრდობისას ძირითად დროს ხაში შესული მუსიკოსების გარემოცვაში ვატარებდი და მათგან ვსწავლობდი არა მარტო დაკვრას, არამედ ცხოვრებასაც. ჯაზმენები სულიერი ადამიანები არიან, საკუთარი ფილოსოფიური თუ თეოლოგიური იდეებით და მათი ნაფიქრალი მათსავე მუსიკაშია შედინებული. ახალგაზრდობაში, დაკვრას რომ სწავლობ, ასეთ ღრმა რამებზე არ ფიქრობ, მაგრამ დღეს უკვე მოწიფული კაცი ვარ და ვიცი, რომ ერთი ნოტის აღების შემთხვევაშიც კი, უნდა აცნობიერებდე, რომ ის ერთი ნოტი ერთი კოვზი საჭმელითაა. მე მირჩევნია, სიყარულით სავსე მუსიკა დავუკრა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემი საუბრის თემა ბნელით მოცული, პრობლემური ან ნეგატიურია. ასეთ შემთხვევაში, თუ შენ ცნობიერად აკეთებ მუსიკას, აუცილებლად მოახერხებ „ბნელის“ „ნათლად“ მიწოდებას, რათა სხვასაც დაანახო ის, რასაც შენ ხედავ. პატარაობისას ძალიან მიჭირდა ხანში შესულ მუსიკოსებთან ერთად ყოფნა. ძნელი იყო იმის გაგება, თუ რა ხდებოდა მათ თავებში და გულებში, მაგრამ მაშინაც კი ვხვდებოდი, რომ

სამყაროს მათეული აღქმა სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, თუ როგორ და რას ფიქრობდნენ უბრალოდ პოპულარული მუსიკოსები. სწორედ წარსულის დიდმა მუსიკოსებმა მასწავლების, რომ ფხიზლად უნდა იყო, როდესაც ვიდაცას რაღაცას სთავაზობ. ადამიანი, ვინც დაუფიქრებლად აკეთებს რამეს, საშიშია. როდესაც ნოტს ვიღებ, ის შენთან მოდის და მერე თითქოს სადღაც ქრება, მაგრამ ეს ასე არაა. ის ნოტი, მისი ვიბრაცია, მისი ენერგია არ ქრება. როდესაც მძლავრ მუსიკას უკრავ, როდესაც შენ უკრავ ისეთ რამეს, რასაც ადამიანებზე ზემოქმედების პოტენციალი აქვს, ფსიქიკაზე, მსოფლმხედველობაზე ზემოქმედების პოტენციალი, ის საშიში ხდება, თუ ამას დაუფიქრებლად აკეთებ.

ნოსტალგია, ხარისხი და რაციონალური გალაციის დაცვა

ბევრი მიფიქრია იმაზე, თუ სად გადის ის ზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ნოსტალგიას და ხარისხს. შენ იზრდები, იხვენები, იცვლები. შესაბამისად, იგივე ემართება შენ ინტერესებსაც. შენ მიერ ასიმილირებული მუსიკა შენსავე სიღრმეებში ილექტება და გზას ახალს უთმობს. სწორედ ამ დროს იწყებ რეალობის ნოსტალგიურად აღქმას და ერთ მშვენიერ დღეს იწყებ ფიქრს იმაზე, დღემდე აქტუალურია თუ არა ის მუსიკა, რაც ადრე ასე მოგწონდა. ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ამაში გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მუსიკოსს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის, რასაც აკეთებს. პატარა რომ ვიყავი მთელ დღეებს ბიბლიოთეკებში ვატარებდი. ბევრს ვკითხულობდი და უამრავ ფილმს ვუყურებდი, - დოკუმენტურ ფილმებს ჯაზის ადრეულ პერიოდზე, დიდი მუსიკოსების „ლაიგებს“ და ასე შემდეგ. დახურვის დრო რომ მოდიოდა, თვალები და ყურები მტკითად ხოლმე. და აი ერთხელ ერთი ფილმი ვნახე მაილზ დევისზე და მის ფიუჯენ ბენდზე 70-იან წლებში. იმ დროს მაილზი ღამის როკ მუსიკას უკრავდა და ერთადერთი ჯაზმენი მის ბენდში ქით

ჯარეთი იყო. სწორედ ჯარეთი ჰყვება იმ ფილმში ამბავს, რასაც ახლა მოგითხოვთ. ერთ საღამოს მაილზი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და კონცერტის დროს, მოულოდნელად ძველი ბალადის დაკვრა დაიწყო. მუსიკოსების უმრავლესობისათვის ეს სტანდარტული თემა უცნობი იყო, მხოლოდ ჯარეთმა იცოდა ის და შესაბამისი აკომპანიმენტიც შესთავაზა. კონცერტი რომ დასრულდა, ჯარეთი მაილზის გასახდელში შევიდა იმის გასაგებად, თუ როგორ გრძნობდა ის თავს და მაილზმა უთხრა: „იცი, ბალადებს რატომ აღარ უკრავ?“ „რატომ?“ - ჰქითხა ჯარეთმა. „იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ბალადების დაკვრა“, - უპასუხა მაილზმა. ამ ეპიზოდმა სილის განასავით იმოქმედა ჩემზე. მე მიეხვდი: თუ ნამდვილი ხელოვანი ხარ, უნდა შეგეძლოს იმისთვის დროზე თავის დანებება, რაც ძალიან გიყვარს, თორემ წინ ვერასდროს ველარ წახვალ!

პაზ-პოლიცია, ინოვაცია და სხვაზე კონტროლის მასშელობა

ჰო, ჯაზ-პოლიციას მიაჩნია, რომ ჯაზში ინოვაცია მხოლოდ ჯაზშივე შემუშავებული ენის მეშვეობით უნდა მოხდეს და რომ სხვა გზით ეს მიუღებელია. ეს სრული სისულელე და აბსურდია! წინათ არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ ნათურაზე, მაგრამ გამოჩენენ ადამიანები, ვინც ასეთ რამებზე იფიქრეს და ისიც მოახერხეს, რომ ენერგია პატარა ჭურჭელში მოექციათ. მაგრამ რა მოხდებოდა, იმ ვიღაცის მამას რომ ეთევა მისთვის, შეიღო, ენერგიას ასე ვერ მოეცვავი, პატარა ჭურჭელში ვერ გამოკეტავ მას იმიტომ, რომ ამით უკვე არსებულ წესებს დაარღვევო? იმ კაცს რომ დაეჯერებინა მამისთვის, მაშინ ნათურა და სინათლის წყარო აღარ გვექნებოდა.

თავის დროზე, მონობის გაუქმების იდეა ინოვაციური იყო, რადგანაც ის იმდროინდელი აზროვნების ჩარჩოებს სცილდებოდა. ბევრისთვის ეს იდეა მიუღებელი იყო, ის მათ თავებში ვერ ჯდებოდა. სთენლი ქრაუჩი, ჯაზ კრი-

ტიკოსი, ვინც ამბობს, რომ ჯაზში ინოვაცია ჯაზის ენაზევე უნდა მოხდეს, შავკანიანია და დღეს ის თავისუფალია. შესაბამისად, ის პედიტორია რომ მონობა გაუქმდა და რომ აბაზე ვიღაცამ იფიქრა თავის დროზე. მუსიკაში ინოვაციის არ არსებობის იდეა სხვების კონტროლისათვისაა მოგონილი. ნებისმიერ რეალობას კონტროლის საკუთარი მეთოდები აქვს და მინდა სხვებმა იცოდნენ, რომ არიან ადამიანები, ვინც დანარჩენების კონტროლის ქვეშ მოქცევას ცდილობს. მე მათ არ ვაჩუმებ, მათ აქვთ უფლება თქვნ ის, რასაც ფიქრობენ, მაგრამ მეც მაქვს უფლება გავაფრთხილო დანარჩენები და ვუთხრა მათ, – ფრთხილად იყავით მაგ ტრაკებთან, ისინი საშიშნი არიან!

შემთხვევა პარაზი

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი საუკეთესო მეგობარი რომ დავკარგე. ის პარაზი მოკლეს. მე მას იქ უნდა შევხვედროდი და კასეტა დამზერუნვებინა, რომელიც მან რამდენიმე დღით ადრე მათხოვა. პარკი ჩვენს სახლთან ახლოს იყო და როდესაც მე და ჩემი ძმა ეზოში ჩავდიოდით, სროლის ხმაც მაშინ გავიგონეთ. სახლიდან ბებია გამოვარდა და გვიყვიროდა, ახლავე უკან დაბრუნდითო, მაგრამ არ დავუჯერთ და პარკის მიმართულებით გავიქცით. ვიცოდი, რომ იქ ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და ის იქ ჩემს გამო მივიდა. პარკში რომ შევვარდით, ყველაფერი დასრულებული იყო. ის ჩემს სელში მოკვდა და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ არაფერი გეძლევა სამუდამოდ. არაფერი, საერთოდ არაფერი!

შვალებად რეალობასთან

შეგუების შესახებ

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბრძოლა და შეგუება. სანამ ახალგაზრდა ხარ ლმერთი გაძლევს, ხოლო ასაკში შესვლას რომ იწყებ, ნელ-ნელა გართმევს ყველაფერს. შეგუება ნიშნავს იმას, რომ გაცნობიერებული გაქვს ერთი მნიშვნელოვანი რამ – რეალობა ცვალებადია და ხშირად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენ ეს არ მოგწონს, უნდა მიიღო ის, უნდა აღიარო, რომ ყველაფერი ისე აღარ არის, როგორც ადრე იყო და შეეგუო ამას. ხელოვანები, ამ მხრივ, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უნდა იყვნენ. ისინი უნდა გრძნობდნენ ცვლილებების მოახლოებას. უფრო მეტიც, მათ უნდა ესმიოდეთ, რომ ამ ცვლილებების განუყოფელი ნაწილი არიან.



პოეტ კუკლინის იმპერია და „მუქთახორა ბროლისკი“

<< დასახური გვ. 70

დადგენილება:

გაიგზავნოს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე იმის გამოსარკვევად, დაავადებულია თუ არა მოქალაქე ბროდსკი რაიმე ფსიქიური

ავადმყოფობით და აღნიშნული დაავადება უძლის თუ არა ხელს მის გაგზავნას შორეულ გადასახლებაში იძულებითი შრომისათვის.

ბროდსკი: მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს – საკანში მომცეთ კალამი და

ფურცელი.

მოსამართლე: ამ თხოვნით მიღიციის უფროსს მიმართეთ!

ბროდსკი: ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, მხოლოდ კალამს და ფურცელს ვითხოვ.

როდესაც დარბაზი ყველი დატოვა, კორიდორებსა და კიბეზე დაინახეს უამრავი ხალხი, ძირითადად ახალგაზრდები.

მოსამართლე: რამდენი ხალხია! არ მეგონა ამდენი ადამიანი თუ მოიყრიდა თავს!

ბროდან: პოეტებს ყოველდღე არ ასამართლებენ!

იოსიზ ბროლსკის მეორე სასამართლო

ფონტანე, 22, მშენებელთა კლუბის დარბაზი.

1964 წლის 13 მარტი

სასამართლოზე მიმავალო წინ ხვდებათ განცხადება: „მუქთახორა ბროდსკის სასამართლო“. მშენებელთა კლუბის დიდი დარბაზი სავსეა ხალხით.

მოსამართლე საველიევა ეკითხება ბროდსკის, აქვს თუ არა რაიმე თხოვნა სასამართლოს მიმართ. იწყევა, რომ არც ახლა და არც მანამდე ბროდსკის არ მიეცა საშუალება, გასწორობდა სა-

ქმეს. მოსამართლე აცხადებს შესვენებას, ბროდსკი გაჰყავთ საქმის გასაცნობად. გარეული დროის შემდეგ იგი შემოჰყავთ და ამბობს, რომ 141, 143, 155, 200, 234 (ჩამოთვლის) გვერდებზე წარმოდგენილი ლექსები მას არ ეკუთვნის. ამის გარდა მას აქვს თხოვნა არ დაურთონ საქმეს დღიური, რომელსაც ის 1956 წელს წერდა, ანუ მაშინ, როდესაც ის 16 წლის იყო.

მოსამართლე: შენიშვნას მისი ეგრეთნოდებული ლექსების შესახებ გავითვალისწინებთ, ხოლო რაც შეეხება დღიურს, მისი საქმიდან ამოღების აუცილებლობას ვერ ვხედავ.

მოქალაქე ბროდსკი 1956 წლიდან თქვენ 13-ჯერ გამოიცვალეთ სამუშაო ადგილი, ერთი წელი მუშაობდით ქარხანაში, შემდეგ ნახევარი წელი არ მუშაობდით, ზაფხულში იყავთ გეოლოგიურ ექსპედიციაში, შემდეგ ოთხი თვე არ მუშაობდით (თვლის სამუშაო ადგილებს და შესვენებებს, რომლებიც სამუშაოს მოსდევს)... აუხსენით სასამართლოს, რატომ არ მუშაობდით შუალედებში და რატომ ეწერდით ცხოვრების პარაზიტულ წესს?

ბროდსკი: შუალედებში ვმუშაობდი და დაკავებული ვიყუავი იმით, რითაც ახლაც ვარ - ლექსებს ვწერდი.

მოსამართლე: ესე იგი, თქვენ წერდით თქვენს ეგრეთ წოდებულ ლექსებს? და რა არის სასარგებლო იმში, რომ თქვენ ასე ხშირად იცვლიდით სამუშაო ადგილს? და რა გააკეთოთ სასარგებლო თქვენი სამშობლოსთვის?

ბროდსკი: მე ვწერდი ლექსებს, ჩემი სამუშაო ესაა, მე დარწმუნებული ვარ.. მე მნაში, რომ ის, რასაც მე ვწერ კეთილ სამსახურს გაუწევს ხალხს და არა მხოლოდ დღეს, არამედ მომავალშიც, შემდეგ თაობებს.

ხმა პუბლიკიდან: ჰმმმ, ერთი ამას დამიხედეთ! დარწმუნებული ყოფილა!

მოსამართლე: ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თქვენი ეგრეთ წოდებული ლექსები ხალხს სარგებელს მოუტანს?

ბროდსკი: და რატომ ამბობთ ლექსებზე „ეგრეთ წოდებული“?

მოსამართლე: თქვენს ლექსებს იმიტომ ვუწოდეთ ეგრეთ წოდებულს, რომ სხვა ახსნა მათვის უბრალოდ არ გაგვაჩინია.

სოროკინი: შესაძლებელია თუ არა იმ თანხით ცხოვრება, რომელსაც თქვენ გამოიმუშავებდით? ხომ უნდა ჩაგეცათ, დაგეხურათ.

ბროდსკი: მე ერთი კოსტუმი მაქვს – ძეველი, მაგრამ როგორიც არის. სხვა უბრალოდ არ მჭირდება.

მოსამართლე: როგორ უნდა შეფასდეს თქვენი მონანილეობა დიდი კომუნიზმის მშენებლობაში?

ბროდსკი: კომუნიზმის მშენებლობა ხომ მხოლოდ დაზიანად დგომა და მიწის დამუშავება არ არის. ეს ინტელიგენტური შრომაცაა, რომელიც..

მოსამართლე: მაღალთარდოვანი ფრაზები არ არის საჭირო, მიპასუხეთ, მომავალში როგორ აპირებთ თქვენი შრომითი ცხოვრების მოწყობას?

ბროდსკი: მე ლექსების წერა და ტექსტების თარგმნა მინდოდა, მაგრამ თუ ეს ენინააღმდეგება გარკვეულ საზოგადო ნორმებს, მაშინ მე დავიწყებ მუდმივ სამსახურს და მაინც დავწერ ლექსებს.

ადვოკატი: თქვენ თქვით, რომ სტატია სახელმოდებით „ОКОЛОПИТЕРАТУРНЫЙ ТРУТЕНЬ“ რომელიც გამოქვენდა გაზეთში „Вечерний Ленинград“, არასწორია, მაინც რატომ?

• სტატია გამოქვეყნდა 1963 წლის 29 ნოემბერს, მას ხელს ლერნერის გარდა ანტერენ იონინი და მედვედევი. 1964 წლის 8 იანვარს იმავე „ვეჩერნი ლენინგრადში“ დაიბეჭდა მკითხველთა წერილების კრებული ერთიანი სათაურით „ჩვენს ქალაქში მუქთახორების ადგილი არ არის.“

ბროდსკი: იქ მხოლოდ ჩემი სახელი

და გვარია სამართლე, ასაკიც არასწორია, ლექსებიც კი არაა ჩემი, ჩემ მეგობრებად ისეთი ხალხია დასახელებული, რომლებსაც ძალიან ცუდად, ან საერთოდ არ ვიცნობ. როგორ უნდა ჩავთვალო ეს სტატია მართებულად, ანდა რა დასკვნები უნდა გამოვიტანო?

მოსამართლე: მონე გრუდინინა!

გრუდინინა: როგორც პოეტს და განათლებით ლიტერატორს, მაქვს სრული უფლება ვამტეკო, რომ ბროდსკის მიერ განხორციელდებული თარგმანები შესრულებულა მაღალ პრიფესიულ დონეზე. ბროდსკი ფლობს მხატვრული

თარგმანის ძალიან სპეციფიურ ნიჭს, რომელიც არცთუ ისე ხშირად გვხვდება.

თავმჯდომარე ლეპელევა: აი, ახლა ვათვალიერებ წიგნს, აქ ხომ ბროდსკის მხოლოდ ორი პატარა ლექსია.

გრუდინინა: მინდა ორიოდე სიტყვით განვიმარტოთ ლიტერატურული შრომის სპეციფიკა. საქმე ისაა, რომ..

მოსამართლე: არა, არ არის საჭირო. ესე იგი, როგორი აზრის ხართ ბროდსკიზე?

გრუდინინა: ჩემი აზრით, ბროდსკი დიდი ტალანტია და ის ერთი თავით მაღლა დგას ბევრ დღეს მოღვაწე მთარგმნებზე. მისი ცოდნა უკიდეგანოა, ამაში დავრწმუნდი მისი თარგმანების კითხვისას.

ადვოკატი: აი, რა მინდა ახლა გვითხოთ. ბროდსკის პროდუქცია 1963 წლისათვის ასეთია: ლექსები წიგნში „ზარია ნად კუპონი“, გალჩინსკის ლექსების თარგმანი (მართალია, ჯერ გამოუქვეყნებელი). ლექსები იუგოსლაველ პოეტთა წიგნში, გაუჩინს ლექსები და პუბლიკიციები „კოსტიორში“, ჩაითვლება თუ არა ეს სერიოზულ ნაშრომად?

გრუდინინა: კი, რა თქმა უნდა, ეს სამუშაოთი გაჯერებული ერთი წელია. ხოლო ფული ამ შრომაშ შეიძლება, მრავალი წლის შემდეგ მოიტანოს. არასწორია ახალგაზრდა პოეტის შრომის შეფასება იმის მიხედვით, თუ რამდენს უხდიან მას. ასეთი ხუმრობაც არსებობს: რა განსხვავება ახალბედა პოეტსა და მუქთახორას შორის? ის რომ მუქთახორა არაფერს აკეთებს და მაინც ჭიმს, ახალგაზრდა პოეტი კი მუშაობს, შეგრამ ყოველთვის როდი ჭამს.

მოსამართლე: ჩვენ არ მოგვწონს თქვენი ეს განცხადება. ჩვენს ქვეყანაში ყოველი ადამიანი მისი შრომის შესაბამისად გამოიმუშავებს, ამიტომ შეუძლებელია, მავანმა იმუშაოს ბევრი და მიიღოს ცოტა. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი უკეთესობის პოეტებს, თქვენ კი ამბობთ, რომ ისინი შიმშილობენ. რატომ თქვით, რომ ისინი არ ჭამენ?

გრუდინინა: მე ასე არ მითქამის, თანაც აღვნიშნე, რომ ეს ხუმრობა, რომელშიც ჭეშმარიტების მარცვალი დევს. ახალგაზრდა პოეტებს ძალიან არათანაბარი შემოსავალი აქვთ.

გამოცემა

მოსამართლე: ეს უკვე მათზეა და-
მოკიდებული, ამას ჩვენ ნუ აგიტისნით.
კეთილი, თქვენ განგვიმარტეთ, რომ
თქვენი სიტყვები სუმრობა იყო. მივი-
ღოთ ეს განმარტება.

ეტკონდი (მწერალთა კავშირის ნევრო, გერცენის სახელმბის ინსტიტუტის პე-დაგოგი): ჩემი საქმიანობიდან გამომდი-ნარე, ხმირად მიხდება ახალგაზრდა ლიტერატურობის ტექსტების კითხვა, ერთი წლის წინ მომეცა საშუალება გაცენობოდი ბროდსკის ნამუშევრე-ბს. ეს გახლდათ შესანიშნავი პოეტის, გაღმინსკის ლექსების თარგმანი, რომ-ლებასაც ჩვენში ნაკლებად იცნობენ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტური წიაღსულების სიცხადემ, მუ-სიკალობამ და ლექსის ენერგიულო-ბამ. მივხვდი, რომ საქმე მაქსი იშვია-თი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთან, რომელსაც გასაოცარი მოთმინება და შრომის უნარი გააჩნია. მასთან საუ-ბარში ნათლად გამოჩენდა მისი ცოდნა ამერიკული, ინგლისური და პოლონური პოეზიისა. შეიძლება, რამდენიმე წელი თარგმნოთ და ერთი კაპიკიც ვერ იშო-ვოთ. ეს საქმიანობა თქვენგან პოეზიი-სა და თავად შრომისადმი დაუდალავ სიყვარულს ითხოვს. ყველაფერი, რაც ბროდსკის შემოქმედების შესახებ ვიცი, მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ მას უზარმაზარი მომავალი აქვს. გა-მოგიტყვდებით და ძალიან გამაკვირვა ნარჩენამ, რომელიც გარეთ ვნახე - „მართლმსაჯულება მუქთახორა ბრო-დსკიზე“

შემდეგი მოწმე!

ສມືອນບານໂພ (ບໍລາຍະດູເບີສ ມອນນິຈ): ມີ ໂຄ-
ຮາດ້າວ ດັບຮັດສູງສີ ຃ານ ວິຜົນບໍລິ, ມາກົງຮາມ
ໜຶ່ມີດົງລາ ກີຕະຫົວາຕ, ຕົ່ງ ປະເວັລາ ມອງຈຳ-
ລູກຸຈົກ ໃລງ ອິຫຼຽນງົບສຸ ມຳຕູກຮົດໄລ້ງົງຮົດ ຖະ-
ສົງລູກອົບເບີສ ດັກກຽນວິເງົາທີ່, ຮົມກອນປຸ
ກມາດສ ມອງຈຳລູກຸຈົກ ດັບຮັດສູງ ອະກິດຕູກສຸ, ຮົງເນັບ,
ກມທັນບາງຍົດ, ກົມມູນໃຫຍ່ສີ ກີດແງວ ໄດ້ ສຳເນົາ
ວິເງົາ ອະກິດຕູກສຸ. ກວນໂ – ອາຮາດ້າ ມີສາ
ມີວິລັນບໍລູກອົບເບີສ ສົງລູກຸຈົກ, ປະເວັລາ ອິດຕູກສຸ,
ຮົມກ ໃລ ລູກອົບເບີສ ກົມມູນໃຫຍ່ສີ, ມາກົງຮາມ ອົກ-
ກົນ ອິດຕູກສຸ, ຮົມກອນໂຮງ ອັດການີ້ ອິນຕູກ-
ລູກອົບເບີສ ອົກກຽນວິເງົາທີ່, ສົງລູກອົບເບີສ
ມີວິລັນບໍລູກອົບເບີສ 7 ກົມມູນໃຫຍ່ສີ ກີດຕູກສຸ.
ດູກ, ຕົ່ງວິເງົາ ດັກມີນິຈິຕູກ ສາຫຼອງກົມມູນໃຫຍ່ສີ
ສົກົນດູກວິເງົາທີ່ ຕົ່ງ ອົກ ມາຕ ອະກິດຕູກສຸ.

ბი. რატომ არავინ ამბობს, რომ მას გონი აქეს არეული და რომ მისი ლექსე-ბი საკასეა ანტისაბჭოთა იდეებით.

ბროდსკი: ეს სიცრუეა.

სმირნოვი: მან უნდა შეიცვალოს აზრი –
თა წყობა, მე ეჭვდევ შე გაყენებ სამედი-
ციონ ექსპერტიზის დასკვნას, რომე-
ლიც ბროდსკის მსაცეს, მისი ნერვული
ავალობის შესახებ. ეს მისი გასხივოს-
ნებული მეგობრების ხრიკებია, ვუშვე-
ლოთ საპრალო ბროდსკის – მას უნდა
ვუმკურნალოთ იძულებითი შრომის წე-
სით და ვერავინ, ვერცერთი გასხივოს-
ნებული მეგობარი ვეღარ უშველის მას.

ბროდსკი: როცა მე გამათავისუფლეს,
მამა ინფარქტის დასაწინობით იწვა და
ერთადერთი მარჩენალი მე ვიყავი, შემ-
დეგ მე გავხდა ავდდ. საიდან იცით ჩემს
შესახებ, ასე რომ საუპრობო?

სმირნოვი: მე თქვენს პირად დღიურს
გავეცანი.

ბროდსკი: რა უფლებით?!

მოსამართლე: მე ვხსნი ამ კითხვას.

ადვოკატი: იქნებ მოწმეებმა მაინც
თაქტიგბით ისაუბრონ და არა...

მოსამართლე: თქვენ შემდეგ მოგე-
ცემათ მოწმეთა ჩვენებების შეფასების
საშუალება.

მოწმე დენისოვ!

დენისოვი (მილების ჩამლაგებელი YHP-20): მე გამოვდივარ, როგორც მოქალაქე და საზოგადოების წევრი. გაზეთის გამოსხვლის შემდეგ აღშფოთებული ვარ ბროდსკის ნამუშევრით. მომინდა, გავცნობოდი მის წიგნებს, წავედი ბიბლიოთეკაში – წაანიჭი არ არის, ვაკ-

თხე ახლობლებს, გაეყოთ თუ არა მის შესახებ. აღმოჩნდა, რომ არავინ არაფერი იცის. ამბობენ, ბროდსკი რაღაცას წარმოადგენს, როგორც პოეტიო, თუ ასეა, რატომ არ იყო ის არცერთი გაერთიანების წევრი? ის არ ეთანხმება დიალექტიკურ მატერიალზეს? ენგელსი ხომ ამბობს: შრომაშ შექმნა ადამიანი.

მინდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც
მშრომელს, არ მავმაყოფილებს ბრო-
დსკის შრომითი მოღვაწეობა.

მოსამართლე: მოწმე ნიკოლაევი

ნიკოლაევი (პენსიონერი): პირადად
ბროდსკის არ ვიცნობ, სამი წელია მისი
დამდუშველი გავლენის შესახებ მესმის,
რომელიც მას თანატოლებზე აქვს. ჩემს
შვილს არაერთხელ უჟიოვნე ბროდსკის
პოემა 42 თავად და დაცალკევებუ-
ლი ლექსები. ამ ლექსებს მავნებლო-
ბის გარდა არაფერი მოაქვს. ბროდსკი
ჩვეულებრივი მუქთახორა როდია, ის
მებრძოლი მუქთახორაა. ასეთ ადა-
მიანებს უმონყალოდ უნდა მოვექცეთ
(აპლოდისმენტები) !

თავმჯდომარე ტიაგლი: თვლით, რომ
თქვენს შვილზე ბროდსკის ლექსებმა
მოახდინეს ზეგავლენა?

ნიკოლაევი: დიახ. მისი ლექსები სა-
მარცხვინო და ანტისაბჭოურია.

რომაშოვა (მუხინას სახელმძღვანელოს სასწავლებლის მარქსიზმ-ლენინიზმის პედაგოგი): ბროდსკის პირადად არ ვიცნობ. მაგრამ მისი ეგრეთ წოდებული მოღვაწეობა ჩემთვის ცნობილია. პუშკინი ამბობდა, რომ ტალანტი – ეს, პირველ რიგში, გარჯაა. და ბროდსკი? ნუთუ ის ირჯება იმისათვის, რომ მისი ლექსები ხალხისთვის გასაგები გახდეს? მე როგორც მუხინას სახელმძღვანელოს სასწავლებლის პარტიული ორგანიზაციის მდივანს, მაქვს უფლება, განვაცხადო, რომ ბროდსკი ცუდ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე.

ადვოკატი: თავად თუ იცნობთ ბრო-
დსკის ლექსებს?

რომაშოვა: ვიცნობ. ეს საშინელება!

მუქთახორები ისინი არიან, ვრც ცოტას მუშაობს, ამიტომ ბროდსკის დადანაშაულება მუქთახორობაში უძრავიდაასურდება. შეუძლებელია, ბრალი დასწორთ ადამიანს, რომელიც ირჯება

როგორც ბროდსკი – ირჯება უამრავს და თავდაუზოგავად. ბრძანების არსი მუქთახორების გასამართლებაშია და არა – ნაკლები შემოსავლების მქონე ადმინისტრის პასუხისმგებაში მიცემაში.

მოსამართლე: ამით რა გინდათ, თქვათ? იცნობთ თუ არა 4 მაისის ბრძანებულებას სადაც ნათქვამია: კომუნიზმი მიღიონთა გარჯით იქმნება?!

ადმინი: საზოგადოების სასარგებლოდ გაწეული ყოველი საქმე უნდა დაფასდეს.

მოსამართლე: ელაპარაკეთ სასამართლოს და არა პუბლიკას.

ადმინი: გთხოვთ მომიტევოთ, ეს პროფესიონალი ჩვევაა – საუბრისას მიმართ აუდიტორიას.

მოსამართლე: მოწმე ვიევოდინ! თქვენ პირადად იცნობთ ბროდსკის?

ვიევოდინი (მწერალთა კავშირის წევრი): პირადად მას არ ვიცნობ. მე წავიკითხე მისი ეპიგრამები. რომ წაიკითხოთ, სირცევილისგან, უბრალოდ, განითლდებით, ამხანაგო მოსამართლებო. აქ საუბრობდნენ ბროდსკის ტალანტზე. ტალანტი მხოლოდ ხალხის დაფასებით იზომება. ეს დაფასება კი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

მწერალთა კავშირს გადაეცა ბროდსკის ლექსები, მათში სამი თემაა: პირველი თემა – სამყაროსაგან განდგომა, მეორე – პორნოგრაფიული, მესამე თემა – სამშობლოს, ერის სიძულვილის თემა. დაე, მის სინდისზე იყოს ეს უმსგავსო ლექსები. პოეტი ბროდსკი არ არსებობს. ბროდსკი აცდენს ახალგაზრდობას მუშაობისგან, ცხოვრებისგან. სწორედ ამაშია მისი უზარმაზარი ანტისაზოგადოებრივი როლი.

მოსამართლე: მოქალაქე ბროდსკი, თქვენ შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობდით. რატომ?

ბროდსკი: მე უკვე გითხარით: მე ყოველთვის ვმუშაობდი შტატში, შემდეგ კი ლექსებს ვწერდი. (სასონარკვეთილი) ლექსების წერა – ეს სამსახურია!

სორკინი (საზოგადო ბრალმდებელი): ჩვენი დიადი ერი კომუნიზმს აშენებს. საბჭოთა ადამიანში ვითარდება შესანიშნავი თვისება – საზოგადო-სასარგებლო მრომით კმაყოფილებისა. ბროდსკი შორსაა პატრიოტიზმისგან. მან

მთავარი პრინციპი დაივიწყა – ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს. ბროდსკი კი ნელების განმავლობაში ეწევა მუქთახორის ცხორებას. ჩვენ გადავამოწმეთ, რომ ბროდსკიმ ერთ სამუშაოში მხოლოდ 37 მანეთი მიღიღ და არა 150 მანეთი, როგორც თავად ამტკიცებს.

ბროდსკი: ეს ავანსია! ეს მხოლოდ ავანსია! იმის ნაწილი რასაც მივიღებ!

მოსამართლე: გაჩუმდით ბროდსკი!

სორკინი: ყველგან, სადაც კი ბროდსკი მუშაობდა, ის ყველას ამჟოთებდა მისი არადისციპლინირებულობით და მუშაობის სურვილის არქონით. სტატიამ „ვეჩერნი ლენინგრადში“ დიდი გამოხმაურება მიღიღ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობა წერილებისა ახალგაზრდებისაგან მიღიღეთ. მათ მკაცრად გააკრიტიკეს ბროდსკის ქმედება (კითხულობს წერილებს). ახალგაზრდობა თვლის, რომ ლენინგრადში მისი ადგილი არ არის; რომ ის მკაცრად უნდა დაისავას. მას სრულიად არ აქვს მოვალეობისა და სინდისიერების განცდა.

ის იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც სატანური ხითხითით ეგებებოდა სიტყვას „შრომა“ და მოწინებით უსმენდა ფიურერ უმანსკის. ბროდსკის მასთან შრომისა და საბჭოთა ლიტერატურისადმი სიძულვილი აერთიანებს. მათთან განსაკუთრებული წარმატებით პორნოგრაფიული შინაარსისა და სიტყვათა კრებული სარგებლობს. ბროდსკი ძალატანებით უნდა ვაიძულოთ, იმუშაოს. ის უნდა გავასახლოთ გმირი ქალაქიდან. ის მუქთახორა, ავაზაკი და იდეურად ბინძური ადამიანია. ახლა ბროდსკის მომსრებეს პირზე დუში ადგათ. ნეკრასოვმა კი თქვა:

Пითом можешь ты не быть,

Но гражданином быть обязан.

ჩვენ დღეს არა პოეტს, არამედ მუქთახორას ვასამართლებთ. რატომ იცავდნენ ადამიანს, რომელსაც სტულს საკუთარი სამშობლო? უნდა შემოწმდეს მათი მორალური სახე, ვინც ბროდსკის იცავდა. ის თავის ლექსებში წერდა: „Люблю я родину чужую“. ხოლო მის დღიურში ასეთ ჩანაწერს ამოიკითხავთ „Я уже долго думал насчет выхода за красную черту. В моей рыжей голове созревают конструктивные мысли“. და კიდევ: „Стокгольмская ратуша внушает

მне больше уважения, чем пражский Кремль“. მარქსის ის ასე მოიხსენიებს: „старый чревоугодник, обрамленный венком из еловых шишек“. ერთ-ერთ წერილში ის ასე წერს: „Плевать я хотел на Москву!“

აი, რად ლირს ბროდსკი და ყველა ვინც მას იცავს!

დასვის თაზისები:

საზოგადო ბრალმდებელი იყენებს მასალებს, რომლებიც საქმეში არ არსებობს, რომლებიც საქმის მსვლელობისას პირველად ჩნდებიან და რომელთა მიხედვითაც ბროდსკი არც დაკითხულა და არც ჩვენება მიუცია.

საზოგადო ბრალმდებელს საზოგადოებრივი აზრის დასტურად მოაქვს გაზეთ „Вечерний Ленинград“-ის მკითხველთა წერილები. წერილების ავტორები ბროდსკის არ იცნობენ, მისი ლექსები წაკითხული არ აქვთ და მსჯელობენ მხოლოდ საგაზითო სტატიით, რომელიც ტენდენციურია და მეტნილად მცდარ ფაქტებზეა აგებული. საზოგადო ბრალმდებელი შეურაცხყოფს არა მარტო ბროდსკის, არამედ ჩუკოვსკის, მარშაკს და ყველას, ვინც მის პოზიციას იცავს და მათ უსაქმურებად და მუქთახორებად მოიხსენიებს.

ბრალდების არგუმენტები

ა) ცნობა სამუშაო მოღვაწეობის შესახებ 1956-იდან 1962 წლამდე. 1956 წელს ბროდსკი 16 წლის იყო; მას შეეძლო, ესნავლა და კანონის თანახმად, 18 წლამდე მშობლების კამაყოფაზე ყოფილიყო. სამუშაო ადგილების ხშირი ცვალებადობა – ხასიათის ფსიქოპათიური შტრიხებისა და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პორნის უუნარობის შედეგია.

(ადვოკატი ამბობს, რომ ის პატივს სცენებს მსაჯულებს, თუმცა გამოთქვამს მწერალებას იმის გამო, რომ მსაჯულთა შორის არ არის ადამიანი, რომელიც კომპეტენტური იქნებოდა ლიტერატურის საკითხებში.)

გ) საშტატო სამსახურში ბროდსკი 1962 წლიდან აღარ ირცხება. მაგრამ აქ წარმოდგენილი ხელშეკრულებები დათარიღდებული XI. 1962 და X. 1963 წლებით, სატელევიზიო სტუდიის ცნობა, უსრნალ „კოსტიორის“ ცნობა,

გამოცემება

აგრეთვე, იუგოსლაველ პოეტთა თარგ-მანების წიგნი მოწმობენ შემოქმედებით მუშაობაზე.

სამუშაოთა ხარისხი

არსებობს მკვეთრად უარყოფითი ცნობა ხელმოწერილი ვოევოდინის მიერ, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს ბროდვის ანტისაბჭოთა მოლვანეობაში დადანამულებას, ცნობა, რომელიც გვახსენებს პიროვნების კულტის მძიმე პერიოდს. გამოირკვა, რომ ეს ცნობა კომისიაზე არ განუხილავთ, კომისიის წევრებს მის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ და წარმოადგენს პროზაიკოს ვოევოდინის პირად დამოკიდებულებას.

ჰ) ბრალდების არცერთი მოწმე ბროდსკის პირადად არ იცნობს, მისი ლექსები არ წაუკითხავს; ბრალდების მოწმები ჩვენებას გაურკვეველი გზით მოპოვებული, გადაუმოწმებელი დოკუმენტების საფუძველზე იძლევან.

სხვა მასალები ბრალდებას არ გააჩნია.

სასამართლომ უნდა ამოიღოს განხილვიდან:

I. 1961 წელს განხილული საეფიალური საქმის მასალები, რომლის მიხედვითაც ბროდსკისთან მიმართებაში გამოიტანეს შემდეგი დადგენილება – საქმე დაიხუროს.

ბროდსკი წამდვილად იცნობდა შაბამატოვსა და უმანსკის, მათი გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა. საბენიეროდ, ის დიდი ხნის წინ გათავისუფლდა ამ ზე-გავლენისგან.

საზოგადო ბრალდებელმა შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბროდსკი ახლაც იზიარებს უწინდელ აზრებს, რაც აპსოლუტურად არასწორია.

II. საჯუთოი ბროდსკის ლექსების ხარისხის შესახებ.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, საქმეში მოხვედრილი ლექსებიდან რომელი ეკუთვნის ბროდსკის, რადგან, მისივე თქმით, იქ არის მთელი რიგი ლექსებისა, რომელიც მისი არაა.

იმისათვის, რომ განვაჯოთ, ეს ლექსები მდგბილია, პესმისტური თუ ლირული, უნდა ჩატარდეს აეტორიტული ლიტერატურული ექსპერტიზა. ამ საკითხს ვერც სასამართლო, ვერც

მხარეები დამოუკიდებლად ვერ გადა-წყვეტინ.

ავანსების სისტემა.

საქმეში წაჩინები თანხები არ არის ზუსტი. ბროდსკის განცხადებით, მაჩვენებლები გაცილებით მაღალია. საჭირო იყო ამის გადამოწმება. რა სახსრებით ცხოვრობდა ბროდსკი? ბროდსკი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა და სწორედ ისინი ეხმარებოდნენ მაშინ, როდესაც ის პოეტად ყალიბდებოდა.

არანაირი სხვა შემოსავალი მას არ გააჩნდა, ცხოვრობდა ხელმოკლედ იმისთვის, რომ საყვარელი საქმის კეთების საშუალება ჰქონოდა.

დასკვნები:

1964 წელს ბროდსკი უსაფუძვლოდ დააკავეს და მას არ მიეცა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების საშუალება.

თუმცა სასამართლოზე მოწმეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიც საქმისია იმისთვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა – ბროდსკი არ არის მუქითახორა.

(სასამართლო გადის სათათბიროდ, ცხადდება შესვენება)

საუპრები დარბაზში:

► ანტისაბჭოელი - აი ვინ არის ის! ხომ გაიგეთ, რა თქვა ბრალდებელმა?

► დამცველმა რა თქვა, ის თუ გაიგეთ?

► ადვოკატი ფულის გამო ლაპარაკობს, ბრალმდებელი კი უფასოდ, ესე იგი ის მართალა!

► რა თქმა უნდა! ადვოკატს ოღონდ ფული გადაუხადე და რაც გინდა, იმას იტყვის!

► სისულელებს როშავთ.

► ილანძღებით! აი, ახლა რაზმელს დავუძახებ! გესმოდათ, რა ციტატები მოჰყავდათ?

► საქმისია! ამოვიდა ყელში თქვენი ბროდსკი!

სასამართლო ბრუნდება და მოსამართლე კითხულობს განაჩენს: ბროდსკი სისტემატურად არ ასრულებს საბჭოთა ადამიანის მოვალეობას, ანარმონის მატერიალური ფასეულობები და უზრუნველყოს საკუთარი თავი, რაც აისახება

სამსახურების ხშირ ცვლაში. გაფრთხილებულ იქნა 1961 წელს MFB-ს ორგანიზების მიერ ხოლო 1962 წელს ის მილიციამაც გააფრთხილა. პირობა დადო, რომ მოეწყობოდა მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ დასკვნები არ გააკეთა, აგრძელებდა უმუშევრად ყოფნას, განაგრძობდა თავისი მდაბიოდები კითხვას. ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისიის მიმართვიდან ჩანს, რომ ბროდსკი არ არის პოეტი. ის გაკიცხეს გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ მკითხველებმა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1961 წლის 4/3 ბრძანებულებაზე დაყრდნობით, ბროდსკი 5 წლით გაგზავნილ იქნას შორეულ გადასახლებაში იძულებითი შრომის გამოყენებით.

პოლოსილყვავა

ლერნერი რომელმაც „ვეჩერნი ლენინგრადში“ პასკვილი დაწერა, ერთი უნიჭო, მაგრამ სისტემას ძლიერ მორგებული კაცი იყო, რომელიც ინსტიტუტ „გიპროშახტის“ სამეურნეო ნაწილში მუშაობდა.

იმ პერიოდში ბროდსკი, როგორც იდეოლოგიის მეცნიერად გამოხატული მტერი, ნამდვილად არ განიხილებოდა, მასზე გაცილებით უფრო საშპი მტრებიც არსებობდნენ ხრუშჩოვის „ოტტეპელის“ საბჭოებში. ლერნერი კი მიხვდა – მისთვის ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა, ახალგაზრდა პოეტის ათას სიბირიუმში გასვრა და მისი ხელმძღვანელობის (ის უშიშროების სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელი იყო) გულის მოგება. ლერნერი სპეციალურად გადაფრინდა მოსკოვში, სადაც შეხვდა გამომცემლობის ხელმძღვანელობას, რომელთანაც ბროდსკის ხელმეტულებები აკავშირდებდა და დაარწმუნა ისნი, რომ ყველა კავშირი გაეწყვიტათ პოეტთან. აი, ასე „შეერა“ მუქტახორა ბროდსკის საქმე „ქვეშმრომა“ პანია ჩინოვნიერა, რომელმაც, მისდაც უნდებურად, კაცობრიობას ათი მცნების ტოლფასი სასამართლო პროცესი დაუტოვა – პროცესი რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ. მას შემდეგ მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა – იოსიფ ბროდსკი მთელ სამყაროდ იქცა და იცით ვინმემ, ვინ არის იაკობ მიხეილის ძე ლერნერი?



მოგლევნო ინკარნაცია

<<< დასაწყისი გვ. 74

ბოლო წლებში ჩინეთმა გამოაცხადა, რომ ტიპების საკითხი ქვეყნის „უმთავრეს ინტერესს“ წარმოადგენს და მას სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. მან თვალშისაცემ წარმატებას მიაღწია, როდესაც უცხოეთის ქვეყნების მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენა დაიწყო, რათა მათ დალაი ლამასთან შეხვედრისგან თავი შეეკავებინათ. 2007 წლის შემდეგ მასთან შეხვედრაზე უარი თქვეს ავსტრალიის, ნიდერლანდების, ახალი ზელანდიის ლი-დერებმა და ასევე რომის პაპმა. კოლუმბიის უნივერსიტეტში მოღვაწე ტიპების მკვლევარის რობერტ ბარნეტის თანახმად, 2005-2008 წლებში დალაი ლამა 21 ქვეყნის მეთაურს შეხვდა, 2009-ში კი – მხოლოდ 2-ს. 1998 წელს, როდესაც „Apple“-მა დალაი ლამას ფოტოსურათი რეკლამებში გამოიყენა მუჰამედ ალის, მაპათმა განდისა და პატლ პიკასოს ფოტოსურათებთან ერთად, ამით ჩინეთის მთავრობა გააღიზიანა. ამჟამად ონლაინ-მაღაზია აიფონების ჩინელ მომხმარებლებს არ სთავაზობს ისეთ დამატებით აპლიკაციებს, როგორიცაა: „დალაი ლამას გამონათქვამები“ და „ნობელის პრემიის ლაურეატები“ („ჩინენ ადგილობრივ კანონებს ვემორჩილებით“, – განაცხადა „Apple“-ის პრესმდივანმა).

ერთ-ერთი უმკაცრესი ღონისძიება, რომელმაც დალაი ლამას ისედაც არასაიმედო პოზიცია კიდევ უფრო შეარყია, სრულად მოულოდნენლა სუბიექტმა გაატარა. როდესაც ბარაკ ობამა თეთრ სახლში შევი-

და, ტიპების მხარდამჭერი აქტივისტები ელოდნენ, რომ მათ მაშინვე გულში ჩაიკრავდნენ. სენატორის რანგში ობამა უკვე შეხვედროდა დალაი ლამას, ვინც მრავალმხრივ გამორჩეული ვარსკვლავია ვაშინგტონში. ქომაგები მას სან ფრანცისკოს ურის შემოგარენშიც ჰყავს და ქვეყნის როგორც სამხრეთ, ისე ცენტრალურ შტატებშიც (2007 წლის ოქტომბერში ის ჯორჯ ბუშსა და თეთრი სახლის სპიკერს, ნენსი პელონის შორის იდგა კაპიტოლიუმის დარბაზში უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოს – კონგრესის ოქროს მედლის მისაღებად). მიუხედავად ამისა, როდესაც იგი ახალ ადმინისტრაციასთან შესახვედრად ეწარდებოდა, „უოშინგტონ პოსტმა“ ცნობა გავრცელა: თეთრ სახლში ობამასთან მისი შეხვედრა მანამდე გადაიდებოდა, სანამ იმავე წლის ნოემბერში პრეზიდენტი ჩინეთს ოფიციალურად არ ეწვეოდა. 1991 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ შეერთებული შტატების დედაქალაქში ჩამოსული დალაი ლამა პრეზიდენტს არ შეხვედრია. ტიპების გულშემატკიცვრები გაონგებულები დარჩნინ. „თავიდან ყველას ასეთი რეაქცია გვქონდა: ამის გაკეთება როგორ შეიძლებოდა?“ – თქვა რიჩარდ გირმა.

იმსანად თეთრ სახლს ჩინეთის მხარდაჭერა სჭირდებოდა ჩრდილოეთ კორეის, ირანის, გლობალური დათბობისა და სხვა საკითხებში. ობამას ადმინისტრაციის მაღალინინის თანახმად, ჩინელი დიპლომატები, არაოფიციალურად, კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ პრეზიდენტს

დალაი ლამასთან შეხვედრა გადაედო.

როდესაც შეხვედრის გადადება საჯაროდ გაცხადდა, კრიტიკოსებმა თეთრი სახლი მეაცრად გაიცემა იმის გამო, რომ ჩინეთის ზენოლას ვერ გაუძლო და უფრო დიდი მიზნების გამო დათმობაზე წავიდა. „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ყოფილმა ჩეხმა დისიდენტმა, ექს-პრეზიდენტმა ვაცლავ ჰელმა იბამას შესახებ თქვა: „ასეთი უმნიშვნელო დათმობებით იწყება დიდი და საშიში დათმობები – ნამდვილი პრობლემები“.

ამ ყველაფერმა იბამას ადმინისტრაციას დარტყმა აგერმა, თუმცა ის მაინც ამართლებს საკუთარ გადაწყვეტილებას. „თუ დიალოგის გამართვას ხელს შევუწყობთ, გარეულ ეტაპზე შესაძლოა, ტიპეტელებმა და ჩინელებმა ის გზს მიაწინო, რომელიც მათ დიალოგს ნაყოფიერს გახდის,“ – მითხრა მაღალჩინოსანმა და დაამატა, რომ ქვეყნის შიგნით ამ გადაწყვეტილების უარყოფითად შეფასება გარდაუალი იყო. „საგარეო პოლიტიკის კუთხით, გონივრული ნაბიჯი გადავდგით. ვიცოდით, რომ დარტყმას მივიღებდით. დარტყმა ვიგემეთ და ეს მაინც გავაკეთეთ“.

დალაი ლამა იბამას მიმდინარე წლის თებერვალში ესტუმრა. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „რუების ოთახში“ გამართული 70-წელიანი შეხვედრა უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მისი წინა შეხვედრები ამერიკის პრეზიდენტებთან. ჩინეთმა უკმაყოფილება ვერ დამალა იმის გამო, რომ ამ ფაქტმა „სერიოზულად დაზარალა“ ჩინეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა. პეკინში ამერიკის ელჩიც კი დაიბარეს, რათა მისთვის აფიციალური საპროტესტო წერილი გადაეცათ.

დალაი ლამა, უმთავრესად, დილის 4-ის ნახევრზე ილვიძეს ორსართულიან, ქვაბეტონით ნაშენებ სახლში. თავიდან მედიტირებს, რასაც მისი სხეულის სრული მოდუნება მოსდევს (ეს, ნანილობრივ, რიტუალი და ნაწილობრივ – სავარჯიშო). საუზმემდე, რომელსაც 6-ის ნახევარზე მიირთმევს, გარეთ სეირნობს ან ტრენა-უორის „სარბენ ბილიკზე“ ვარჯიშობს. შემდეგ რადიოში BBC-ის გადაცემებს, ზოგჯერ კი „ამერიკის ხმის“ ტიპეტელურ პროგრამას უსმენს, სანმ მედიტაციასა და ფილოსოფიური წიგნების კითხვას დაუბრუნდება. მუშაობასა და შეხვედრებში

გამოცემება

გატარებული დღის შემდეგ ერთ-ორი საათით ისევ მედიტაციაში იძირება, სალამოს 9-ის ნახევარზე კი იძინებს.

უმაღლესი რანგის ტიპეტელი ლამები, ტრადიციულად, თავშეკავებული, იმპოზანტური ადამიანები არიან. მათგან განსხვავებით, დალაი ლამა, ჩვეულებრივ, ყველგან იჯვინებს, რადგან კლინგონის არ იყოს, მასაც ძალიან უყვარს ხელის ჩამორთმევა. „ლოს ანჯელესის ცენტრში, სასტუმროში ვიყვაით. ყველა მასთან მიახლოებას ცდილობდა“, – მიყვება რონი ნოვიკი, რომელმაც ის ფირზე არაერთხელ აღბეჭდა, – „სრულიად მოულოდნელად, იცით, რა მოხდა! გაჩერდა და საჩუქრების მაღაზიაში შევიდა, სადაც საღეჭებ რეზინებს და სათამაში დათუნიებს ჰყიდდებნ წარწერით: „I Love LA.“ უბრალოდ, უნდოდა, გამყიდველ გოგოებს მისაღმებოდა“.

იმ ადამიანის კვალობაზე, ვინც დიპლომატით ამდენად დაკავებულია, დალაი ლამას საერთოდ არ აღლვებს სტატუსი. ის პირქშე სასულიერო პირებს წვერს ქარის, ქვეყნის მეთაურებს კი ხელს ჩაჰიკიდებს ხოლმე. მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრას ნაადრევად ამთავრებს, როცა ამზრებს, რომ მათ საკუთარ თავზე ზედმეტად დიდი წარმოდგენა აქვთ (თანაშემწერი გვაფრთხილებენ: თუ მთელ სკამზე ზის და არა მის კიდეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერესი დაუკარგავს). ერთხელ ოფრამ ჰეკითხა: მთელი მსოფლიო უნდა მედიტირებდეს თუ არა, მან კი ხალისანად უჟასუხა: ეს რა სულელური შეკითხვაა; შემდეგ დეტალურად განმარტა, თუ რატომ თვლიდა ასე.

დალაი ლამა იღლება იმით, რასაც თავად „ძველებურ ეტიკეტს“ უწოდებს. ტიპეტიდან წამოსვლის შემდეგ მის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პირველი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ, გარემოცვის პროტესტის მიუხედავად, განაცხადა: ამიერიდან ჩემი სტუმრები თანაბარი სიმაღლის სკამბზე დასხდებიან. მრავალი ბუდისტისგან განსხვავებით ის ხორცულს მიირთმევს, რადგან, როგორც ამბობს, ვეგეტარიანელობის აღთქმაში მის ორგანიზმს აენო (პოლ მაკარტნიმ წერილიც კი მისწერა, რომელშიც ამ გადაწყვეტილების გადახედვას სთხოვდა. „უბრალოდ, სწორად არ მეჩენება, რომ დალაი ლამა, ერთი მხრივ, გვეუბნება: ჰეი, ბიჭებო, მგრძნობელობის მქონე არსებებს

არაფერი დაუშავოთ და მეორე მხრივ აცხადებს: სხვათა შორის, ახლა ბიჭეტექს გეახლებითო“, – განუცხადა მან „გარდიანს“).

ირგვლივ მყოფებისოთვის დასაბულობის მოსახსნელად ის „რადიკალურ არაოფიციალურობას“ მიმართავს: ხითხითებს, საჭმლის მონელების შესახებ სუმრობს, სათვალეს ცხვირსახოცით წმენდს და თუ შეხვედრას სადილიც მოჰყვება, სააბაზანოსკენ მიერათება ხოლმე ხელში კბილის ჯაგრისით და პირის ღრუს პიგინის შესახებ გაფრთხილებებსაც არ იშურებს. ან გარდაცვლილმა წნევალმა და მსახიობმა სპელდინგ გრეიმ მას ერთ ინტერვიუში ჰკითხა, როგორ უყურებთ ისეთ გასართობებს, როგორიც საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი ქალისაო. დალაი ლამამ, რომელმაც დაუქორწინებლობის აღთქმა ბაგშობაშვივე დადო, უბასუხა: „ზოგჯერ სიზმრებში ქალებს ვერდავ ხოლმე. ხანდახან ისინი ვიღაცას ეკამათებიან ან ეჩჩებებიან. როცა ასეთი რამ მესიზმრება, მაშინვე ვისხენებ: მე ბერი ვარ“.

ის დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მათზე, ვისაც ხვდება – არა მხოლოდ სულიერი სიმაღლის გამო, არამედ იმიტომ, რომ ყოველთვის ძალინ ანტერესებს ის, რაზეც ესაუბრებიან. „ეს დამოკიდებულება ყველას განაირალებს. უცემ გაითხავთ: „რას ფიქრობთ, როგორ უნდა მოვიქცე?“ – მითხრა რობერტ ბარნეტმა და დაამატა: „ყოველთვის მანტერესებდა, მკითხავდა თუ არა რამეს, გიურ რომ ყოფილიყავი. როგორც ამბობენ, ის მათაც მოთმინებით უსმენს“.

ადამიანებზე დალაი ლამას ზეგავლენამ მეცნიერების ყურადღებაც მიიპყრო. სან ფრანცისკოში მდებარე კალიფორნიის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესიონი, ფილიპინოგა პოლ ემანუელი, რომელიც ემოციის ერთ-ერთი პირველი მევლევარია, დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდა ბუდიზმს „კიდევ ერთ სულელურ კულტად, რომელიც სან ფრანცისკოს ყურეში ხალხს იზიდავდა“. 10 წლის წინ ის კონფერენციაზე დალაი ლამას შეხვდა და როგორც ამბობს, ისეთი რამ განიცადა, რაც არც მანამდე და არც მას შემდეგ არ განუცდია. ცოტა ხნის წინ კი მითხრა, ამას ყველაზე კარგად მაშინ იგრძნიბო, როდესაც კომპიუტერულ ტომოგრაფიას გაიკეთებთ და სხეულში რადიოაკტიურ ნივთიერებას

შეგიყვანენ, რის გამოც მთელი სხეული ჩხვლეტას დაგინებოთო. ეკანმა, უნცადალი ლამასთან ერთად წიგნიც კი დაწერა, სათაურით: „ემოციური შემეცნება“, ამისნა: „ასეთი რამ ისტორიის მანძილზე არაერთხელ აღწერილა: იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა სიახლოეს ყოფნაც ბევრს სურდა, უბრალოდ იმიტომ, რომ მათ გვერდით თავს კარგად გრძნობდნენ. ისინი, როგორც წესი, ამა თუ იმ ტიპის რელიგიურ ლიდერებს წარმოადგენენ და ისიც ასეთია. ჩემი პოზიციიდან ეს ერთგვარ მუტაციად აღიქმება“.

ყოველ წელს დალაი ლამა ამერიკის შეერთებულ შტატებს ხანგრძლივი ვიზიტით ერთხელ ან ორვერ ეწვევა ხოლმე. მაისში იქ ორი კვირით ჩაფრინდა და მოგზაურობა ინდიანს შტატში მდებარე ქლავ ბლუმინგტონიდან დაიწყო. ამ ქალაქს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: მისმა უფროსმა ძმამ, ან გარდაცვლილმა ტკუბტერ ჯიგმე ნორბუმ ბლუმინგტონში 40 წელზე მეტი იცხოვრა. ის ტიპეტურ ენასა და ტიპეტის ისტორიას ასწავლიდა ინდიანს უნივერსიტეტში. ქალაქი მთავრობან ადგილას არის გაშენებული, რაც ერთგვარი გამონაკლისა სამხრეთ ინდიანს არაპიმალაიური ლინდშაფტის ფონზე. მისი სიმაცე საუნივერსიტეტი მიღწევები და თავისუფლად მოაზროვნეთა სიმრავლეა. სწორედ მათ შერაცხეს ადგილობრივ წმინდანებად ბობი ნაითი, თვითანსანვლი მევიოლინე ჯოშუა ბელი და სქესისა და სესუალობის მკვლევარი ალფრედ კინსი.

მიუხედავად მიმისა, რომ დალაი ლამას პირველ სტუმრობას ადგილობრივი პროტესტანტული (ფუნდამენტალისტური) ეკლესის პროტესტი მოჰყვა, მღველებარება თანდათან ჩატრრა და ახლა ინდიანელი ფანები მას სულის საკითხში ერთგვარ მენეჯერ-კონსულტანტად მიიჩნევენ. „ბევრი ვთვლით თავს ქრისტიან ბუდისტებად“, – მითხრა ადგილობრივმა ორგანიზაციონმა ლიზა მორისონმა, – „მე იესო ქრისტეს მნიშვნელობას ფაქტია, ის ნამდვილად ცხოვრობდა – მაგრამ მისმა უწმინდესობამ, დალაი ლამამაც სულის სილრმემდე შემძრა“.

დალაი ლამას გამოსვლას ორივე დღეს სრული ანშლაგი მოჰყვა: დაახლოებით სამი ათასი ადამიანი ელოდა. მის წარმატებას ნეილობრივ ისიც განპირობებს, რომ დასავლეთი ოდითგანებები მოხიტულ იყო ტიპეტით და იგი მიაჩნდა „დაა-

ვადებული დასავლური ცივილიზაციის წამლად, როგორც სულს გამოუჯანსაღებდა“, როგორც ბუდიმის მკვლევარი დონალდ ლოპესი ამბობს წიგნში „მანგრილას ტყევები“. სხვათა შორის, ბევრ ამერიკელს ტიბეტი მწერალმა ჯერის ჰილტონმა გააცნო, რომელმაც 1933 წელს გამოსულ რომან „დაკარგულ პორიზონტში“ ჰიმალაის მთებში არსებული მიწიერი სამოთხე აღწერა და მას შანგრილა უწოდა.

დალაი ლამას, როგორც ორატორის, ძალას ისიც განაპირობებს, რომ შეუძლია სხვადასხვა ბუბლიკას განსხვავებული სასაუბრო თემა მოარგოს. ბლუმინგტონში მან „გულის სუტრა“ ოფიციალური ბუდისტური მოძღვრების კუთხით განიხილა, ინდიანაპოლისის სტადიონზე შეკრებილების წინაშე კი ბორდოსფერ ხაერდებაკურულ სავარძელში ჩაჯდა – მარცხნა ყურს ქვემოთ მიმაგრებული მოწყობილობით, რომელიც ციცქანა მიკროფონით ბოლოვდებოდა – და გადამდები სიცილი დაიწყო: „იქნებ ზოგიერთს ჰერი, რომ დალაი ლამას რაღაც სასწაულებრივი ძალა აქვს. 2008 წლის ოქტომბერში ოცერაცია გამიყეთეს. ნალვის ბუტი მანუხებდა. ასე რომ, მეცნიერულად დადასტურებულია: დალაი ლამას არავის განკურნება არ შეუძლია“.

მომდევნო საათანახევრის განმავლობაში მან სწავლად მიმოიხილა ბედნიერი ცხოვრების მისეული ხედა, რომელიც იმის ღრმა რწმენას ეფუძნება, რომ: „ფიზიკურად, გონიერივად, ემოციურად ყველა ერთნაირი ვართ“. დალაი ლამამ უამრავი რამ ჩამოთვალა, რაც შესაძლო შეთანხმების საგნად შეიძლებოდა ქცეულიყო – ამ დროს ხოტბას ასხამდა ყველა აღმსარებლობის წარმომადგენლებს ისევე, როგორც ურნმუნოებს. ხალისინი იყო, ბევრს ხუმრობდა, ხელები თათებივით მოხარა, რიდებაც იმ კნუქს ასახიერებდა, რომლის გადარჩენაც დედის თანაგრძოლობაზეა დამოკიდებული. თავისი თვალსაზრისის – „ბედნიერი ცხოვრება მთლიანად საზოგადოებაზეა დამოკიდებული“ – დასამტკიცებლად მან ხელი ასწაა და თქვა: „მე მიყვარს ჩემი მაჯის საათი, მაგრამ მას რომ ვაკოცო, მაჯის საათი ხომ ვერ შეძლებს, სიყვარულითვე მიპასხეოს“. ეს დალაი ლამას კლასიკური გამოსვლა იყო: თავისუფლად მჭევრებულყველებდა, სავსე იყო ენერგიითა და გონიერამახვილობით. პუბლიკა ერთიანად მოიხილა.

გამოსვლის დასასრულს, შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, ყვითელ მაისურსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილმა ქალმა მას შეკითხვა დაუსვა სხვების საქციელით გაბრაზების, მათ მიმართ გაჩერნილი რისხის შესახებ და დაამატა: „მაგალითად, ისე, როგორც ჩემს შემთხვევაშია: როგორ დავძლიო რისხვა ყოფილი ქმრის მიმართ?“ დალაი ლამამ გაიღიმა და წელში გამართულმა პარალელი გაავლო ქალის ქმართან გაყრასა და ტიბეტის ბედ-ილას შორის: „ჩვენ დაკარგეთ სამშობლო. დაკარგეთ თავისუფლება. დაკარგეთ ყველაფერი. მაგრამ აბა, ასე შევხედოთ ამ სიტუაციას: რაიმეს შესაცვლელად ძალა არ შეგვერდა. რა აზრი აქვს ამაზე ზედმეტ წუხილს?“

ცოტა ხანში ამ ქალს გადავყეყარე. ის 38 წლის ძალების სერტიფიცირებული მომვლელი ერინ პეტისონი აღმოჩნდა, რომელსაც სახე ისევ უძრნებინავდა იმის გამო, რომ დალაი ლამას გაესაუბრა. ამ საუბარმა ის დაარნებუნა, რომ სწორედ იმას აკეთებდა, რაც უნდა ეკეთებინა. ქმართან გაყრის შემდეგ სწავლა დაეწყო, რათა ვეტერინარი გამხდარიყო. „მისმა უნმინდესობამ ასეთი რამ მითხრა: „ყველაზე დიდი გასაჭიროც კი არაფერია სამშობლოს დაკარგვასთან შედარებით“. მე ბედნიერი ვარ იმით, რაც მაქვს“, – მითხრა მან.

დალაი ლამობა დალხენილ ცხოვრების გარანტია არასდროს ყოფილა. მას შემდეგ, რაც 600 წელზე მეტი ხნის წინ პირველი დალაი ლამა გაჩნდა, მომდევნოების მხოლოდ ხახევარმა თუ მიაღწია 30 წელს. გადმოცემის თანახმად, სულ ცოტა, ოთხი მათგანი მაინც შეენირა სასახლის ინტრიგებს. მე-17 საუკუნის ბოლოს მაშინდელმა მმართველმა დალაი ლამას სიკვდილი 15 წლის მანძილზე დამალა, მის საქმეებს კი თავად აგვარებდა იმ ადამიანის დახმარებით, რომელიც რელიგიურ ლიდერს გარეგნულად ძალიან ჰერად.

ახლანდელი დალაი ლამა ჩრდილო-აღმოსავლეთი ტიბეტში, მესაქონლეთა ოჯახში დაიბადა. დედამისმა 16 შვილი გააჩინა, რომელთაგან მხოლოდ 7 გადარჩა. მამამისი მეჯინიბე იყო და მომეტებული სიფიცხით გამოირჩეოდა. როდესაც ბიჭუნა ორი წლის გახდა, სოფელს მაძებართა ჯგუფი მოადგა. ისინი იმ ბავშვს ექვებდნენ, რომელიც შეიძლებოდა დალაი ლამას ბოლო ინკარნაცია ყოფილიყო. ოვაბას

მდიდარი არ ეთქმოდა, მაგრამ სოფელში ავტორიტეტით სარგებლობდა: ბიჭუნას უფროსი ძმა და ბიძა მაღალი რანგის ლამებს წარმოადგენდნენ. დალაი ლამა 1990 წელს გამოსულ მემუარში („თავისუფლება დევნილობაში“) წერს, რომ მაქაბართა ჯგუფი მისტიკური ნიშნების მიხედვით მოქმედებდა: წინა დალაი ლამას ცხედარს დაბალზამებული თავი ჩრდილო-აღმოსავლეთ ტიბეტისკენ შეეტრიალებინა. გარდა ამისა, მაღალი წოდების მქონე ერთ ბერს წმინდა ტბაში ჩახედა და ასოები დაენახა, რომელთა შეერთებითაც სიტყვა „ამდო“ გამოიდიოდა – ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე რეგიონის სახელწოდება. იმავე ბერს ბავშვის სახლის სურათიც ეხილა. როდესაც მაქებრებმა ბიჭუნას სახლამდე მიაღწიეს, მათ ოთხი დღე დასჭირდათ იმისათვის, რომ ის ყოველმხრივ შეემორწმებინათ: ბავშვს წინ უწყობდნენ კრიალოსნებს, დოლებს და სხვა ნივთებს, შემდეგ კი მას სთხოვდნენ, წინა დალაი ლამას კუთვნილი ნივთი ამოერჩია. ბიჭუნა ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებდა.

ის სასწავლოდ წაიყვანეს ლპასაში, რათა, როგორც თავად ამბობს, „ბუსავით გამოეკეტათ“ ათასოთახიან პოტალას სასახლეში, ხოლო ბავშვობა მარტოობასა და ფუფუნებაში გაეტარებინა. მასწავლებლების გარდა – თუ ოჯახის წევრების იშვიათ სტუმრობას არ ჩავთვლით – ყველაზე ახლო ურთიერთობა მას მეტოვეებთან ჰქონდა, რომელიც სასახლის ეზოებს ასუფთავებდნენ ხოლო. როდესაც ხანგრძლივ, საგულდაგულოდ მომზადებულ ცერემონიებზე დასასწავლად ეძახდნენ, ის ყველაზე მეტად იმაზე წუხდა, შარდის ბუშტი გაუძლებდა თუ არა.

ბიჭუნა, გასართობად, მაჯის საათებს, მუსიკალურ ზარდახშებსა და სხვა მოწყობილობებს შეინდიდა. იმდენად დიდ დროს ატარებდა ტელესკოპით დამუშავდა ცის თვალიერებაში, რომ ბოლოს ტიბეტის რწმენის საპირისპიროდ დაასკვნა: მთვარე შეინდიდან განათებული არ უნდა იყოსო. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების მიმართ მძაფრი ინტერესი დღემდე არ განელება, კომიუნიტერის ეპოქაში მას ჯერ არ შეუბიჯებია. „მის უწმინდესობას ღია ლაპარაკებული ცის თვალიერებაც კი უფრო ერთხელ მისმა და ასახიერებად გაიმარტინდა. მის ბერების შემდეგ მას ბლოგს, ისევე როგორც „ინტერნეტ-ეკაუნტებს“ სხვები

გამოცემა

უძლვებიან.

დალია ლამა დღემდე ცველაზე მეტად ენდობა „სახელმწიფო ორაკულს“ – ღვთა-ებას, სახელად ნერუნგს, რომელთან ურ-თიერთობასაც ადამიანის საშუალებით ამყარებს. მედიუმი, ტრადიციულად, ბუ-დისტიტი ბერის. როგორც დალია ლამა მემუ-არში აღწერს, მედიუმი ტრანსში იძირება „თვალებგადმოკარკულული და ლოყებდა-ბერილი... მისი სუნთქვის ხანგრძლივობა მოკლდება და ის მთელი ძალით იწყებს სტკვენას“. დალია ლამა მას შეკითხვებს უსვამს, ორაკული კი იძუმალი ხმით პასუ-ხობს. ის წერს, რომ როტულად მოსაგვარე-ბელი სახელმწიფო საქმების შემთხვევაში მის რჩევებს ანგარიშს უწევს: „აზრს მას ისევე ვეკითხები, როგორც ჩემი კაბინე-ტის წევრებს“. გარდა ამისა, დალია ლამა, დახმარებისთვის, მოს – წინასწარმეტყვე-ლების ერთგვარ ფორმასაც მიმართავს. ამ შემთხვევაში, სხვადასხვა არჩევანი პატარა ფურცლებზე იწერება და ცომის ბურთუ-ლებში თავსდება. შემდეგ ის ბურთულებს თასში ყრის და მას იქნადე ანჯლრევს, სა-ნამ რომელიმე არ გადამიტოვება.

ზეპუნებრივი ძალების რწმენა ტიპე-ტელებს შორის გავრცელებულია, თუმცა საყოველთაოდ მიღებული არ გახლავთ. სახელოვნი მწერალი და დალა ლამას კრიტიკული ჯამიანგ ნორბუ უკამაყოფილებას ვერ მაღავს ასეთი პრაქტიკის გამო: „ის ჩევნის კოლექტიურ თავს ცრუუჩრმენისა და ინერციის ქვიშები ფლაგს“. როდესაც დალა ლამას ვკითხე, როგორ უთავსებთ მეცნიერების ნდობას ზეპუნებრივი ძალების რწმენას-მეთქი, მიასახუა: ორაკულებს „კონსულტაციებად“ ვთელიო.

„მას შეგდევ, რაც ადამიანებსა და ორაკულებს დავეკითხები, თუ რაიმეს ნა-თელი მოეფინა – რაღაც ისეთს, რისი გა-დაწყვეტაც შემიძლია, ვწყვეტ კიდეც“, – მითხრა მან. დალია ლამაბ ასევე გამიმზი-ლა, რომ 16 წლიდან მოყოლებული „ყველა უმთავრესი გადაწყვეტილება“ ორაკულე-ბის დასმარებით მიიღო და დარწმუნდა, რომ ისნი არ კდებიან.

ამჟამად ნერუნგის მედიუმი ტკუპტენ ნეოლები გახლავთ – 50 წელს გადაცი-ლებული, სიმპათიური ბერი, რომელიც თავისუფალ დროს ბალის მოვლაში ატა-რებს. როდესაც ერთ დილით დჰარამსა-ლაში ვესტუმრე, მან ამიხსნა, რომ ადრე ჩვეულებრივი ბერი იყო, მონასტერში ქან-

დაეყვების მოვლა და საკმეველის დაკმევა
ევალებოდა, მაგრამ 1987 წლის ერთ დღეს
დეთაებამ მოულოდნელად მედიუმად
ამორჩინა. ამ დროს მნა ფიზიკურად ისეთი
რამ იგრძნო, რასაც ელექტრო-შოკს ადა-
რებს. „ჩემი მოვალეობა ძალიან როჟულია“,
— მითხვა პერმა. ის ცხრა წლის იყო, რო-
დესაც სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა
და მოვლენების დრამატულ განვითარებას
არ ელოდა. „როდესაც ორაჟული მირჩევს,
მაშინაც ერთი ჩვეულებრივი ბერი ვარ“, —
ამბობს ტკუპტენ ნგოლუპი. მას ნებისმიერ
დროს იძახებენ, როდესაც დალა ლამას
რჩევა სჭირდება — ეს მსი მოვალეობა.
„როცა კი მის უწინდესობას ვჭირდები,
მაშინვე მიხმობს ხოლმე“, — მითხვა მან.

1959 წელს, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო: ტიბეტში დარჩენილიყო თუ წასულიყო, ტრანსში მყიფება როგორულმა დაღარი ლამას წასკლა ურჩია. მან კალამი და ფურცელი აიღო და რუკაც კი დაუხატა, მოტები მიმავალი გზით. მარტში, ღამით, დაღით ლამაშ სხვაგვარი ტანსაცმელი ჩაიცვა – „უწვეულო შარვალი და გრძელი, შავი პალტო“ – და სასახლიდან გამოიპარა მცველების ჯგუფთან ერთად, რომლებიც ისე იცეოდნენ, თოთქოს უბრალო გუშაგები იყვნენ. ჰიმალაის მთებში ორკვირიანი მძიმე მოგზაურობს შემდეგ, რომლის დროსაც გამუდმებით იმაღლებოდნენ, ლტოლვილები ინდოეთის საზღვარს მიადგნენ.

დევნილობის ჰერიოლში დაღალი ლამამბ
მოკაგშირების მოძებნა სცადა, მაგრამ
ტიბეტის დამოკუდებლობა არცერთმა
ქვეყანამ არ აღიარა. ამ დროს მისმა ძმე-
ბმა სხვა სტრატეგია აირჩიეს. იმსანად
ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამ-
მართველო პრობლემების შექმნას ცდი-
ლობდა ჩინეთის მთავრობისთვის, 1958
წელს კი ამას პარტიზანებისთვის იარაღის
საპარაკო გზით მიწოდებითა და პარტიზა-
ნული ომისთვის ტიბეტელების მომზადე-
ბით ახორციელებდა. ზოგიერთ მათგანს
კოლონიადოში წერთნიდნენ, სადაც ისინი

რადიო-გაბამცემისა და პარაშუტის ხმა-
რებას სწავლობდნენ და შთაგონებისთვის
დევიზ ლინის ფილმს „ხიდი მდინარე კვაი-
ზე“ უყურებდნენ. 60-ანი წლების და-
საწყისში აბბოხებულებმა ჩინურ სამხე-
დრო ავტოკოლონებს შეუტიეს, მაგრამ
შეერთებული შტატების პრიორიტეტები
მოულოდნელად შეიკვალა. პრიზიდუნგმა

ნიქსონმა დიპლომატიური კავშირი და-
ამყარა ჩინეთის ლიდერ მათ ძელუნთან,
ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართვე-
ლომ კი ოპერაცია ჩააგდო. დალა ლამბას
ერთი ძმა ბლუმინგტონში დასახლდა, მეო-
რე – ჰონგ კონგში გაემართა, მესამეგ ნიუ-
ჯერსის მიატურა, სადაც ერთხსნას სკოლის
დარაჯად შეუშაობდა და მას კველა სემად
იცნობდა.

